პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

7 მარტი **ორშაბათი** 2011
№ 053 (13 350) ფასი 60 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა




11

## მთავარი პრიზი საქართველოს

# ენფილდი აფეთქდა!




5

# გატუზომ იუვე მოკლა!

ტურინში მოჯი მოითხოვეს...




7




# ქართველი მესი?

## ქალამიძემ პოლონეთს თავბრუ დაახვია

ქართული ლეგიონის გოლუხვი უქმეები

4



# ყოფნა, არყოფნა...

ვან გაალი გუშინ დატოვეს

# როდემდე?

9

## ქვაცაბაიას მეხუთე ტიტული

22 წლის **სოფიო ქვაცაბაიამ** (413) წლის პირველი ტიტული მოიგო. მან საფრანგეთის ქალაქ ლიონში 10-ათასიანი ტურნირის წყვილთა თანრიგში იმარჯვა. ქვაცაბაია და ხორვატი **მარია აბრამოვიჩი** (627) პირველ ნომრად იყვნენ განთესილნი და მათ ფინალში დაძაბულ ბრძოლაში ჩეხებთან (**ბობეჩკა, კრეიშოვა**) დაამტკიცეს თავიანთი ფავორიტობა - 6:4, 3:6, 10:5. ეს ქვაცაბაიას მე-5 ტიტულია კარიერაში, წინა ოთხიც (ანთალია, იზმირი, ლეიდა, მალიორკა) წყვილებში აქვს მოპოვებული.




**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

U21. ინტერვიუ ოთარ გაბელიასთან

# უყურადღებოდ არავის დავტოვებთ

## ახალგაზრდული ნაკრები ავსტრიაში შეიკრიბება

ოთარ გაბელიამ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა. როგორც ცნობილია, მარტის ბოლოს ქართველი ახალგაზრდები ავსტრიის საერთაშორისო ტურნირში ითამაშებენ, რომელიც ქალაქ კლაგენფურტში ჩატარდება.

36-კაციან სიაში უმრავლესობა გულშემატკივრებისთვის ცნობილი მოთამაშეა, ზოგის საქმე კარგად არის, ზოგის გაურკვეველია. ამიტომაც არის გაფართოებული სია, საჭირო შემთხვევაში გაბელიამ ლავირება რომ მოახერხოს.



მეკარეები: გიორგი მაკარიძე ("ლე მანი", საფრანგეთი), თორნიკე ზარქუა, გიორგი ნადირაძე (ორივე - "დინამო" თბილისი).

მცველები: საბა კვირკველია, ავთანდილ ბრაჭული (ორივე – "რუბინი", რუსეთი), ლევან კაკუბავა ("დინამო"), ნიკა აფაქიძე, ილია გამრეკლიძე (ორივე – "ბაია"), ბაქარ მირცხულავა ("ბენფიკა", პორტუგალია), თორნიკე კაკუშაძე ("მერანი" მარტვილი), გიორგი კაჭკაჭიშვილი ("ბათუმი"), მამუკა კობახიძე "ზესტაფონი"), ირაკლი ხუციძე ("გაგრა"), გიორგი ოთარაშვილი ("სპარტაკი"), დავით ხოჭოლავა ("საბურთალო"), ივანე კანდელაკი (უგუნდო).

ნახევარმცველები: გიორგი თექთურმანიძე, ნიკა კვეკვესკირი (ორივე – "დინამო", თბილისი), ლუკა გუგუჩია, თორნიკე თარხნიშვილი (ორივე – "ტორპედო"), ნიკა ძალამიძე ("ვიძევი", პოლონეთი), აკაკი გოგია ("ვოლფსბურგი", გერმანია), ზვიად სიხარულია ("ბაია"), თორნიკე ოქრიაშვილი ("ილიჩივეცი", უკრაინა), ბესიკ დეკანოიძე ("სპარტაკი"), ვაკო ყაზაიშვილი ("საბურთალო"), დავით კაკულია ("ოლიმპია", მოლდოვა).

თავდამსხმელები: საბა ლომია, ნიკა ჩიხლაძე (ორივე – "ზესტაფონი"), გიორგი ჭანტურია ("ვიტესი", ჰოლანდია), ირაკლი შეყილაძე ("ემპოლი", იტალია), გიორგი ილურიძე ("ანჟი", რუსეთი), თემურ შარაშენიძე ("დიორი" უნგრეთი), ირაკლი კვეკვესკირი ("პეჩი", უნგრეთი), ირაკლი ქობალია ("ბაია"), ნიკა საბანაძე ("ტორპედო").

რამდენიმე საინტერესო ფეხბურთელი სიაში ვერ ამოვიკითხეთ, ჩამოთვლილთაგან ზოგის საკითხი გაურკვეველია და მოკლედ, საკითხავი დაგროვდა, მათ შორის, თავად გაბელიას ამბავიც, რომელიც პირველ ეტაპზე "ბაიაში" მუშაობდა, მაგრამ მოსამზადებელ ეტაპზე ზუგდიდურ გუნდში აღარ გამოჩენილა.

**- "ბაიადან" საბოლოოდ წამოხვედით?**

- დიახ, ასეა, რადგან ნაკრების მოსამზადებელ ეტაპს ვიწყებთ, რაც კლუბში მუშაობის დროს აღარ მიტოვებს. "ბაია" ჩემი ქალაქის გუნდია და პირველ ეტაპზე შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდი, გაჭირვებისას არ მიმიტოვებია, მაგრამ ახლა მთლიანად ნაკრებზე კონცენტრაცია მჭირდება, "ბაიას" კი მეორე ეტაპზე გარკვეული იმედები გაუჩნდა, გუნდს გამოცდილი ელგუჯა ქომეთიანი ავარჯიშებს და დარწმუნებული ვარ, ჩემი წამოსვლით არ დაზარალდება. მეორე ეტაპის დასაწყისი ამაზეც მიუთითებს.

**- ავსტრიული ტურნირისთვის მზადებას როდის იწყებთ?**

- 19 და 20 მარტს საქართველოს ჩემპიონატის ტურია და აქ შეკრების ჩატარებას აზრი არ აქვს. ამიტომ 20 მარტს გამთენიისას ავსტრიაში გავფრინდებით, ლეგიონერებიც იქვე შემოგვიერთდებიან და შეკრებას კლაგენფურტში ჩავატარებთ.

**- მატჩების განრიგი თუ დადგინდა?**

- 23 მარტს ისრაელს შევხვდებით, 26-ში ალბანეთს, 29-ში კი ტურნირს რუმინეთთან მატჩით დავასრულებთ.

**- ტურნირზე რამდენი ფეხბურთელი გაემგზავრება?**

- მხოლოდ ოცი ფეხბურთელი, მაგრამ გაფართოებული სიის დასახელებაც გამართლებულია. მაგალითად, მსურდა ცხინვალის "სპარტაკის" საყრდენი ნახევარმცველის - თემურ შონიას მიწვევა, მაგრამ საოპერაციო აღმოჩნდა და ვერ წავიყვანთ. პრობლემა აქვს ლევან მჭედლიძესაც, რომელიც ახლა ინდივიდუალურად ვარჯიშობს და სიიდან ამოვარდა. მოკლედ, გაფართოებული სია იმიტომ მჭირდება, რომ ტურნირზე გამგზავრებამდე სამი კვირით ადრე ვერავინ განსაზღვრავს, ვინ გამოჯანმრთელდება, თავს ვინ გამოიჩენს და ვინ დაშავდება.

**- ბევრი ფიქრობს, რომ წინა შესარჩევ ჯგუფში უფრო ძლიერი თაობა თამაშობდა.**

- მართალია ძლიერი თაობა იყო, მაგრამ მე უფრო ასე ვიტყოდი – მათ უფრო დიდი ხანი ჰქონდათ ერთად თამაშის საშუალება და მეტი გამოცდილებაც მიიღეს, მათ შორის, ეროვნული ნაკრების დონეზეც. მაგრამ ახალ თაობაშიც ბევრი საინტერესო მოთამაშეა, წინა ციკლიდანაც რამდენიმე შემოგვრჩა. საერთოდ, წინასწარ არავინ იცის, რომელი თაობა აჯობებს, ამას თამაშები გამოაჩენს.

**- თუმცა, წინასგან განსხვავებით, ახლა საშინელ ჯგუფში მოხვდით.**

- მე ვერ ვიტყვი, რომ წინა ჯგუფი სუსტი იყო. თურქეთი და შვეიცარია ნებისმიერ ჯგუფში არასასურველი მეტოქეები იქნებოდნენ, იგივე ითქმის ესტონეთზეც, რომელიც არაპროგნოზირებადი გუნდია. საერთოდ, ასე მგონია, სუსტი ჯგუფი აღარ არსებობს.

**- მოწვეულთა შორის არის "ვოლფსბურგის" შემტევი ნახევარმცველი აკაკი გოგია. ხშირად ვეცნობი გულშემატკივართა გამოხმაურებებს და მათი ნაწილი აშკარად გაღიზიანებულია, ვისაც ჩვენს ნაკრებში თამაში არ სურს, რატომ ვეხვეწებითო.**

- მე ვარ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი და უფლება არ მაქვს, რომელიმე ნიჭიერ ქართველს ხაზი გადავუსვა და მის მოწვევაზე უარი ვთქვა. ბავშვი გერმანიის, ცნობილ გუნდში თამაშობს და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, საქართველოში მის დასაბრუნებლად. თუ არაფერი გამოვა, ის მაინც მეცოდინება, რომ ჩემს სინდისთან მართალი ვარ და ყველაფერი ვცადე.

» მე-4 გვერდზე

06.03. ფოთი. ფაზისი.
1000 მაყურებელი

**კოლხეთი 0**
**დინამო 2**

0:1 კოშკაძე (24), 0:2 იელიჩი (40. რობერტინიოს პასით).

| კოლხეთი | დინამო |
|---|---|
| 4-4-1-1 | 4-2-3-1 |
| ძაგანია | ლორია |
| მეგრელიშვილი | ლონლაძე |
| ინწკირველი | კაკუბავა |
| მახვილაძე | ჰომოლა |
| ცხვიტარია | ხმალაძე |
| მოისწრაფიშვილი | პაპუნაშვილი |
| გვალია | არზიანი |
| სიჭინავა | ჯუსი |
| გულუა | კოშკაძე |
| კვერენჩხილაძე | რობერტინიო |
| მდივნიშვილი | იელიჩი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ბ. შეროზია | კ. კაჭარავა |

**კოლხეთი**

46. კვერენჩხილაძე - **წიქარიშვილი**
58. გულუა - **სამადაშვილი**
72. სიჭინავა - **გელაძეიშვილი**

*სათადარიგოები: ლობჟანიძე, ქორჩილავა, ბარამიძე, საცერაძე*

**დინამო**

56. არზიანი - **ფირცხალავა**
65. ჯუსი - **კახელიშვილი**
78. რობერტინიო - **კვეკვესკირი**

*სათადარიგოები: ზარქუა, კაშია, მაროვიჩი, ტატანაშვილი*

გაფრთხილება: მოისწრაფიშვილი (3), მახვილაძე (26), ცხვიტარია (34), ჰომოლა (58), ფირცხალავა (74), მეგრელიშვილი (90+2)

არბიტრი: გ. ვადაჭკორია (თბილისი)



ზურაბ არზიანი (55) ფოთელთა გარემოცვაში ავტორის ფოტო

# მობილური(ს) გასროლა ფაზისზე

## პოლოლიკაშვილის იღბლიანი დებიუტი და ნირწამხდარი კოლხი ქომაგები

გუშინ „ფაზისზე" **ზურაბ პოლოლიკაშვილს** იღბლიანი საფეხბურთო დებიუტი გამოუვიდა - სამიოდ დღის წინ მისი მმართველობის ქვეშ გადასულმა და წლეულს აქამდე მოუგებელმა „დინამომ" პირველი სამი ქულა მოიპოვა. ექსმინისტრმა სიტყვა შეასრულა და შეხვედრას თავადაც დაესწრო - პოლოლიკაშვილი ლოჟაში ძველ ნაცნობთან (ოღონდ პოლიტიკური საქმიანობიდან), ფოთის ყოფილ მერსა და ახლა საკრებულოს თავმჯდომარე **ვანო სალინაძესთან** ერთად იმყოფებოდა. ეს უკანასკნელი „კოლხეთის" თამაშებს არასდროს აცდენს, რაც მისი მხრიდან კლუბისადმი მხარდაჭერის ნიშანია, თუმცა ამავეს ვერ ვიტყვით ფინანსურ მხარეზე - უფულობა მეგრული კლუბის ჯერაც „მოურჩენელ სენს" წარმოადგენს.

როგორც ვთქვით, დედაქალაქელებს აქამდე არ მოეგოთ და გუშინდელი შეხვედრა მათთვის ბევრს ნიშნავდა - ფეხბურთელებს მინიმუმ ახალი მმართველი უნდა გაეხარებინათ და ამასთან, დაემტკიცებინათ, რომ მოგებაც შეუძლიათ. რაც შეეხება მასპინძლებს, მართალია, მათ წლევანდელ აქტივში, მეტოქისგან განსხვავებით, ერთი მოგება იყო, მაგრამ კოლხების მდგომარეობა გაცილებით რთული გახლავთ, თუ უკვე კატასტროფული არა. „დინამოსთან" მატჩი, შესაძლოა, „კოლხეთისთვის" ერთ-ერთი ბოლო შანსი გახლდათ, რათა კლუბმა სასწაული მოახდინოს და უფინანსოდ დარჩენილმა მაინც მოახერხოს ლიგაში დარჩენა. აკი, მთელი შეხვედრის განმავლობაში იმუქრებოდა ფოთელი ქომაგი - დღეს თუ ვერ მოვიგეთ, აღარაფერი გვიშველის და ჩვენი ფეხი „ფაზისზე" არ იქნებაო.

მატჩის დასაწყისი მასპინძლებს ცუდს არაფერს უქადდა - უკვე მე-8 წუთზე რეალური შანსი **გიგა კვერენჩხილაძეს** მიეცა - მის ძლიერად დარტყმულს, როგორც გამოჩნდა, ხელი **გიორგი ლორიამ** წაჰკრა და გუნდი აშკარა ხიფათისგან იხსნა. იქვე კუთხურიდან მოწოდების შემდეგ ბურთი სტუმარ მცველებსა და მეკარეს „გაეპარათ", თუმცა დაუცველ კარში დამრტყმელი კოლხთაგან არავინ აღმოჩნდა.

ამის შემდეგაც მცირე უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ. აშკარა იყო, ფეხბურთელები შესაძლებლობის მაქსიმუმის გამოვლენას ცდილობდნენ, მათ ომახიანად ამხნევებდნენ ქომაგებიც, თუმცა...

უწყინარ სიტუაციაში ბურთი **კოშკაძეს** მიუვიდა, კაპიტანი მცველს გასცდა და საჯარიმოს გარედან **ძაგანიას** შორეულ კუთხეში დაურტყა - ტრაექტორიაშეცვლილი და „ცხრიანთან" ჩაშვებული ბურთი მასპინძელთა მეკარისთვის აუღებელი აღმოჩნდა.

ამან თბილისელები გამოაცოცხლა და ათიოდ წუთში მათ ანგარიშის გაზრდაც შეეძლოთ - კოშკაძე-**იელიჩის** წყვილმა მეტოქის საჯარიმოში ბოლომდე იბრძოლა და „კოლხეთი" მეკარემ და ძელმა ერთად გადაარჩინეს.

თუმცა სტუმრებმა ლეგიონერების დახმარებით მეორე გოლის გატანა მაინც მოახერხეს - **რობერტინიომ** მარცხენა ფრთიდან ჩააწოდა, სადაც ყველას იელიჩმა დაასწრო და თავისიანებს ორბურთიანი ფორა მისცა. ანგარიშის შეცვლა ტაიმის ბოლო წამებზე **სიჭინავას** შეეძლო, მაგრამ დათას დარტყმულზე ლორიამ ჩინებული რეაქცია გამოავლინა და ბურთი კუთხურზე გადააგდო.

მართალია, მეორე ნახევარში ფოთელებმა გარდატეხის შეტანა სცადეს, მაგრამ სურვილი რეალობად ვერ აქციეს. მეტიც, „კოლხეთი" უკეთაც ათამაშდა, მაგრამ ხიფათს ძირითადად „დინამო" ქმნიდა: 55-ე წუთზე, მარცხნიდან კარგად გაიჭრა იელიჩი, საჯარიმოში დროული პასიც გააკეთა, კოშკაძემ ბურთი გონივრულად გაატარა, მაგრამ **ჯუსის** დარტყმა დაუგვიანდა; 79-ე წუთზე, მოედანზე წამების შესულ **ნიკა კვეკვესკირს** შეეძლო გატანა, მაგრამ ძაგანიას ვერ აჯობა; იქვე კოშკაძემ დუბლის შესრულების კარგი შანსი გაუშვა ხელიდან.

დასასრულ, ერთი საინტერესო ეპიზოდი, რომელიც ბოლოსთვის შემოვინახეთ - მატჩის 58-ე წუთზე ტრიბუნიდან ისროლეს და მატჩის არბიტრ **გიორგი ვადაჭკორიას** ფეხებთან დაეცა არც მეტი, არც ნაკლები... მობილური ტელეფონი! როგორც ჩანს, ფოთელმა ქომაგმა კონკრეტულ ეპიზოდში მსაჯისადმი უკმაყოფილება ასეთი ფორმით გამოხატა. არც ის არის გამორიცხული, მობილურის „ადრესატი" ლაინსმენი იყო, რომელიც ეპიზოდთან ახლოს იდგა, ან სულაც რომელიმე „დინამოელი" - კოლხი მობურთალის მიმართ უხეშად თამაშის გამო.

ისე კი, ადრესატი და მიზეზი ვინც ან რაც უნდა იყოს, დაგვეთანხმებით, უპრეცედენტო შემთხვევაა - აქამდე მობილურის მოედანზე სროლის ფაქტი ნამდვილად არ გვსმენია და თუ, ვთქვათ, გურულებს თავი მოაქვთ - მსოფლიოში ყველაზე მაღალი ჩიჩილაკი ჩვენთან იდგმებაო (არადა, ჩიჩილაკს მხოლოდ გურიაში იყენებენ საახალწლოდ), პლუს მოედანზე ნივთების სროლაში ჩვენს „უპირატესობასაც" გავიხსენებთ, ვეჭვობ, გუშინ „ფაზისზე" მსოფლიო მასშტაბით „უნიკალური" ფაქტი დაფიქსირდა.

**მატჩის შემდეგ:**

**კახა კაჭარავა („დინამო"):** „შედეგით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. მეტოქეს დავასწარით გოლის გატანა, რითაც საქმე გავიიოლეთ და ეს საბოლოო გამარჯვებაში ძალიან დაგვეხმარა. უფრო მეტის გატანა შეგვეძლო და ამ მხრივ უკმაყოფილო დავრჩი, განსაკუთრებით - მეორე ნახევარში, როცა მრავალი მომენტი გავაცუდეთ".

**ბესიკ შეროზია („კოლხეთი"):** „ვცდილობდით, მეტოქისთვის წინააღმდეგობა გაგვეწია, მაგრამ „დინამოსთან" შედეგს რომ მიაღწიო, ეს საკმარისი არ არის. თავიდან უპირატესობაც გვქონდა, მაგრამ პირველი გოლი მეტოქეს, ფაქტობრივად, ჩვენ გავატანინეთ. თუმცა „დინამოს" მოგებას არ ვაკნინებ - მათ დამსახურებულად გაიმარჯვეს. არ მინდა ვთქვა, რომ განწირულები ვართ, მაგრამ ცუდ დღეში რომ ვართ, ფაქტია".

**მამუკა ქანთარია**
ფოთიდან

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემაში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიონი შინაც უქულოდ დარჩა

## ...ალბათ, უმწვრთნელოდაც

06.03. ბოლნისი. თ. სტეფანია
300 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სიონი | 1 |
| ვიტ ჯორჯია | 2 |

1:0 სვანიძე (21. ნოზაძის პასით), 1:1 გურამ გურეშიძე (58), 1:2 ვასაძე (75)

| სიონი | ვიტ ჯორჯია |
|---|---|
| 4-2-3-1 | 4-2-3-1 |
| მერლანი | ა. მიქაბერიძე |
| კობაური | ხურცილავა |
| დიდავა | ადამაძე |
| დ. ლომაია | კასრაძე |
| ქორიძე | ჭანკვეტაძე |
| სვანიძე | ვასაძე |
| ლ. ნოზაძე | გურ. გურეშიძე |
| გოგოგერიშვილი | ბექვაია |
| ისიანი | კორიფაძე |
| ჩირიკაშვილი | ლანიაშვილი |
| რ. ჯიქია | ჩიმაკაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| გ. ყიფშიძე | მ. კოჭლაშვილი |

**სიონი**

64. ისიანი – **ქუცურუა**
69. სვანიძე – **რეხვიაშვილი**
78. ჩირიკაშვილი – **მ. ოქროპირიძე**

სათადარიგოები: ბობლიაშვილი, გ. თარგამაძე, გ. ოქროპირიძე, ლ. ჩხეტიანი

**ვიტ ჯორჯია**

46. ჭანკვეტაძე – **როსტიაშვილი**
81. ბექვაია – **გოგიაშვილი**
90. კორიფაძე – **ზაქრაძე**

სათადარიგოები: ძაძამია, გიორგი გურეშიძე, ლობჟანიძე, გაბრიჭიძე

არბიტრი: ხ. გაგნიძე (გორი)

გუშინდელ მატჩში ბოლნისელთათვის მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება იქნებოდა დამაკმაყოფილებელი შედეგი და თავიდან ყველაფერი მათთვის სასიკეთოდ მიმდინარეობდა, მაგრამ შეხვედრის დასკვნით ნაწილში სტუმრებმა თამაშის სადავეები ხელთ იგდეს და აქტივში დამსახურებული სამი ქულაც ჩაიწერეს.

შეხვედრის პირველი ნახევარი მოსაწყენი გამოდგა და ორივე გუნდს წუნი მრავლად ჰქონდა, შესვენების შემდეგ კი უფრო დაძაბული და შინაარსიანი ფეხბურთი გაჩაღდა. პირველი ტაიმის ერთადერთი რეალური საგოლე მომენტი ვეტერინართა კარის აღებით დასრულდა – **ლაშა ნოზაძის** პასით "სიონი" აზერბაიჯანიდან დაბრუნებულმა **დავით სვანიძემ** დააწინაურა. თუკი სვანიძე სტაჟიანი სიონელია, მატჩის ოქმში შეამჩნევდით, რომ ბოლნისელთა შემადგენლობაში **დავით ლომაიამ** ითამაშა. ყოფილი ვიტელისთვის ეს "სიონის" მაისურით სადებიუტო შეხვედრა იყო.

მატჩის განახლებისთანავე სტუმართა თავკაცმა **მერაბ კოჭლაშვილმა** თავისი გუნდის ტაქტიკა შეცვალა და მარცხენა მცველის, **ირაკლი ჭანკვეტაძის** ნაცვლად თამაშში მეორე თავდამსხმელი **მიხეილ როსტიაშვილი** ჩართო. იგი შეტევაში **ბესიკ ჩიმაკაძეს** შეუწყვილდა, ჭანკვეტაძის ადგილი კი ნახევარმცველმა **რევაზ ლანიაშვილმა** დაიკავა.

"ვიტ ჯორჯიას" ორივე გოლი ეფექტური გამოდგა და ორივე შორეული დარტყმით გავიდა. **გურამ გურეშიძემ** მეტოქის მცველის მიერ მოგერიებული ბურთი ერთი შეხებით გაგზავნა "სიონის" კარში, **გიორგი ვასაძემ** კი საჯარიმოს მისადგომებიდან ბურთი მოხდენილად მოქრა.

უქმად არც "სიონი" ყოფილა, მაგრამ მეორე ნახევარში ახალგაზრდა სტუმრებმა გამოცდილ მასპინძლებს ფიზიკურ მომზადებასა და სისწრაფეში აჯობეს. "სიონს" თამაშის გადარჩენის რეალური შანსი არც მისცემია, ვიტელთაგან კი როსტიაშვილმა და კორიფაძემ გაუშვეს ხელიდან კარგი საგოლე მომენტები.

ამ გამარჯვებით "ვიტ ჯორჯიამ" მეოთხე საფეხური დაიკავა და, სავარაუდოდ, ამ ტურის დარჩენილი მატჩების ჩატარების შემდეგაც იქვე დარჩება, "სიონის" "გამოფხიზლება" კი ალბათ, ახალ მწვრთნელს დაევალება...

სანამ მატჩის მიმოხილვაზე გადავიდოდეთ, გაცნობებთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, "სიონის" მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი ყიფშიძემ** თამაშის დასრულებისთანავე თანამდებობა საკუთარი სურვილით დატოვა. ეს ინფორმაცია "სიონის" გენერალურმა მენეჯერმა **ჯემალ ჭიპაშვილმა** არც უარყო და არც დაგვიდასტურა. საკითხს ნათელი დღეისთვის უნდა მოეფინოს...

"ლელოს" მკითხველმა იცის, რომ "სიონის" ხელმძღვანელობა გუნდის ბოლოდროინდელი ასპარეზობით ძალიან უკმაყოფილოა. ერთ დროს ყველასთვის ანგარიშგასაწევი "სიონი" მიმდინარე სეზონში მოკრძალებული მიზნისთვის იბრძვის და, თუ ასე გააგრძელა, ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში კიდევ არაერთ კლუბს ჩამორჩება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ლეგიონი

# კიდევ ერთი ქართველი ვოლგაში

ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" დუბლშემადგენლობა სოჭში მოსამზადებელ შეკრებას ამთავრებს. სწორედ ამ შეკრებაზე გუნდში "ვოლგას" მორიგი ქართველი ფეხბურთელი აღმოვაჩინეთ, ჩვენთვის უცნობი ფეხბურთელი **დავით კოხია**, რომელიც დუბლების მთავარმა მწვრთნელმა ექვს საკონტროლო შეხვედრაში ათამაშა.

ამჯერად კოხია სარატოვის "სოკოლთან" ძირითად შემადგენლობაში დააყენეს და მეორე ტაიმში შეცვალეს. შეხვედრა 2:2 დასრულდა, ქართველს არც გოლი გაუტანია და არც საგოლე გადაცემით გამოუჩენია თავი.

"ვოლგას" შეკრებაზე წასვლამდე რუსული ინტერნეტპორტალი "ვანდივიზიონი" წერდა, რომ კოხია ბოლოს კიევის "დინამოში" ირიცხებოდა, მაგრამ მითითებული არ იყო, რომელ ასაკობრივ გუნდში თამაშობდა.

18 წლის ქართველზე ინფორმაციას კიევის "დინამოს" ვებგვერდზეც მივაკვლიეთ. უკრაინული კლუბის პრესსამსახურის ცნობით, ქართველი თავდამსხმელი 1993 წელს არის დაბადებული და კიევის "დინამოში" 2009 წლის ზაფხულში ისინჯებოდა, დავით იმედაშვილთან ერთად საკონტროლო შეხვედრებსაც ატარებდა. უნდა დავასკვნათ, რომ მაშინ კიევურ კლუბში ჩარიცხეს კიდეც, რადგან ისიც დავადგინეთ, რომ 2010 წელს მართლაც უკრაინული კლუბში თამაშობდა, ხან "დინამოს" ახალგაზრდულ კლუბში და ხან "დინამო-2"-ში, შეკრებებსა და საკონტროლო შეხვედრებშიც მოედანზე სისტემატურად გამოდიოდა. თუმცა ოფიციალურ შეხვედრებში მისი გვარი ვერ ამოვიკითხეთ.

**მერაბ მამულაშვილი**

BG Bet Guru
http://bet.goli.ge
სრულიად უფასოდ!!!
ხარ აზარტული და გიყვარს ფეხბურთი?
გამოიცანი თამაშების შედეგები და მოიგე!
• თითოეულ ჩემპიონატზე თვეში 100 ლარი
• Top 5 - ყოველკვირეული გათამაშება - საპრიზო ფონდი 250 ლარი!
• სეზონის ბოლოს 3000 ლარი, ან 'ელ კლასიკოზე' დასასწრები 2 ბილეთი!

● დღევანდელი მატჩების წინათქმა

# ნურაფერს გამოვრიცხავთ...

გუშინ ჩატარებული მატჩების შედეგებს სატურნირო ცხრილში არანაირი ცვლილება არ შეუტანია; სამაგიეროდ, მართლაც აღნიშვნის ღირსია „ვეტერინართა“ ზედიზედ მესამე გამარჯვებაც და, რაღა თქმა უნდა, მეორე ეტაპზე „დინამოს“ პირველი მოგებაც. თუმცა ამ ყველაფერზე (ისე, როგორც „დინამოს“ სერბი ლეგიონერის პეტარ ელიჩის პირველ ქართულ გოლზე) ტურის მიმოხილვაში ვისაუბრებთ; მანამდე კი დღევანდელი მატჩების წინათქმას გავეცნოთ...

## ზესტაფონი–ბაია

07.03. ზესტაფონი. დ. აბაშიძე
15:00

არბიტრი: ლ. სილაგაძე; ასისტენტები: ზ. ჯვარიძე, კ. ტეფნაძე; მეოთხე მსაჯი: ა. კრიჭაშვილი
დისკვალიფიკაცია: წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი)

მეორე ეტაპის დაწყებიდან ორად ორი გუნდია, თამაში რომ არ წაუგია და დღეს სწორედ ამ გუნდების დაპირისპირებაა. „ზესტაფონი“ ამ ჩემპიონატის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტია და **გია გეგუჩაძის** გუნდის წარმატებული ასპარეზობა არავის უნდა გაჰკვირვებოდა; აი, „ბაიას“ ბოლოდროინდელი დაუმარცხებელი ასპარეზობა კი მართლაც სასიამოვნო მოულოდნელობად უნდა მივიჩნიოთ. თანაც, ის ფაქტორიც გასათვალისწინებელია, რომ, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, „ბაიაში“ ადგილობრივი ფეხბურთელები თამაშობენ. ამას გარდა, ვერც იმას იტყვის ვინმე, „ბაიას“ მწვრთნელ-ფეხბურთელებს განსაკუთრებული ფინანსური პირობები აქვთო, მაგრამ, ამ ყველაფრის მიუხედავად, **ელგუჯა ქომეთიანის** გუნდი სატურნირო ცხრილში ერთობ „კომფორტულ“ პოზიციაზე - მეხუთე ადგილზე იმყოფება. რა თქმა უნდა, მთავარი და გადამწყვეტი მატჩები ჯერ წინ არის, მაგრამ რატომღაც გვგონია, რომ „ბაიას“ ამ სეზონში უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე ფიქრი არ მოუწევს. ოღონდ, სხვა საქმეა, თუ რამდენ ქულას მიუმატებს ზუგდიდური გუნდი თავის აქტივს დღევანდელი და მომდევნო ტურის შემდეგ: „ზესტაფონთან“ თამაშს ხომ „ოლიმპთან“ ასევე გასვლითი შეხვედრა მოსდევს.

...დღევანდელი მეტოქეები ამ სეზონში ერთმანეთს ორჯერ შეხვდნენ და ორივე მატჩი... ზუგდიდში ჩატარდა; ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ოქტომბრის ბოლოს ზესტაფონის სტადიონზე ბალახის საფარი იცვლებოდა და ორივე გუნდის ურთიერთშეთანხმებით მეორე წრის შეხვედრაში სტუმარ-მასპინძელი შეიცვალა. ის მატჩი „ზესტაფონის“ გამარჯვებით (3:1) დასრულდა და ასე შეძლო გია გეგუჩაძის გუნდმა პირველ წრეში განცდილი მარცხის გამო რევანშის აღება. ჰო, ის შეხვედრა, 11 სექტემბერს რომ ჩატარდა, შემთხვევით არ გაგვიხსენებია: იმ დროისათვის „ბაიას“ შემადგენლობაში მოასპარეზე **გიორგი მეგრელაძემ** „ზესტაფონის“ კარში ერთიმეორეზე უკეთესი და ულამაზესი ორი გოლი გაიტანა!

## სამტრედია–ტორპედო

07.03. სამტრედია. ე. მანჯგალაძე
15:00

არბიტრი: ლ. კვარაცხელია; ასისტენტები: ზ. ბერულავა, დ. კურტანიძე; მეოთხე მსაჯი: მ. ბეუქლიშვილი
დისკვალიფიკაცია: ლ. ბაკურაძე (ტორპედო)

20 ნოემბერი იყო, „სამტრედიამ“ სეზონის ერთ-ერთი ხმაურიანი სენსაცია რომ შემოგვთავაზა და თბილისის „დინამო“ დაამარცხა; თუმცა, იმის მერე შვიდი ტური ჩატარდა და „სამტრედიამ“ მხოლოდ ორი ქულა მოაგროვა. ჰოდა, ყოველივე ეს ცხრილზეც აისახა — „სამტრედია“ ბოლო ადგილამდე დაქვეითდა და, ალბათ, ამ გუნდის მხოლოდ განსაკუთრებულ და ოპტიმისტ ქომაგებს თუ სჯერათ, რომ უახლოეს მომავალში სიტუაცია სასიკეთოდ შეიცვლება. თავად განსაჯეთ: ფინანსურად გაჭირვებული გუნდი დღეს თავისზე ბევრად ძლიერ (ყველა ასპექტში) „ტორპედოს“ უნდა შეხვდეს, შემდეგ კი ზედიზედ სამი მატჩი ელოდება ჩემპიონატის ყველაზე გამორჩეულ გუნდებთან („დინამოსთან“, „ზესტაფონთან“, „ოლიმპთან“). სხვათა შორის, ფინანსურად დალხენილი ცხოვრება „სამტრედიას“ არც პირველ-მეორე წრეში ჰქონდა, მაგრამ მონდომების ხარჯზე პრინციპულ მეტოქესთან პაექრობაში ოთხი ქულა მოაგროვა. მოკლედ, იმის გარდა, რომ სატურნირო მდგომარეობა აქვს გასაუმჯობესებელი, „ტორპედო“ ამ „იმერულ დერბიში“ პირველ გამარჯვებასაც შეეცდება. ერთი საინტერესო დეტალიც: უმაღლეს ლიგაში ყველაზე მეტი ბურთი „სამტრედიას“ აქვს გაშვებული, „ტორპედო“ კი მეტოქეთა კარში გატანილი ყველაზე ნაკლები ბურთით „გამოირჩევა“; თუმცა, ამ შემთხვევაში ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია — ორივე გუნდს ქულები ჰაერივით სჭირდება...

## ოლიმპი–სპარტაკი

07.03. რუსთავი. ფოლადი
15:00

არბიტრი: თ. გვანცელაძე; ასისტენტები: მ. ელიკაშვილი, გ. ყრუაშვილი; მეოთხე მსაჯი: ა. ნონიკაშვილი

წინა ტურში „ოლიმპის“ თორმეტმატჩიანი წაუგებელი სერია დამთავრდა და „ზესტაფონთან“ მარცხი რუსთავის გუნდის მწვრთნელ-ფეხბურთელებისათვის ორმაგად მტკივნეული იყო; ჰო, იმის გარდა, რომ უშუალო კონკურენტთან წაგებით ასეთი წარმატებული სერია შეწყდა, ეს მარცხი „ოლიმპს“ ლიდერობის დაკარგვადაც დაუჯდა. ახლა კი, ვიდრე მეოთხე წრე დაიწყება (ანუ, უშუალო კონკურენტებთან შეხვედრებამდე), **თორნიკე მაისურაძის** გუნდს ქულების დაკარგვის უფლება აღარ აქვს, თანაც იმის იმედზეც უნდა იყოს, „ზესტაფონმა“ სადმე რომ წაიფორხილოს. „ოლიმპი“ დღევანდელ მატჩშიც, ერთი შეხედვით, უპირობო ფავორიტად უნდა მივეჩნია: ბოლოს და ბოლოს, საკუთარ მოედანზე მსგავსი ჩინებული მაჩვენებლით (10 გამარჯვება და 2 ფრე) ვერც ერთი გუნდი დაიკვეხნის; ეგეც რომ არ იყოს, ჩემპიონისა და უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე მებრძოლი გუნდის პაექრობაში, რაღა თქმა უნდა, „ოლიმპის“ შანსები ბევრად უფრო მეტად უნდა ფასობდეს; თუმცა ამ ბოლო დროს „სპარტაკი“ ისეა „მოფერიანებული“, ამ გუნდისგან ნებისმიერ დროს და ნებისმიერ მეტოქესთან მატჩში ნურაფერს გამოვრიცხავთ; არადა, არცთუ დიდი ხნის წინ „სპარტაკი“ უიმედო აუტსაიდერად იყო მიჩნეული და ვეჭვობთ, ვინმეს თუ სჯეროდა ამ გუნდის მიერ სიტუაციის გამოსწორებისა. და აი, სიტუაცია მართლაც რადიკალურად შეიცვალა და, პირველად სეზონის დასაწყისიდან, „სპარტაკმა“ ცხრილის ფსკერს თავი დააღწია მერვე ადგილამდეც აღზევდა. თანაც განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ „სპარტაკის“ ერთობ ეფექტიანი სასელექციო მუშაობა: ზამთრის სატრანსფერო პერიოდში დამატებულმა ფეხბურთელებმა გუნდი აშკარად გააძლიერეს და ეს, უპირველეს ყოვლისა, **ზვიად მეტრეველზე** ითქმის, დღეს... მშობლიურ ქალაქს მეტოქის რანგში რომ ესტუმრება. დიდი ინტერესით ველოდებით აგრეთვე... მოგვარეების „დუელსაც“: გამოცდილი **დავით ბოლქვაძე** („ოლიმპი“) და ახალგაზრდა **ვალერი ბოლქვაძე** ერთი ამპლუის ფეხბურთელები (ორივე გამთამაშებელია) არიან და მათ ასპარეზობაზეც დიდად არის დამოკიდებული ამა თუ იმ კონკრეტული მატჩის შედეგი. სხვათა შორის, ამ გუნდების მეორე წრის შეხვედრაში („ოლიმპმა“ მხოლოდ მატჩის მიწურულს რომ შეძლო მეტოქის წინააღმდეგობის დაძლევა), ბოლქვაძეებმა შეძლეს თავის გამოჩენა და მეტოქეთა კარში თითო გოლი გაიტანეს.

**გია ტუხაშვილი**

| ად | გუნდი | სულ თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | გაშვ | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | გაშვ | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 22 | 15 | 2 | 5 | 44 | 13 | 47 | 10 | 9 | 0 | 1 | 26 | 2 | 27 | 12 | 6 | 2 | 4 | 18 | 11 | 20 |
| 2 | ოლიმპი | 22 | 13 | 5 | 4 | 33 | 19 | 44 | 12 | 10 | 2 | 0 | 20 | 4 | 32 | 10 | 3 | 3 | 4 | 13 | 15 | 12 |
| 3 | დინამო | 22 | 11 | 7 | 4 | 26 | 11 | 40 | 11 | 7 | 4 | 0 | 18 | 5 | 25 | 11 | 4 | 3 | 4 | 8 | 6 | 15 |
| 4 | ვიტ ჯორჯია | 23 | 10 | 2 | 11 | 25 | 26 | 32 | 11 | 6 | 1 | 4 | 16 | 13 | 19 | 12 | 4 | 1 | 7 | 9 | 15 | 13 |
| 5 | ბაია | 21 | 8 | 5 | 8 | 21 | 23 | 29 | 12 | 7 | 3 | 2 | 15 | 10 | 24 | 9 | 1 | 2 | 6 | 6 | 13 | 5 |
| 6 | ტორპედო | 22 | 6 | 8 | 8 | 11 | 13 | 26 | 10 | 4 | 5 | 1 | 6 | 3 | 17 | 12 | 2 | 3 | 7 | 5 | 10 | 9 |
| 7 | სიონი | 23 | 6 | 7 | 10 | 16 | 29 | 25 | 11 | 5 | 3 | 3 | 11 | 9 | 18 | 12 | 1 | 4 | 7 | 5 | 20 | 7 |
| 8 | სპარტაკი | 22 | 6 | 5 | 11 | 24 | 26 | 23 | 12 | 5 | 3 | 4 | 21 | 12 | 18 | 10 | 1 | 2 | 7 | 3 | 14 | 5 |
| 9 | კოლხეთი | 23 | 6 | 4 | 13 | 16 | 36 | 22 | 12 | 6 | 1 | 5 | 13 | 12 | 19 | 11 | 0 | 3 | 8 | 3 | 24 | 3 |
| 10 | სამტრედია | 22 | 5 | 5 | 12 | 19 | 37 | 20 | 10 | 5 | 3 | 2 | 11 | 8 | 18 | 12 | 0 | 2 | 10 | 8 | 29 | 2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

U21. ინტერვიუ ოთარ გაბელიასთან

# უყურადღებოდ არავის დავტოვებთ

« მე-2 გვერდიდან

გოგიას მშობლებს ადრეც ველაპარაკე და მითხრეს, გვაცალეთ, მოვიფიქრებთო. თუ არ სურთ, ვერ დავაძალებთ. ისიც არ უთქვამთ, რომ ბავშვი ნაკრებში არ ითამაშებს.

**- წინა ციკლში რამდენჯერმე გამოიძახეთ და ასევე არ ჩამოვიდა "ემპოლის" თავდამსხმელი ირაკლი შეყილაძე, რომელიც გაფართოებულ სიაშია.**

- წინა ციკლში რომ ვიძახებდით, ირაკლის ტრავმა და კლუბთან პრობლემები ჰქონდა, თორემ ჩვენს ნაკრებში თამაშზე უარი არასდროს უთქვამს. მცირე ხნის წინ შეყილაძეს ველაპარაკე და ახლა ნამდვილად ჩამოვა.

**- სამწუხაროა, რომ ტრავმებმა გაანწვალა ლევან მჭედლიძე და ლევან ყენია.**

- მასზე გული განსაკუთრებით მწყდება. ორივეს ფატალურად არ უმართლებს, არადა, უნიჭიერესი და პერსპექტიული ბიჭები არიან და, რაც მთავარია, ნაკრებში თამაში თავადაც ძალიან სურთ.

**- ახალგაზრდულში თამაშის პერსპექტივა პირველად ეძლევა "ვიტესის" თავდამსხმელ გიორგი ჭანტურიას, რომელიც გულშემატკივრებში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.**

- "ვიტესის" მეპატრონე მერაბ ჟორდანიას ველაპარაკე, რომელმაც მითხრა, რომ გიორგი პირველ გუნდში ვარჯიშობს და კარგად გამოიყურება. გიორგი აპრილში სრულწლოვანი გახდება, კონტრაქტს გააფორმებს და ითამაშებს. ვნახავთ, როგორ ფორმაში იქნება. მე მას ყურადღებით დავაკვირდები.

საერთოდ, ბევრი ნიჭიერი ბავშვია, მაგალითად, "საბურთალოს" მცველი დათი ხოჭოლავა და ნახევარმცველი ვაკო ყაზაიშვილი, რომლებიც დევდარიანის ნაკრებში წამყვან ძალას წარმოადგენდნენ. გაფართოებული სიიდან ვის გამოვიძახებთ, ეს მათ ფორმაზე იქნება დამოკიდებული. ჩემი ოცნებაა, თითოეულ პოზიციაზე დიდი კონკურენცია იყოს, ეს ნაკრებსაც წაადგება და თავად ფეხბურთელებსაც. ჩემი კრიტერიუმი ასეთია: გამოძახებული უნდა იყოს საუკეთესო და ბრძოლისუნარიანი. შეიძლება მეტოქემ გაჯობოს, მაგრამ მაინც ბოლომდე უნდა იბრძოლო და ამასაც დაგვიფასებენ.

**- დავით მინაშვილის გადაცემაში ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ თქვა, რომ ერთ-ერთი ნიჭიერი თავდამსხმელი საქართველოს ნაკრებში ჩამოსვლაზე უარს ამბობს, ნაწყენია, ჩემზე ცოტას წერენო – ვინ არის ეს ფეხბურთელი?**

- ვინც ასეთ პრინციპულ უარს ამბობს, არა მგონია, მართლაც ჟურნალისტების უყურადღებობით იყოს გაღიზიანებული. ვისაც თამაში არ სურს, ნუ ჩამოვა, ნურავის დააბრალებს.

**- გაფართოებულ სიაშიც არ არის "ფლორას" შემტევი ნახევარმცველი ზაქარია ბეგლარიშვილი...**

- ბეგლარიშვილი ნიჭიერი ბიჭია, წლეულს "ოლიმპში" ვარჯიშობდა, რამაც ესტონელები გააბრაზა და "ფლორას" დუბლებში გადაიყვანეს. არსებობს სერიოზული საფრთხე, რომ ზაქარია არც ათამაშონ, ასეთ მდგომარეობაში კი ახალგაზრდულ ნაკრებში ვერ გამოვიძახებთ.

**- სიაში არ არიან "ბელინცონას" ახალგაზრდა ნახევარმცველი სანდრო ჭელიძე, დანიური "ორჰუსის" წევრები - გეგა დიასამიძე, ლაშა შინდაგორიძე, დავით სხირტლაძე.**

- მე მათი შეხვედრების ჩანაწერებს უნდა გავეცნო, ბრმად ვერ მოვიწვევ, მაგრამ კანდიდატთა 65-კაციან სიაში ოთხივეა, ისევე როგორც კიევის "დინამო 2"-ის ფეხბურთელი ბადრი აქუბარდია, რომელიც უკრაინის 18-წლამდელთა კანდიდატია. საერთოდ, ახლა უცხოეთში ბევრი ქართველი თამაშობს და მათზე ინფორმაციას ვაგროვებ, ისე როგორც, ლუგანსკის "ზარიას" მთავარ გუნდში გადაყვანილ 18 წლის გიული მანჯგალაძეზეც. მთავარია, მათ თავი დაიმკვიდრონ და უყურადღებოდ არავის დავტოვებთ.

**- ავსტრიული ტურნირის შემდეგ, საკონტროლო შეხვედრა არ დაგიგეგმავთ?**

- ამხანაგური მატჩები ყაზახეთისა და მოლდოვის ნაკრებებმა შემოგვთავაზეს, მაგრამ მოლდოვა ვამჯობინეთ და 8 აგვისტოს კიშინიოვს ვესტუმრებით. წილისყრისას, თამაში ბევრ ძლიერ ნაკრებთან გვსურდა, მაგრამ კალენდარი წინასწარ ჰქონდათ შედგენილი და არ გამოვიდა. დანიელებს კი ჩვენი "ვალი" აქვთ, უნდა გვეთამაშონ და მათ პასუხს ველოდებით.

**მერაბ მამულაშვილი**

დემეტრაძის საქმე

# 11 მარტს გაასამართლებენ?

სააგენტო „ინტერპრესნიუსმა“ გაავრცელა ბრალდებული **გიორგი დემეტრაძის** ადვოკატის **მარიკა ფხალაძის** კომენტარი, რომ თბილისის საქალაქო სასამართლო საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილ თავდამსხმელს განაჩენს, სავარაუდოდ, 11 მარტს გამოუტანს. ადვოკატის ინფორმაციით, განაჩენის გამოტანამდე დაგეგმილია ბრალდებისა და დაცვის მხარეების მოსმენა. ხანგრძლივი პროცესის შემდეგ ის მაინც გაირკვა, რომ ბრალდება დემეტრაძისთვის მაქსიმუმ 8, მინიმუმ კი 5 წლით თავისუფლების აღკვეთას მოითხოვს, დაცვის მხარე კი – ფეხბურთელის სრულ და უპირობო გამართლებას.

*"დემეტრაძესთან ერთად განაჩენს გამოუტანენ დავით ფეიქრიშვილსა და დავით გაგნიძეს, აგრეთვე ძებნაში მყოფ ვატო ყიფიანს . ყველა მათგანს ბრალი ქურდული სამყაროს წევრობაში ედება. გაგნიძეს დამატებით იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვაშიც ადანაშაულებენ. ფეიქრიშვილი, დემეტრაძე, გაგნიძე და ყიფიანი დანაშაულს არ აღიარებენ.*

*საქმე ეხება 2010 წლის ფეხბურთის მსოფლიოს ჩემპიონატთან დაკავშირებით ე.წ. "მაზავშჩიკებთან" მოგებულ თანხებს. ფულის ამოღებაში მოგებულებს ქურდული ტრადიციების მიმდევრები, კერძოდ, აღნიშნული პირები ეხმარებოდნენ. მოგებული თანხის ნაწილი ე.წ. ქურდულ „ობშიაკშიც“ მიდიოდა.*

*ამავე საქმეში ბრალდებულია შსს-ს ყოფილი პოლკოვნიკი კახა მისირელი. მისი საქმე ცალკე წარმოებად გამოიყო და მას არასაპატიმრო ღონისძიება შეეფარდა.*

*ფეიქრიშვილს, დემეტრაძესა და გაგნიძეს წინასწარი ორთვიანი პატიმრობა 8 ივლისს შეეფარდათ. ისინი გლდანის №8 საპყრობილეში არიან გადაყვანილი. დაუსწრებლად დაპატიმრება ვატო ყიფიანსაც შეეფარდა,"* – იუწყება "ინტერპრესნიუსი".

ცხადია, ყველა საქმეს გარკვეული საფუძველი გააჩნია. გიორგი ხვდება, რომ დიდ შარში გაეხვა და მომხდარს ძალიან განიცდის. ფეხბურთელის მამის, **შალვა დემეტრაძის** თქმით, გიორგი მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაშია.

*"მესმის, რთული საქმეა, მაგრამ გიორგი თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს. ვიტოვებ იმედს, რომ გამოძიება ყველაფერს დაადგენს და ჩემ შვილს გაამართლებენ. ხომ იცით, გიორგი როგორი მხიარული ადამიანი იყო, ახლა ვერავინ ცნობს, დეპრესიაშია, არ ჭამს, ძალიან ნერვიულობს და ისიც მითხრეს, თვითმკვლელობა სცადაო. რაც უნდა მოხდეს, მამა ვარ და ძნელია, ამ ყველაფერს შევეგუო. რა ვქნა, რა გზას დავადგე, შვილი ციხისთვის არ მემეტება. არ ვიცი, რა გვეშველება და ძალიან განვიცდი. გიორგის დანაშაულში დარწმუნებული რომ ვიყო, ხელს არ დავაფარებდი. ჩემზე უკეთ არავინ იცის, რომ დიდი ბავშვია, ცხოვრებაში ბევრი შეცდომაც დაუშვია, მაგრამ ბოროტი არასდროს ყოფილა,"* – გვითხრა შალვა დემეტრაძემ.

შევიტყვეთ, რომ ჯერჯერობით უშედეგოდ დასრულდა საპროცესო შეთანხმების მცდელობა. ძალიან დასანანია დემეტრაძის მდგომარეობა: საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ყველაზე გულიანი ფეხბურთელი, სამი ქვეყნის (საქართველოს, რუსეთის, უკრაინის) საუკეთესო ბომბარდირი მოედანზე თავის გამოჩენის ნაცვლად, ციხის საკანს ხეხავს. არადა, ვინც გიორგი დემეტრაძეს იცნობს, ყველას უკვირს, სად გიორგი და სად ქურდული სამყარო, ტოტალიზატორში როგორ არ თამაშობდა, მაგრამ ეს ქურდულ სამყაროსთან რა კავშირშია?

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი

# მოვლენებით და გოლებით დახუნძლული ლეგიონი

## ქართველი მესი, პირველი ქართველი იაპონიაში, დებიუტები უკრაინაში

ბოლოს როდის გაგვახარა ქართულმა ლეგიონმა ასე, აღარც გვახსოვს - ჩვენებურებმა ბლომად გოლიც გაიტანეს და საგოლე პასებიც არიგეს. განსაკუთრებით კი ერთმა ბიჭმა გაგვახარა, ლეგიონის უქმეების ამბების თხრობასაც მისით ვიწყებთ...

დიდი ხანია, არ გვინახავს ქართველი ლეგიონერის ასეთი შთამბეჭდავი დებიუტი - 19 წლის **ნიკა ძალამიძე** პირველად თამაშობდა ლოძის „ვიძევის“ სასტარტო შემადგენლობაში მე-4 ადგილზე მყოფ „კორონასთან“ მატჩში. აქამდე ქართველმა პოლონურ ექსტრაკლასაში სულ რამდენიმე წუთი ითამაშა (წინა ტურში შეცვლაზე). პოლონეთის 4-გზის ჩემპიონთა ერთ-ერთ ფორვარდად სწორედ ნიკამ ითამაშა, თანაც როგორ! „ვიძევმა“ 3:1 მოიგო, ჩვენებურის ანგარიშზე კი ულამაზესი გოლი და ორი საგოლე პასია. „წითლების“ 17-მა ნომერმა ზღაპრულად ითამაშა, გამოავლინა შესანიშნავი ტექნიკა და მოედნის ხედვის ნიჭი. მე-20 წუთზე მან შორეული ჩამოწოდებული მარჯვენა ფეხით გაისწორა და მარცხენათი მეკარეს თავზე გადაუგდო, არადა, ამ დროს ძალამიძე საჯარიმოს გარეთ იმყოფებოდა. 8 წუთში, როცა ანგარიში უკვე 1:1 იყო (სტუმრებმა გაათანაბრეს) ძალამიძემ პატარა საფეხბურთო სპექტაკლი მოაწყო, საჯარიმოს მარცხენა კუთხეში თავბრუ დაახვია მცველებს, ჩამოაწოდა და ნიგერიელ **უკას** გაატანინა (ამ პასის შემდეგ მას პოლონელმა კომენტატორმა ქართველი მესი უწოდა). ნიკა ამაზე არ გაჩერდა და 71-ე წუთზე **ბუდკას** გაატანინა. ამ მოგებით „ვიძევმა“ შაბათს მე-9 ადგილზე აინაცვლა.

ექსტრაკლასას ოფიციალურ საიტზე ამ მატჩს „ძალამიძე შოუ“ უწოდეს. 76-ე წუთზე მატჩის გმირი შეცვალეს. „კორონასთან“ მატჩში ქართველმა კარისკენ 4-ჯერ დაარტყა, აქედან სამი - კარში წავიდა. სხვათა შორის, გოლის გატანისას ნიკამ მაისური წაიძრო და გამოაჩინა წარწერა: „*მე მიყვარს საქართველო*“, რისთვისაც ყვითელი ბარათი მიიღო. დავამატებთ, რომ ამ თამაშს ლოძში 7 ათასი გულშემატკივარი დაესწრო.

ქართულმა ლეგიონმა გეოგრაფია გაიფართოვა - იაპონიის ჯეი ლიგაში „ჰიროშიმა სანფრეჩეს“ რიგებში **დავით მუჯირს** დებიუტი ჰქონდა. I ტურში მუჯირის გუნდი 0:0 დაუზავდა „ვეგალტა სენდაის“. ჩვენებური 74-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე.

ინგლისური ჩემპიონშიპის ცხრილის შუაში „გაჩხერილი“ „რედინგის“ შეფი **მაკდერმოტი** ამბობს, რომ გუნდს დიდებული კვირა აქვს და ასეცაა, ორმაგად სასიამოვნოა, რომ ეს **ზურაბ ხიზანიშვილის** სასტარტო შემადგენლობაში დაბრუნებას დაემთხვა - შაბათს „რედინგმა“ 5:2 გაანადგურა „მიდლსბრო“. ხიზანიშვილმა 90 წუთი ითამაშა და ერთხელ აშკარა გოლისგანაც იხსნა მასპინძლები. კარგია, რომ 29 წლის მცველმა სანაკრებო მატჩის წინ სათამაშო პრაქტიკა დაიბრუნა.

ფრანგულ ლიგა 2-ში დასანანი მარცხი იწვნია **გიორგი მაკარიძის** „ლე მანმა“, სტუმრად „დიჟონთან“ 2:3 წააგო და ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი ველარ არის. პსჟ-სთან კარგი თამაშის შემდეგ გვეიმედებოდა, რომ კარში ისევ ქართველი იდგებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, კლუბში მკვეთრად არის განაწილებული ფუნქციები - ჩემპიონატი **დიდიე ოვონოსია**, ხოლო თასები - ჩვენებურის. გიორგი სათადარიგო იყო, თბილისის „დინამოს“ ყოფილმა მეკარე ოვონომ კი სამიდან 2 გოლი პენალტით გაუშვა. 20 წლის ქართველს ლიგა 2-ში ჯერ დებიუტი არ ჰქონია (შარშან ორჯერ ლიგა 1-ში ითამაშა), ის სათამაშო პრაქტიკას, ლიგის თასზე, საფრანგეთის თასზე და „ლე მანის“ სარეზერვო გუნდში (8 მატჩი) თამაშით ივსებს.

შაბათს II ბუნდესლიგის ლიდერმა „ჰერტამ“ ბერლინში 3:1 დაამარცხა „ფრანკფურტი“. **ლევან კობიაშვილმა** შეუცვლელად ითამაშა მასპინძელთა დაცვის მარცხენა ფრთაზე. 33 წლის ვეტერანი საოცარი სტაბილურობით გამოირჩევა, მან 25 მატჩიდან 25-შივე სასტარტოში ითამაშა და მხოლოდ ერთხელ შეცვალეს. ქართველი მცველის ანგარიშზე ორი გოლიცაა. ლევანი „ფრანკფურტთან“ 55-ჯერ შეეხო ბურთს და გააკეთა 30 პასი (23 ზუსტი), „შპორტალმა“ მისი თამაში 3-იანით შეაფასა (მასპინძელთა სასტარტოში უფრო მაღალი შეფასება მხოლოდ 2 ფეხბურთელს ჰქონდა).

ბოლო დროს დაძაბუნებულ „კარლსრუეს“ ალბათ აქტივში უნდა ჩაეთვალოს ბუნდესლიგის საგზურისთვის მებრძოლ „ბოხუმთან“ სტუმრად ნათამაშები ფრე - 1:1. გუნდის კაპიტანმა **ალექსანდრე იაშვილმა** თავი საგოლე პასით გამოიჩინა - 78-ე წუთზე მან **ხრიზანტუსს** გაატანინა. პირველ ტაიმში იაშვილს საგოლე მომენტი ჰქონდა, ერთხელაც ის საჯარიმოში წააქციეს, მაგრამ მსაჯმა პენალტი არ დანიშნა. ჩვენებურის სტატისტიკა ამ თამაშში ასეთია: 58 შეხება ბურთთან, 36 (26) პასი, 1 კარში დარტყმა. ეს ჩვენებურის მე-6 საგოლე პასი იყო სეზონში (მას 5 გოლი აქვს გატანილი). „კარლსრუე“ 24 ქულით კვლავ სახიფათო ზონაშია, მე-16 ადგილზეა. „შპორტალმა“ ჩვენს თანამემამულეს 3-იანი დაუწერა.



ნიკა ძალამიძე

ის, რაც მის სამშობლოში კარგა ხნით ადრე ვიცოდით, იტალიაში „ინტერთან“ საგარეო მატჩის წინ გახმოვანდა - **კახა კალაძემ** „ჯენოასთან“ კონტრაქტი 2 სეზონით გააგრძელა. „ინტერთან“ მატჩის წინ ჩვენებური აცხადებდა, რომ **ლეონარდოსთან**, რომელიც მას ბოლოს „მილანში“ წვრთნიდა, პრობლემა არა აქვს და მას ჩვეულებრივად შეხვდება. სამწუხაროდ, ქართველისთვის და მისი გუნდისთვის თამაში „სან სიროზე“ ძალიან ცუდად წარიმართა, „ჯენოა“ 2:5 განადგურდა, კახამ ყვითელი ბარათი მიიღო და თამაშის მიწურულს შეცვალეს. „დიზასტრო კალაძე“ - ასეთი სათაურია „ტუტო მერკატოს“ ვებგვერდზე, სადაც კახას 4,5 შეფასება მისცეს, ყველაზე დაბალი მატჩში: „*ეს არ იყო მისი დღე, პაცინიმ აჯობა „ინტერის“ პირველი გოლისას. დაუშვა რიგი შეცდომებისა*“.

სერია ბ-ში კვლავ **ლევან მჭედლიძის** გარეშე ითამაშა „ემპოლიმ“, რომელიც შინ „მოდენასთან“ 0:1 დამარცხდა. ქართველი ფორვარდი კვლავ ტრავმირებულია.

**მერაბ ჟორდანიას** „ვიტესმა“ შინ 2:0 მოუგო „ვენლოს“ და ახლა გასავარდნ ზონას 6 ქულით უსწრებს. ჩვეულებრისამებრ, შეუცვლელად ითამაშა **გურამ კაშიამ**. „ვიტესი“ მეტოქეს აშკარად სჯობდა, მხოლოდ ბოლოს შეუტია „ვენლომ“ და ისიც კაშიას კარგი თამაშის წყალობით, მასპინძლებმა კარი „მშრალად“ შეინახეს.

თურქულ სუპერლიგაში ფეხბურთელი აღარ შემოგვრჩა, თუმცა **შოთა არველაძის** უხსენებლად ლეგიონის მიმოხილვას არ დავტოვებთ. ამჯერად, ქართველმა სპეციალისტმა მარცხი განიცადა - მისმა „კაისერისპორმა“ შინ 1:2 „მანისასთან“ წააგო. ქართველის გუნდი ჯერჯერობით ინარჩუნებს მე-4 ადგილს.

**გიორგი შაშიაშვილის** „ერგოტელისი“ სტუმრად „ოლიმპიაკოსთან“ მატჩში განადგურდა - 0:3, თუმცა ქართველ მცველს არ უთამაშია - სათადარიგო იყო. **დავით კვირკველიას** „პანიონიოსი“ „ატრომიტოსს“ ეწვია, ქართველი კი სასტარტო შემადგენლობაში იყო და 83-ე წუთზე შეცვალეს. „პანიონიოსმა“ 2:1 იმარჯვა.

ზამთრის ძილიდან გამოვიდა უკრაინული პრემიერლიგა, სადაც რამდენიმე ქართველის დებიუტიც შედგა. **მათე ღვინიანიძის** კარიერა ისე არ წარიმართა, როგორც ქართველ გულშემატკივრებს სურთ - გერმანიის II ბუნდესლიგის კლუბიდან პერსპექტიული ქართველი მცველი უკრაინის აუტსაიდერთა რიგებში მოხვდა. ამიერიდან ის „ალიანსარენას“ ნაცვლად „სევასტოპოლში“ ითამაშებს. მათეს დებიუტი კი სიმფეროპოლში შედგა, სადაც მისი კლუბი 95-ე წუთამდე ებრძოდა ჩემპიონ „შახტარს“, თუმცა მსაჯის მიერ დამატებულ მე-5 წუთზე **ლუის ადრიანომ** საკმაოდ საეჭვო სიტუაციაში გაიტანა. „ტერიკონმა“ მათეს თამაში 6,3 ბალით შეაფასა (6 ნორმალურს ნიშნავს, 7 ბრწყინვალეს). მეორე დღეს „ილიჩივეცში“ დებიუტი ჰქონდა **თორნიკე ოქრიაშვილს**, მისმა გუნდმა სტუმრად 4:0 გაანადგურა ზაპოროჟიეს „მეტალურგი“, ქართველმა 6,68 შეფასება მიიღო. იმავე დღეს კიდევ ერთი ქართული დებიუტი ვიხილეთ, **ჯაბა ლიპარტიამ** (შეფასება 6) სასტარტოში ითამაშა, მისმა „ზარიამ“ კი 3:0 მოუგო „ვოლინს“. **ჯაბა კანკავა** უკრაინულ ჩემპიონატში გაშინაურებულია, თუმცა „კრივბასის“ მაისურით მან პირველად ითამაშა. მისი გუნდი შინ „ობოლონს“ 2:2 დაუზავდა.

რუსულ „კრასნოდარში“ დებიუტი ჰქონდა მის კაპიტან **ალექსანდრე ამისულაშვილს**, რუსეთის თასიდან ამ გუნდმა დამატებით დროში გამოაგდო „ამკარი“. ჩვენებურმა შეუცვლელად ითამაშა და ყვითელი ბარათი მიიღო.

**ვასილ გიგიაძის** „ტავრია“ სტუმრად 2:2 დაუზავდა **უჩა ლობჟანიძის** (ტრავმა) „დნიპროს“. ვეტერანი ქართველი ფორვარდი ბოლო 5 წუთით შეუშვეს და მაშინვე გაათანაბრეს სტუმრებმა. კიევში „არსენალის“ რიგებში არ გამოჩენილა **ალექსანდრე კობახიძე**, ხოლო სტუმარი „კარპატის“ შემადგენლობაში ახლახან გამოჯანმრთელებული **ალექსანდრე გურული** სათადარიგო იყო, მატჩი 2:2 მორჩა.

უნგრეთის ჩემპიონატში „დიორი ეტო“ შინ 0:1 დამარცხდა „ვაშაშთან“ - **რატი ალექსიძემ** შეუცვლელად ითამაშა, სხვა ქართველები კი არ გამოჩენილან.

სერბეთის ჩემპიონატში, ცუდი მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად, თავი გამოიჩინა **გიორგი მერებაშვილმა** - გიორგის „ვოივოდინამ“ სტუმრად 2:1 მოუგო „იაგოდინას“, 31-ე წუთზე ანგარიში პენალტით ქართველმა გახსნა, 74-ე წუთზე კი მან **ილიჩს** გაატანინა. ჩვენებურმა მე-8 გოლი გაიტანა ჩემპიონატში. რუმინეთში **აკაკი ხუბუტიას** „გაზ მეთანი“ 0:0 დაუზავდა „პლოიეშტის“, ქართველმა მცველმა 90 წუთი ითამაშა.

სხვა ლიგებიდან ქართველებმა გოლებით თავი გამოიჩინეს: **ნუგზარ კვირტიამ** (აზალი, აზერბაიჯანი), **ზაზა ჭელიძემ** (ბრესტი, ბელარუსი), **გიორგი ტუხაშვილმა** (ნისტრუ, მოლდოვა), **ვალტერ ხორგუაშვილმა** (როვანიემი, ფინეთი) და **ლევან კუტალიამ** (ზრინსკი, ბოსნია).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ინგლისი. პრემიერლიგა XXIX ტური

# ლივერპული, ლივერგული, ლივერსული...



„არსენალს" „მანჩესტერ იუნაიტედთან" მიახლოვების შესანიშნავი შანსი ჰქონდა, მაგრამ როგორც სჩვევია, ყველაზე საჭირო მომენტში ვერ მოიგო. სწორედ მაშინ გაარტყა ძელს, ვერ დაუმიზნა ხეირიანად, დარტყმას ძალა დააკლო, მაინცდამაინც მაშინ მოიგიჟიანა თავი სტუმრების ბელგიელმა მეკარე **სიმონ მინოლემ**, რომელიც ყველა შეხვედრაში ასე რომ თამაშობდეს „სანდერლენდში" არავინ გააჩერებდა და, მაინცდამაინც მაშინ „გაუფუჭდათ მსაჯებს მხედველობა" — „მეთოფეებს" გეგონება თავისი არ ეყოფოდათ, ერთი პენალტი არ დანიშნეს და ერთიც ნაღდი გოლი არ ჩათვალეს. ორივე ეპიზოდში **ანდრეი არშავინი** მონაწილეობდა. პენალტს რომ ვამბობთ, იმ მომენტში საჯარიმოში დიდი სისწრაფით შევარდნილ რუსს ხელი **ტაიტუს ბრამბლმა** უბიძგა, გოლზე კი რა გითხრათ... არანაირი ოფსაიდი იქ არ იყო.

*„იმდენად აღელვებული ვარ, რომ ლაპარაკიც კი არ შემიძლია,* - თქვა მატჩის შემდეგ ჩრდილოლონდონელთა მწვრთნელმა **არსენ ვენგერმა**. - *რა გითხრათ? მთელი ძალ-ღონე ჩავაქსოვეთ და არაფერი გამოვიდა. ეჭვი არ მეპარება, რომ არშავინმა ალალი გოლი შეაგდო, მაგრამ განა ამას ახლა რამე ეშველება? საერთოდ, პრემიერლიგაში, ასეთი ეპიზოდები შედეგებს უკვე დიდ დაღს ასვამენ. განბილებულები ვართ, მაგრამ ერთადერთი რაც შეგვიძლია ტუჩზე კბენა და შემდეგ თამაშზე გადართვაა. შეგრძნება, რომ უსამართლოდ დავისაჯეთ ამ სეზონში პირველად არ გვეუფლება.*

*თამაშის ხარისხზე კი რა მოგახსენოთ? კარგი იყო. დაცვაში უშეცდომოდ ვთამაშობდით, ფიზიკურად კარგი მომზადება გამოვამჟღავნეთ, ჟინი და მონდინება არ გვაკლდა. ერთადერთი, მონინაალმდეგის საჯარიმოს სიახლოვესთან ცოტა ფანტაზია და სიმწვავე გვჭირდებოდა, მაგრამ მსაჯების ორი უხეში შეცდომა რომ არა, მაინც მოვიგებდით.*

*მეტი რაღა კომენტარი გავაკეთო? ჩემი საქმე ფეხბურთია, მსაჯების — სამართლიანად განსჯა. მე შემიძლია ჩემსაზე გითხრათ, ხოლო იმაზე, თუ რამდენად გაართვეს თავიანთ საქმეს თავი მსაჯებმა, დაე გაზეთებმა დაწერონ*

*ბოლო 11 შეხვედრიდან 8 მოვიგეთ და 3 ფრედ ვითამაშეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ სტაბილურობა არ გვაკლია. დღეს არ გაგვიმართლა, მაგრამ ძალიან მეეჭვება, ამ შედეგმა ჩემპიონატზე რაიმე ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოახდინოს".*

არშავინი კი ფილოსოფიური მსჯელობის გუნებაზე იყო: *„რას იზამ, ახლა ველარაფერს შეცვლი. ფეხბურთში ასეთი შემთხვევები ხშირია. ახლა „სანდერლენდთან" თამაში უნდა დავივიწყოთ და „ბარსელონაზე" გადავერთოთ".*

შეგახსენებთ, რომ „მეთოფეებს" ხვალ, ჩემპიონთა ლიგაში მერვედფინალის საპასუხო შეხვედრა აქვთ.

„სიტი ოფ მანჩესტერ სთედიუმზე" კი პირველი ტაიმის დამთავრებას 7 წუთი რომ აკლდა, „უიგანის" მეკარე, 29 წლის ომანელი **ალი ალ ჰაბსი დავიდ სილვას** დარტყმულს რატომღაც გაჩხიკული ფეხებით დახვდა, ხელებით ბურთი ვერ შეიამაგრა და... იმ შეხვედრაში მეტი გოლი აღარც გასულა.

იცით, რომ ამ შეცდომით ალ ჰაბსიმ „სიტის" მცველ **კოლო ტურეს** უშველა? რა შუაშია? საქმე ის გახლავთ, რომ ტურეს, დოპინგტესტზე ჩავარდნის შემდეგ სტადიონზე არავინ ელოდა. ყველას ეგონა, ის იმდენად ნირწამხდარი იქნებოდა, რომ ტრიბუნაზე ვერც კი დაჯდებოდა, მაგრამ მან გაბედა, ისტლენდზე მივიდა და გაუმართლა: თავიდან ყველა მისკენ იშვერდა თითს, 38-ე წუთის შემდეგ კი ყველამ ალ ჰაბსისკენ გადაიტანა ყურადღება. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზეც ძირითადად ტურეზე იყო ლაპარაკი. **რობერტო მანჩინი** და თანაგუნდელები მის გამხნევებას ცდილობდნენ, ასე რომ, თქვენი ნებართვით, ტურის მიმოხილვაში ამაზე აღარ შევჩერდებით.

„ვესტ ჰემი" ამ ბოლო დროს მოძლიერდა. „სტოკ სიტის" 3:0 დამარცხების შემდეგ **ავრამ გრანტის** გუნდმა გასავარდნთა ზონასაც კი დააღწია თავი. ზედიზედ „ჩაქუჩებს" ერთი წელიწადია არ მოუგიათ. გრანტმა თქვა:

*„აღმასვლა ზედმიწევნით შესაფერის დროს დავიწყეთ. რასაკვირველია, ისიც კარგად გვესმის, რომ ასე ვერ გავაგრძელებთ - ყოველ შეხვედრაში სამი გოლი არავის გააქვს, მაგრამ მთავარია შემტევ ფეხბურთს არ ვუღალატოთ".*

„ნიუკასლმა" კი თავის მოედანზე ამ სეზონში მეხუთედ წააგო. ამაში გადამწყვეტი როლი „ევერტონის" მცველმა **ფილ ჟაგიელკამ** ითამაშა. გამარჯვების გოლი სწორედ მან შეაგდო.

„ფულჰემმა" კი გაიხარა: „ბლექბერნ როვერსთან" შინ 2:2-ს ამთავრებდა, როდესაც მსაჯმა **მარკ კლეტენბერგმა** სტუმრების კარში საეჭვო პენალტი დანიშნა და **ბობი ზამორამ** გამარჯვებისა შეაგდო. „ბლექბერნის" შოტლანდიელმა მწვრთნელმა **სტივ კინმა** კლეტენბერგის კრიტიკაზე უარი თქვა, „ფულჰემის" თავკაცმა **მარკ ჰიუზმა** კი თქვა, რომ მსაჯს მისი გუნდის სასარგებლოდ რამდენიმე წუთით ადრე და პირველ ტაიმში მართებდა პენალტის დანიშვნა.

კინი: *„მატჩის შემდეგ მარკს ვკითხე, რატომ დანიშნა პენალტი. ვთხოვე აეხსნა, რანაირად აღიქვა ის ეპიზოდი. მან მიპასუხა, რომ გრანტ ჰენლიმ აარონ ჰიუზს ორივე ხელი შემოხვია. ჩანაწერში მართლაც ჩანს, რომ ტექნიკურად მსაჯი მართალია, მაგრამ მასაც ვუთხარი, რომ თუ ის ასეთ დარღვევებს გამოეკიდება, ყოველ თამაშში ათი პენალტის დანიშვნა მოუწევს".*

ასეთივე ანგარიშით დასრულდა „ბოლტონისა" და „ასტონ ვილას" შეხვედრა, სადაც ბირმინგმელთა ერთ-ერთმა ლიდერმა **ეშლი ინგმა** პენალტი ვერ გაიტანა, **რონი ჰოჯსონმა** კი „ვესტ ბრომვიჩს" პირველად მოაგებინა — „ქარლინგის თასის" მფლობელი „ბირმინგემი" შინ 3:1 დამარცხდა. ეტყობა **ალექს მაკლიში** და მისი ბიჭები ქეიფს გადაყვნენ.

ხოლო ტურის მთავარ შეხვედრაში „ლივერპულმა" დაამტკიცა, რომ ძალიან არ უნდა „მანჩესტერ იუნაიტედს" ინგლისის ჩემპიონის მე-19 ტიტულის მოპოვების საშუალება მისცეს. მერსისაიდელებმა სერ **ალექს ფერგიუსონის** შეგირდებს დამსახურებულად მოუგეს. მანჩესტერელთა გოლი **ჩიჩარიტომ** მხოლოდ 90-ე წუთზე შეაგდო, როდესაც მას მხოლოდ მორალური მნიშვნელობაღა ჰქონდა. ამრიგად, მანჩესტერელთა მეფური სვლა ტიტულისკენ დაბრკოლდა, ხოლო „წითლებმა" ამ სეზონში „ოლდ ტრეფორდზე" ორი დამარცხების შემდეგ (3:2 პრემიერლიგაში და 1:0 ფეხბურთის ასოციაციის თასზე) გული მოფხანეს.

ლივერპულელთაგან სამივე გოლი **დირკ კუიტმა** გაიტანა. სტატისტიკა ამბობს, რომ მერსისაიდელს „მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგ ჰეთ-თრიკი 1990 წლის შემდეგ არ შეუსრულებია — მაშინ ეს **პიტერ ბერდსლიმ** შეძლო. და მართალია, კუიტი ქების ღირსია, მაგრამ არ შეიძლება უპირველეს ყოვლისა **ლუის სუარესი** არ ვახსენოთ, რომელმაც დიდებულად ითამაშა და ორ გოლში დიდი მონაწილეობა მიიღო — განსაკუთრებით ეფექტური, რასაკვირველია პირველი გახლდათ. აღსანიშნავია ნახევარდაცვაში **რაულ მეირელეშისა** და **ლუკას ლეივას** ჩინებული მოქმედება. რაც შეეხება „იუნაიტედს", სტუმრები აშკარად მძიმედ მოძრაობდნენ, ყოველ შემთხვევაში მასპინძლებთან შედარებით.



მატჩის შემდეგ კუიტმა ტელეკომპანია SKY Sport-ს უთხრა: *„დიდებული გრძნობაა. თავდამსხმელი ჰეთ-თრიკზე ყოველთვის ოცნებობს, ხოლო მისი „მანჩესტერ იუნაიტედთან" შესრულება ორმაგი ბედნიერებაა. აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ ჩემი დღევანდელი წარმატება ლუის სუარესის დამსახურებაა, რომელმაც ორ შემთხვევაში საოცარი ასისტენტობა გამიწია. ეს გოლები რთული გასატანი არ იყო. ასეთები ჰოლანდიაში გამქონდა, სადაც უფრო წინ, უშუალოდ მეტოქის კარის სიახლოვეს მათამაშებდნენ".*

ტურის ბოლო შეხვედრა კი, „ვულვერჰემპტონსა" და „ტოტენჰემს" შორის ექვსგოლიანი გამოდგა. საბოლოოდ ანგარიში „ვულვზის" სათადარიგომ, **სტივენ ფლეტჩერმა** გაიტანა.

გვერდი მოამზადა
ილია **ბაბუნაშვილმა**

## გამოტოვებული მატჩი.

9 მარტი. ევერტონი-ბირმინგემი

## XXXX ტური

19 მარტი. ტოტენჰემი-ვესტ ჰემი, ასტონ ვილა-ვულვერჰემპტონი, ბლექბერნი-ბლექპული, მანჩესტერ იუნაიტედი-ბოლტონი, სტოკი-ნიუკასლი, ვესტ ბრომვიჩი-არსენალი, უიგანი-ბირმინგემი, ევერტონი-ფულჰემი;

20 მარტი. სანდერლენდი-ლივერპული, ჩელსი-მანჩესტერ სიტი.

## შოტლანდია

პრემიერლიგა. XXIX ტური.

**სელტიკი-ჰემილტონი 2:0**

გოლები: 1:0 კომონსი (42), 2:0 კომონსი (52)

**ჰართსი-კილმარნოკი 0:2**

გოლები: 0:1 სილვა (50), 0:2 ერიომენკო (56)

**ინვერნესი-მიზერუელი 3:0**

გოლები: 1:0 საზერლენდი (18), 2:0 ფორენი (64), 3:0 მაკდონალდი (72)

**სტ. ჯონსტონი-ჰიბერნიანი 1:1**

გოლები: 1:0 ტაუელი (46 ს.კ.), 1:1 უოზერსპუნი (80)

**სტ. მირენი-რეინჯერსი 0:1**

გოლები: 0:1 ბერტლი (24)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 28 | 21 | 4 | 3 | 61-17 | 67 |
| 2. რეინჯერსი | 26 | 20 | 2 | 4 | 58-23 | 62 |
| 3. ჰართსი | 28 | 17 | 4 | 7 | 41-24 | 55 |
| 4. კილმარნოკი | 28 | 12 | 6 | 10 | 42-33 | 42 |
| 5. მოზერუელი | 29 | 11 | 4 | 14 | 31-38 | 37 |
| 6. ინვერნესი | 29 | 9 | 9 | 11 | 39-37 | 36 |
| 7. დანდი იუნ. | 25 | 8 | 10 | 7 | 30-31 | 34 |
| 8. ჰიბერნიანი | 29 | 9 | 5 | 15 | 31-45 | 32 |
| 9. სტ. ჯონსტ. | 28 | 8 | 8 | 12 | 18-34 | 32 |
| 10. აბერდინი | 28 | 9 | 4 | 15 | 30-44 | 31 |
| 11. სტ. მირენი | 28 | 5 | 7 | 16 | 22-45 | 22 |
| 12. ჰემილტონი | 28 | 2 | 9 | 17 | 16-48 | 15 |

**ბომბარდირები:** 21 – მილერი (რეინჯერსი); 15 - სემონი (კილმარნოკი); 13 - რუნი (ინვერნესი), სტოკსი (სელტიკი) ჰუპერი (სელტიკი); 12 - გუდვილი (დანდი); 11 – ბლექმენი (აბერდინი); 10 - რიორდანი (ჰიბერნიანი), ვერნონი (აბერდინი)

## ბირმინგემი–ვესტ ბრომვიჩი 1:3

**ბირმინგემი** (4-4-2): ფოსტერი - კარი, რ. ჯონსონი, კ. დევისი, რიჯუელი (80. მერფი) - ბიუსეჟური (67. ფილიპსი), ფეჰეი, ბოიერი, ბენტლი - ჯერომი, მარტინსი.

**ვესტ ბრომვიჩი** (4-5-1): კარსონი - რიდი, ოლსონი, მეტი, შორი - ბრანტი, მულუმბუ, შარნერი, მორისონი (78. ტამასი), ტომასი (67. ხარა) - ფორჩუნი (45. ოდემვინგე).

**გოლები:** 0:1 მულუმბუ (47), 1:1 ბიუსეჟური (48), 1:2 მორისონი (58), 1:3 შარნერი (72)

**გაფრთხილება:** ბოიერი, რიჯუელი, ფეჰეი - შარნერი

**კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 10-9; **კარში დარტყმა:** 12-10 (4-5); **თამაშგარე:** 1-2; **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 27 013

## არსენალი–სანდერლენდი 0:0

**არსენალი** (4-4-2): შჩესნი - სანია, კოშელნი, ჯურუ, კლიში - ნასრი, დენილსონი (61. შამახი), უილშირი, არშავინი - დიაბი (77. როსიცკი), ბენდტნერი.

**სანდერლენდი** (4-5-1): მინოლეი - ბერდსლი, მენსა, ბრემბლი, ა. ფერდინანდი - მუნტარი, მოლბრანკი (68. უილბეკი), ჰენდერსონი (88. კოლბეკი), რიჩარდსონი, სესენიონი - ასამოა (78. ელ მუჰამედი).

**გაფრთხილება:** კოშელნი, ნასრი, უილშირი - რიჩარდსონი, ჰენდერსონი, კოლბეკი

**კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 13-10; **კარში დარტყმა:** 12-7 (6-3); **თამაშგარე:** 6-5; **ბურთის ფლობა:** 63%-37%

**მაყურებელი:** 60 081

## ბოლტონი–ასტონ ვილა 3:2

**ბოლტონი** (4-4-2): იაასკელაინენი - სტეინსონი, უიტერი, გ. კეჰილი, რობინსონი - ელმანდერი (67. კლასნიჩი), მუამბა (60. მ. დევისი), ჰოლდენი, მ. პეტროვი (60. ლი) - კ. დევისი, სტარიჯი.

**ასტონ ვილა** (4-5-1): ფრიდელი - უოქერი, კლარკი. ლ. იანგი, ბეიკერი - ოლბრაიტონი (83. აგბონლაჰორი), დელფი (77. ს. პეტროვი), რიო-კოკერი, ე. იანგი, დაუნინგი - ბენტი.

**გოლები:** 0:1 ბენტი (15), 1:1 გ. კეჰილი (45), 1:2 ოლბრაიტონი (64), 2:2 გ. კეჰილი (75), 3:2 კლასნიჩი (86)

**ვერ გაიტანა პენალტი:** ე. იანგი (70—ასტონ ვილა)

**გაფრთხილება:** ელმანდერი, ჰოლდენი, იაასკელაინენი, სტეინსონი, უიტერი - კლარკი, უოქერი

**კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 19-13; **კარში დარტყმა:** 17-13 (4-6); **თამაშგარე:** 2-3; **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 22 533

## ფულჰემი–ბლექბერნი 3:2

**ფულჰემი** (4-4-2): შვარცერი - ბეირდი, ჰანგელანდი, ჰიუზი, სალსიდო - დაფი, ეტუჰუ, მერფი (70. ზამორა), დემპსი - ე. ჯონსონი, დემბელე (78. კაკუტა).

**ბლექბერნი** (4-4-2): რობინსონი - სალგადო (90. ემერტონი), სამბა, ჰენლი, ჟივე (77. პედერსენი) - ჰოილეტი (82. როჩინა), ჯონსი, ნზონზი, ოლსენი - მ. ბ. დიუფი, რობერტსი.

**გოლი:** 1:0 დაფი (37), 1:1 ჰენლი (45), 2:1 დაფი (59), 2:2 ჰოილეტი (65), 3:2 ზამორა (89-პენ)

**გაფრთხილება:** ეტუჰუ, ბეირდი - რობერტსი, ჰენლი, ჯონსი

**კუთხური:** 9-7; **ჯარიმა:** 13-19; **კარში დარტყმა:** 20-15 (7-7); **თამაშგარე:** 2-1; **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 25 687

## ნიუკასლი–ევერტონი 1:2

**ნიუკასლი** (4-4-2): ჰარპერი - ტეილორი (65. ფერგიუსონი), კოლოჩინი, უილიამსონი, სანჩესი (43. ამეობი) - სიმპსონი, ნოლანი, ტიოტე, ხონასი - ბესტი (85. კუქი), ლოვენკრანდსი.

**ევერტონი** (4-4-2): ჰოვარდი - ჰიბერტი, დისტინი, ჟაგიელკა, ბეინესი - ოსმანი (85. კოულმენი), როდუელი, ფ. ნევილი (52. ჰეიტინგა), არტეტა - ბეკფორდი (69. ენიჩიბე), საა.

**გოლები:** 1:0 ბესტი (23), 1:1 ოსმანი (31), 1:2 ჟაგიელკა (36)

**გაფრთხილება:** ტეილორი, ნოლანი - ჰიბერტი, ენიჩიბე, ჰეიტინგა, ბეინესი

**კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 12-16; **კარში დარტყმა:** 13-18 (3-7); **თამაშგარე:** 6-2; **ბურთის ფლობა:** 60%-40%

**მაყურებელი:** 50 128

## ვესტ ჰემი–სტოკი 3:0

**ვესტ ჰემი** (4-3-3): გრინი - და კოსტა, აპსონი, ტომკინსი, ბრიჯი - ნობლი, პარკერი (90. გებიდონი), ჰიტცლშპერგერი - პიკიონი, ბა (82. ო'ნილი), კ. კოული (86. ობინა).

**სტოკი** (4-4-2): ბეგოვიჩი - უილსონი, ჰუთი, შოუკროსი, პაფი - პენანტი (52. ეზერინგტონი), უაიტჰედი, უილენი, დელაპი (69. ჯონსი) - უოლტერსი, კარეუ (65. ფულერი).

**გოლები:** 1:0 ბა (21), 2:0 და კოსტა (29), 3:0 ჰიტცლშპერგერი (83)

**გაფრთხილება:** უილსონი, შოუკროსი, პაფი (სამივე სტოკი)

**კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 14-11; **კარში დარტყმა:** 22-9 (7-4); **თამაშგარე:** 4-1; **ბურთის ფლობა:** 59%-41%

**მაყურებელი:** 33 066

## მანჩესტერ სიტი–უიგანი 1:0

**მანჩესტერ სიტი** (4-3-3): ჰარტი - რიჩარდსი, კომპანი, ლესკოტი, საბალეტა - ი. ტურე, ბერი, ვიეირა - ბალოტელი (69. კოლაროვი), სილვა (84. დე იონგი), ტევესი (86. ჯეკო).

**უიგანი** (4-5-1): ალ ჰაბსი - როდრიგესი (69. გუჰური), ალკარასი, კოლდუელი, ფიგეროა - კლივერლი, დიამე (84. სემონი), მაკარტი, უოტსონი, მიზესი (60. ნ'ზოგბია) - როდალეგა.

**გოლები:** 1:0 სილვა (38)

**გაფრთხილება:** რიჩარდსი, ბერი, კომპანი - კოლდუელი

**კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 18-9; **კარში დარტყმა:** 7-13 (2-2); **თამაშგარე:** 1-3; **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 44 684

## ლივერპული–მანჩესტერ იუნ. 3:1

**ლივერპული** (4-4-2): რეინა - გ. ჯონსონი, შკრტელი, კარაგერი, აურელიო (24. კირიაკოსი) - მეირელეში (74. ქეროლი), ლუკასი, ჯერარდი, მაქსი როდრიგესი - სუარესი (89. ჯ. კოული), კუიტი.

**მანჩესტერ იუნაიტედი** (4-4-2): ვან დერ სარი - რაფაელი (76. ო'ში), ბრაუნი, სმოლინგი, ევრა - ნანი (45. ერნანდესი), სქოულზი (84. ფლეტჩერი), ქერიკი, გიგზი - რუნი, ბერბატოვი.

**გოლები:** 1:0 კუიტი (34), 2:0 კუიტი (39), 3:0 კუიტი (65), 3:1 ერნანდესი (90)

**გაფრთხილება:** კარაგერი, შკრტელი - ვან დერ სარი, რაფაელი, სქოულზი

**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 12-13; **კარში დარტყმა:** 16-13 (6-3); **თამაშგარე:** 0-3; **ბურთის ფლობა:** 42%-58%

**მაყურებელი:** 44 753

## ვულვერჰემპტონი–ტოტენჰემი 3:3

**ვულვერჰემპტონი** (4-4-2): ჰენესი - ფოული, ბერა, სტირმენი, ელოკობი - ჰემილი (74. ფლეტჩერი), მილიაში, ჰენრი, ჯერვისი - უორდი (60. ებანკს-ბლეიკი), დოილი.

**ტოტენჰემი** (4-4-2): გომეში - ჰატონი, დოუსონი, გალასი, ასუ-ეკოტო - პიენაარი (69. ბეილი), სანდრო, ჯენასი, მოდრიჩი (85. კრანჩარი) - პავლიუჩენკო (74. ლენონი), დეფო.

**გოლები:** 1:0 დოილი (20), 1:1 დეფო (29), 1:2 დეფო (35), 2:2 დოილი (39-პენ), 2:3 პავლიუჩენკო (47), 3:3 ფლეტჩერი (87)

**გაფრთხილება:** ჰატონი, დოუსონი, გალასი (სამივე ტოტენჰემი)

**კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 11-11; **კარში დარტყმა:** 17-20 (4-7); **თამაშგარე:** 0-2; **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 28 669

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 29 | 17 | 9 | 3 | 63-30 | 60 |
| 2. არსენალი | 28 | 17 | 6 | 5 | 57-27 | 57 |
| 3. სიტი | 29 | 15 | 8 | 6 | 45-25 | 53 |
| 4. ჩელსი | 27 | 14 | 6 | 7 | 48-23 | 48 |
| 5. ტოტენჰემი | 28 | 13 | 9 | 6 | 41-34 | 48 |
| 6. ლივერპული | 29 | 12 | 6 | 11 | 39-36 | 42 |
| 7. ბოლტონი | 29 | 10 | 10 | 9 | 42-40 | 40 |
| 8. სანდერლენდი | 29 | 9 | 11 | 9 | 33-35 | 38 |
| 9. ნიუკასლი | 29 | 9 | 9 | 11 | 44-41 | 36 |
| 10. ევერტონი | 28 | 8 | 12 | 8 | 37-37 | 36 |
| 11. ფულჰემი | 29 | 7 | 14 | 8 | 32-31 | 35 |
| 12. სტოკი | 29 | 10 | 4 | 15 | 32-38 | 34 |
| 13. ასტონ ვილა | 29 | 8 | 9 | 12 | 37-50 | 33 |
| 14. ბლექბერნი | 29 | 9 | 5 | 15 | 37-49 | 32 |
| 15. ბლექპული | 28 | 9 | 5 | 14 | 42-55 | 32 |
| 16. ვესტ ბრომ. | 29 | 8 | 8 | 13 | 39-54 | 32 |
| 17. ვესტ ჰემი | 29 | 7 | 10 | 12 | 36-49 | 31 |
| 18. ბირმინგემი | 27 | 6 | 12 | 9 | 26-38 | 30 |
| 19. ვულვზი | 29 | 8 | 5 | 16 | 34-49 | 29 |
| 20. უიგანი | 29 | 5 | 12 | 12 | 27-50 | 27 |

**ბომბარდირები:** 19 - ბერბატოვი (მანჩესტერ იუნაიტედი); 18 - ტევესი (მანჩესტერ სიტი); 11 - ბენტი (ასტონ ვილა), ნოლანი (ნიუკასლი), ქეროლი (ნიუკასლი); 10 - ერნანდესი (მანჩესტერ იუნაიტედი) ვან დერ ვაარტი (ტოტენჰემი), ვან პერსი (არსენალი)

## ინგლისი. ჩემპიონატი

XXXV ტური

**ბარნლი-კრისტალ პალასი 1:0**

გოლები: 1:0 როდრიგესი (3)

**ქოვენთრი-ბრისტოლი 1:4**

გოლები: 0:1 მეინარდი (15), 0:2 ნიატანგა (23), 0:3 კლერკსონი (44), 1:3 იუცკევიჩი (53), 1:4 ელიოტი (82)

**დერბი-ბარნსლი 0:0**

**ლიდსი-დონკასტერი 5:2**

გოლები: 1:0 გრადელი (11), 1:1 შარპი (45), 1:2 მუსა (48), 2:2 ჰოუსონი (49), 3:2 ბეკიო (75), 4:2 გრადელი (83), 5:2 ჰოუსონი (90)

**ნორვიჩი-პრესტონი 1:1**

გოლები: 0:1 ბრაუნი (60), 1:1 ჰოლტი (62)

ვერ გაიტანა პენალტი: პულაჰანი (73-ნორ.)

**ნოტინგემი-ჰალი 0:1**

გოლები: 0:1 ფრაიატი (64)

**პორტსმუთი-შეფილდი 1:0**

გოლები: 1:0 ჰრეიდერსონი (24)

**ქუინზ პარკი-ლესტერი 1:0**

გოლები: 1:0 მილერი (88)

**რედინგი-მიდლსბრო 5:2**

გოლები: 1:0 რობსონ-კანუ (14), 1:1 ლიტა (29), 2:1 ჰერტი (35), 3:1 ჰერტი (48), 4:1 ლონგი (52), 5:1 ლონგი (68), 5:2 ლიტა (72)

**სკანთორპი-სუონსი 1:0**

გოლები: 1:0 გარნერი (70)

**უოტფორდი-მილუოლი 1:0**

გოლები: 1:0 გრემი (51)

**კარდიფი-იფსვიჩი 0:2**

გოლები: 0:1 ბალარდი (67), 0:2 ბალარდი (85)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ქუინზ პარკი | 35 | 19 | 13 | 3 | 57-20 | 70 |
| 2. სუონსი | 35 | 19 | 5 | 11 | 48-31 | 62 |
| 3. კარდიფი | 35 | 18 | 7 | 10 | 55-40 | 61 |
| 4. ნორვიჩი | 35 | 16 | 12 | 7 | 55-43 | 60 |
| 5. ნოტინგემი | 35 | 15 | 14 | 6 | 45-30 | 59 |
| 6. ლიდსი | 35 | 15 | 12 | 8 | 67-57 | 57 |
| 7. ბარნლი | 33 | 14 | 11 | 8 | 50-39 | 53 |
| 8. ჰალი | 35 | 13 | 13 | 9 | 40-36 | 52 |
| 9. ლესტერი | 35 | 15 | 7 | 13 | 51-52 | 52 |
| 10. რედინგი | 35 | 12 | 15 | 8 | 56-41 | 51 |
| 11. პორტსმუთი | 35 | 14 | 8 | 13 | 48-46 | 50 |
| 12. უოტფორდი | 34 | 13 | 10 | 11 | 60-51 | 49 |
| 13. მილუოლი | 35 | 12 | 11 | 12 | 43-37 | 47 |
| 14. იფსვიჩი | 34 | 13 | 6 | 15 | 45-43 | 45 |
| 15. ბრისტოლი | 35 | 12 | 8 | 15 | 45-50 | 44 |
| 16. ბარნსლი | 35 | 11 | 10 | 14 | 40-51 | 43 |
| 17. დონკასტერი | 35 | 11 | 9 | 15 | 48-65 | 42 |
| 18. დერბი | 35 | 11 | 7 | 17 | 43-48 | 40 |
| 19. ქოვენთრი | 34 | 11 | 7 | 16 | 37-44 | 40 |
| 20. მიდლსბრო | 34 | 10 | 7 | 17 | 42-52 | 37 |
| 21. კრ. პალასი | 35 | 9 | 8 | 18 | 33-55 | 35 |
| 22. სკანთორპი | 34 | 10 | 4 | 20 | 32-58 | 34 |
| 23. შეფილდ იუნ. | 35 | 7 | 8 | 20 | 30-55 | 29 |
| 24. პრესტონი | 34 | 5 | 10 | 19 | 36-62 | 25 |

**ბომბარდირები:** 18 - გრემი (უოტფორდი); 17 - ლონგი (რედინგი); 16 - ბეკიო (ლიდსი), სინკლერი (სუონსი); 15 - ბოთროიდი (კარდიფი), შარპი (დონკასტერი) ტაარაბტი (ქუინზ პარკი); 14 - ჰოლტი (ნორვიჩი), გრადელი (ლიდსი); 13 – კინგი (ლესტერი); 11 - იუელუმო (ბარნლი), მაკგუგანი (ნოტინგემი), მორისონი (მილუოლი), სომა (ლიდსი), 10 - ჰელგიუსონი (ქუინზ პარკი).

## პირველი ლიგა. XXXIV ტური

ბურნმუთი-ოლდჰემი 3:0, ბრაიტონი-კერლისლი 4:3, ბრისტოლი-დაგენჰემი 0:2, ჩარლტონი-ტრანმერი 1:1, კოლჩესტერი-საუთჰემპტონი 0:2, ჰარტლპული-ბრენტფორდი 3:0, ლეიტონ ორიენტი-ნოთს ქაუნთი 2:0, პიტერბორო-ექსეტერი 3:0, როჩდეილი-მილტონი 1:4, შეფილდ უენსდეი-პლიმუთი 2:4, სუინდონი-უოლსოლი 0:0, იეოვილი-ჰადერსფილდი 1:1.

## მეორე ლიგა. XXXIV ტური

ჩელტენჰემი-ჩესტერფილდი 0:3, ქრუ-ბარტონი 4:1, ჯილინგემი-ბრედფორდი 2:0, ჰერეფორდი-ბერი 0:3, ლინკოლნი-ეკრინგტონი 0:0, მორკეიმბი-საუთენდი 2:1, ნორთემპტონი-შრუსბერი 2:3, პორტ ვეილი-მაკლსფილდი 2:1, როტერჰემი-ბერნეტი 0:0, სტოკპორტი-ოქსფორდი 2:1, თორგუეი-სტივენიჯი 2:0, უაიკომბი-ოლდერშოტი 2:2.

## კონფერენსი. XXXVI ტური

ელტრინჩემი-გეიტსჰედი 0:0, ბეროუ-იორკი 0:0, ბათი-კეტერინგი 0:1, ქროული-ჰისტონი 1:0, დარლინგტონი-კემბრიჯი 0:0, ისტბერნი-საუთპორტი 0:0, გრიმსბი-უიმბლდონი 0:1, ლუტონი-კიდერმინსტერი 1:0, ნიუპორტი-ფლიტვუდი 0:1, რაშდენი-ჰეიესი 0:0, ტემუორთი-მენსფილდი 0:0, ვრექსჰემი-ფორესტ გრინი 1:0.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

საფრანგეთი. ლიგა 1 XXVI ტური

# ფრომ რენელებს ხასიათი წაუხდინა



მარსელი-ლილი 1:2

"მარსელისა" და "ლილის" მატჩის საფინალო სასტვენი ახლოვდებოდა, როცა შეცვლაზე შესულმა **ემერსონმა** ასევე თამაშში ახლად ჩართული **პიერ-ალან ფრო** მოძებნა და ამ უკანასკნელმა გამარჯვების გოლი გაიტანა. გოლი, რომელიც ძალიან ძვირად ფასობს. რომ არა ფრო, საფრანგეთის ჩემპიონატში ლიდერი შეიცვლებოდა და სატურნირო ცხრილს სათავეში "ლილის" ნაცვლად "რენი" მოექცეოდა. ახლა კი ჩემპიონობისთვის ბრძოლა კიდევ უფრო დაიძაბა. დღევანდელი გადასახედიდან ყველაზე რეალური პრეტენდენტი ორია, მაგრამ ზეხუთეულის გუნდებიდან ტიტულისთვის ბრძოლა ნებისმიერს შეუძლია. რეალურად კი ცხრილში ორხელისუფლებიანობაა და ვნახოთ, რამდენ ხანს გასტანს ეს მდგომარეობა.

"მარსელის" მთავარმა მწვრთნელმა **დიდიე დეშამმა** მარცხი მხოლოდ და მხოლოდ უილბლობას დააბრალა, მისი ლილელი კოლეგა **რუდი გარსია** კი "ველოდრომზე" დაფიქსირებულ შედეგს სავსებით ლოგიკურად მიიჩნევს. მისი თქმით, "ლილმა" სეზონის ერთ-ერთი ყველაზე საკვანძო ბრძოლა მოიგო.

გასულ ტურში გოლები ძალიან მწირად გავიდა. განსაკუთრებული უშედეგობა გუნდებმა შაბათს გამოავლინეს, კვირის მატჩები კი გაცილებით სანახაობრივი გამოდგა.

მოწინავე ხუთეული განვლილ უქმეებზე კიდევ უფრო გამოიკვეთა. "მონპელიემ" ბევრი იბრძოლა, მაგრამ "რენთან" ვერაფერს გახდა და მინიმალურად დამარცხდა. არადა, "რენთან" ბოლო წლების ურთიერთშეხვედრების დადებითი სტატისტიკა უმაგრებდა ზურგს – ბოლო ცხრა მატჩიდან "მონპელიეს" მასთან მხოლოდ ერთი ჰქონდა წაგებული.

*"ჩემი გუნდის შესაძლებლობებში ეჭვი არასდროს შემპარვია, დღეს კი კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ჩემპიონობის ძალა შეგვწევს. აქამდე ჯერ ძალიან შორია, მაგრამ თითოეულ მატჩზე ჩემი ბიჭები ისე გადიან, როგორც ფინალზე გავიდოდნენ და შედეგიც მონდომებისა და შრომის შესაბამისი გვაქვს",* - თქვა ნამატჩევს "რენის" თავკაცმა **ფრედერიკ ანტონეტიმ**. მისმა გუნდმა გამარჯვებათა ოთხმატჩიანი სერია ხუთამდე აიყვანა. თუმცა უდავოა, რომ მეორე დღეს ანტონეტისა და მის შეგირდებს მარსელური მატჩის შედეგის გაგება ხასიათს გაუფუჭებდა.

"ბრესტის" დამარცხების წყალობით **ჟან ტიგანამ** "ბორდოს" მთავარი მწვრთნელის თანამდებობა შეინარჩუნა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ მას დამშვიდების საფუძველი აქვს. გააჩნია, როგორ გააგრძელებს "ბორდო" თამაშს შემდეგ ტურებში, "ბრესტთან" გასვლით გამარჯვებას კი ტიგანას გუნდმა დამაჯერებლად მიაღწია.

უიმედო მაჩანჩალა "არლმა" გასულ ტურებში ბევრი იბრძოლა და საკუთარ მწირ მარაგს ქულებიც შემატა, თუმცა "ლიონს" ვერაფერი დაუპირისპირა და უიმედოდ განადგურდა. **ლისანდრო ლოპესმა** ჰეთ-თრიქი შეასრულა, მაგრამ ლიგის საუკეთესო ბომბარდირებს შორის მაინც ვერ გაერია. "ლიონის" დამრიგებელმა **კლოდ პიუელმა** განაცხადა, სოლიდური ანგარიშის მიუხედავად, შეხვედრის მსვლელობისას ჩემს ფეხბურთელებს მაქსიმალური კონცენტრაციით თამაში დავავალე და მოხარული ვარ, ეს ამოცანა რომ შესრულდაო.

"ოსერი"-პსჟ ტურის კიდევ ერთი გამორჩეული წყვილი იყო. გავარდნის რეალური საფრთხის წინაშე მდგომმა მასპინძლებმა მატჩი ჩინებულად ჩაატარეს და ბოლოსკენ გატანილი გოლით პარიზელთა საჩემპიონო პერსპექტივები სათუო გახადეს. "ოსერი" გასავარდნ ზონას მცირედით დასცილდა, პსჟ კი ლიდერს უკვე ხუთი ქულით ჩამორჩება.

**მომდევნო ტური**

**12 მარტი: რენი-მარსელი, არლი-ლორიანი, ლანსი-ტულუზი, ნანსი-კაენი, ნიცა-ოსერი, სენტ ეტიენი-ბრესტი, სოშო-ლიონი.**

13 მარტი: **ბორდო-მონაკო, ლილი-ვალანსიენი, პსჟ-მონპელიე.**

**ლევან ჯანეზაშვილი**

**კაენი-სენტ ეტიენი 1:0**

**გოლი:** 1:0 ელ არაბი (90)

**მონპელიე-რენი 0:1**

**რენი:** დუშე, მანგანი, კანა ბიიკი, კატერინი, დანსე, მანდიეკი, მვილა (67. ლემონი), ტეტეი, ლეროი (77. ბრაჰიმი), მონტანო, ბუკარი (89. დუმბია).

**გოლი:** 0:1 ბუკარი (27)

**ტულუზი-სოშო 0:1**

**გოლი:** 0:1 მაიგა (64)

**გაძევება:** ვალვერდე (89. ტულუზი)

**ოსერი-პსჟ 1:0**

**პსჟ:** ბეტე, სახო, არმანი, ტიენე, ჟალე, შანტომი, მაკელელე, ლუინდულა (71. ბაებეკი), ბოდმერი, ჟიული (82. მორისი), ნენე.

**გოლი:** 1:0 შაფნი (86)

**ბრესტი-ბორდო 1:3**

**გოლები:** 0:1 ვენდელი (49), 0:2 პლაშილი (67), 1:2 ფერადი (87), 1:3 დიაბეტე (90)

**ლიონი-არლი 5:0**

**ლიონი:** ლორისი, რევეიერი, სისოხო, დიაკატე, ლოვრენი, ტულალანი, პიანიჩი, გურკუფი (49. გომისი), დელგადო (77. ბასტოსი), ლ. ლოპესი (69. გონალონი), ბრიანი.

**გოლები:** 1:0 ლ. ლოპესი (13), 2:0 პიანიჩი (17), 3:0 ლ. ლოპესი (51), 4:0 ლ. ლოპესი (55), 5:0 ბასტოსი (90)

**მარსელი-ლილი 1:2**

**მარსელი:** მანდანდა, ფანი, დიავარა, მბია, ჰაინცე, კაბორე, ე. სისე (57. ბენ. შეირუ), აიუ, რემი, ბრანდაო (70. ჯ. აიუ), ლ. გონსალესი (46. ჟინიაკი).

**ლილი:** ლანდრო, დებუში, ბერია (53. ემერსონი), შეჯუ, რამი, მავუბა, კაბაიე, ბალმონი, ჟერვინიო (73. დე მელო), სოუ (85. ფრო), ჰაზარდი.

**გოლები:** 0:1 ჰაზარდი (10), 1:1 რემი (60), 1:2 ფრო (90)

**ვალანსიენი-მონაკო 0:0**

**ნიცა-ნანსი 0:0**

**ლორიანი-ნანსი 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლილი | 26 | 13 | 10 | 3 | 45-25 | 49 |
| 2. რენი | 26 | 14 | 7 | 5 | 31-18 | 49 |
| 3. ლიონი | 26 | 12 | 9 | 5 | 44-25 | 45 |
| 4. მარსელი | 26 | 12 | 9 | 5 | 37-23 | 45 |
| 5. პსჟ | 26 | 12 | 8 | 6 | 39-26 | 44 |
| 6. მონპელიე | 26 | 10 | 8 | 8 | 21-24 | 38 |
| 7. ბორდო | 26 | 9 | 10 | 7 | 35-31 | 37 |
| 8. ლორიანი | 26 | 10 | 6 | 10 | 32-31 | 36 |
| 9. სოშო | 26 | 10 | 5 | 11 | 40-31 | 35 |
| 10. სტ ეტიენი | 26 | 9 | 8 | 9 | 33-33 | 35 |
| 11. ბრესტი | 26 | 9 | 8 | 9 | 27-28 | 35 |
| 12. ტულუზი | 26 | 10 | 3 | 13 | 27-29 | 33 |
| 13. ვალანსიენი | 26 | 7 | 11 | 8 | 30-27 | 32 |
| 14. კაენი | 26 | 8 | 8 | 10 | 29-36 | 32 |
| 15. ნიცა | 26 | 7 | 9 | 10 | 17-27 | 30 |
| 16. ოსერი | 26 | 5 | 14 | 7 | 30-33 | 29 |
| 17. ნანსი | 26 | 8 | 5 | 13 | 27-41 | 29 |
| 18. მონაკო | 26 | 4 | 14 | 8 | 25-28 | 26 |
| 19. ლანსი | 26 | 5 | 10 | 11 | 24-40 | 25 |
| 20. არლი | 26 | 1 | 8 | 17 | 13-50 | 11 |

**ბომბარდირები:** 17 - სოვი (ლილი), 15 - გამეირო (ლორიანი), 13 - ელ არაბი (კაენი), ნენე (პსჟ).

**ლიგა 2**

XXVI ტური

**ანჟერი-ჰავრი 0:0**

**გაძევება:** რიგა (11. ანჟერი), ფონტანი (76. ჰავრი)

**დიჟონი-ლე მანი 3:2**

**გოლები:** 0:1 ადენონი (41), 0:2 ჰელსტადი (56), 1:2 რიბასი (67. პენ.), 2:2 რიბასი (78), 3:2 რიბასი (82. პენ.)

**ბულონი-ევიანი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლე მანი | 26 | 12 | 6 | 8 | 32-27 | 42 |
| 2. აიაჩო | 26 | 11 | 9 | 6 | 30-27 | 42 |
| 3. ჰავრი | 26 | 10 | 10 | 6 | 27-21 | 40 |
| 4. ტური | 26 | 11 | 7 | 8 | 39-35 | 40 |
| 5. სედანი | 26 | 9 | 12 | 5 | 38-23 | 39 |
| 6. ევიანი | 25 | 10 | 9 | 6 | 37-26 | 39 |
| 7. დიჟონი | 26 | 10 | 8 | 8 | 36-28 | 38 |
| 8. ბულონი | 25 | 9 | 11 | 5 | 19-19 | 38 |
| 9. კლერმონი | 26 | 9 | 9 | 8 | 36-34 | 36 |
| 10. ტრუა | 26 | 10 | 6 | 10 | 24-24 | 36 |
| 11. ანჟერი | 26 | 8 | 11 | 7 | 25-24 | 35 |
| 12. ისტრი | 26 | 8 | 11 | 7 | 24-25 | 35 |
| 13. შატორუ | 26 | 9 | 7 | 10 | 24-28 | 34 |
| 14. ლავალი | 26 | 7 | 11 | 8 | 23-24 | 32 |
| 15. ნანტი | 26 | 7 | 11 | 8 | 21-23 | 32 |
| 16. რეიმსი | 26 | 7 | 9 | 10 | 34-36 | 30 |
| 17. მეცი | 26 | 5 | 12 | 9 | 23-24 | 27 |
| 18. ნიმი | 26 | 7 | 6 | 13 | 20-26 | 27 |
| 19. ვანი | 26 | 6 | 6 | 14 | 19-40 | 24 |
| 20. გრენობლი | 26 | 6 | 5 | 15 | 23-40 | 23 |

**ბელგია**

ჟუპილერ ლიგა. XXVIII ტური

**ანდერლეხტი-გენკი 1:1**

**გოლები:** 0:1 ფოსენი (25), 1:1 იუპაში (90)

**სერკლი-ვესტერლო 0:1**

**გოლი:** 0:1 დეკელვერი (64)

**კორტრიიკი-შარლერუა 3:0**

**გოლები:** 1:0 ბოილი (28), 2:0 კუმსი (43), 3:0 ბოილი (45)

**მეხელენი-გენტი 1:1**

**გოლები:** 0:1 კულიბალი (77), 1:1 დესტორმი (90)

**ლოკერენი-ვარეგემი 2:1**

**გოლები:** 1:0 ფინბოგასონი (3), 2:0 კუელიარი (9), 2:1 მატონი (49)

**გაძევება:** დაშელი (56. ვარეგემი)

**სენტ ტრუიდენი-ბეერსხოტი 1:0**

**გოლი:** 1:0 დუფერი (61)

**სტანდარდი-ბრიუგე 2:2**

**გოლები:** 0:1 პერიშიჩი (70), 0:2 აკპალა (76), 1:2 ჩიტე (87), 2:2 კარსელა-გონსალესი (90)

**ლიერსი-ეუპენი 1:1**

**გოლები:** 0:1 შავარია (3), 1:1 დავიდსი (55)

**გაძევება:** დამანი (52. ეუპენი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გენკი | 28 | 18 | 7 | 3 | 63-25 | 61 |
| 2. ანდერლეხტი | 28 | 18 | 7 | 3 | 54-17 | 61 |
| 3. გენტი | 28 | 16 | 6 | 6 | 56-39 | 54 |
| 4. ბრიუგე | 28 | 15 | 4 | 9 | 56-34 | 49 |
| 5. ლოკერენი | 28 | 12 | 10 | 6 | 40-35 | 46 |
| 6. მეხელენი | 28 | 12 | 8 | 8 | 31-29 | 44 |
| 7. სტანდარდი | 28 | 13 | 4 | 11 | 47-38 | 43 |
| 8. სერკლი | 28 | 11 | 6 | 11 | 35-32 | 39 |
| 9. კორტრიიკი | 28 | 11 | 4 | 13 | 33-33 | 37 |
| 10. ვესტერლო | 28 | 10 | 7 | 11 | 37-38 | 37 |
| 11. ვარეგემი | 28 | 7 | 11 | 10 | 36-37 | 32 |
| 12. სტ ტრუიდ. | 28 | 7 | 5 | 16 | 18-48 | 26 |
| 13. ბეერსხოტი | 28 | 5 | 10 | 13 | 23-38 | 25 |
| 14. ეუპენი | 28 | 5 | 7 | 16 | 27-47 | 22 |
| 15. ლიერსი | 28 | 4 | 10 | 14 | 25-57 | 22 |
| 16. შარლერუა | 28 | 4 | 6 | 18 | 18-52 | 18 |

**ს:** 17 – ფოსენი (გენკი), 15 – ვარგასი (ბრიუგე), 13 – პერიშიჩი (ბრიუგე)

ამბები



## სბარსას პუიოლი დააკლდება

"ბარსელონას" კაპიტანი **კარლეს პუიოლი** "არსენალთან" საჩემპიონთალიგო დაპირისპირებას დააკლდება. ფეხბურთელი მუხლს აქამდეც იტკიებდა, გუშინ დილას მან ივარჯიშა კიდეც, მაგრამ მისი ბოლომდე გამოჯანმრთელება ეტყობა არ ხერხდება. აი, რა ამოვიკითხეთ "ბარსას" ოფიციალურ საიტზე: *"კარლეს პუიოლი ჩემპიონთა ლიგაში "არსენალთან" მატჩისას შემადგენლობაში არ იქნება. კაპიტანს ჯერ კიდევ აწუხებს ტრავმა".*

ამასობაში **ადრიანომ** ტრავმა მოიშუშა. ის მზადებას სატრენაჟორო დარბაზში შეუდგა. მიუხედავად ამისა, ძირითად ჯგუფთან ერთად მისი ვარჯიში ჯერ არ იგეგმება.

## ლიონს გიუნდოგანი მოუნდა

"ლიონს" "ნიურნბერგის" 20 წლის საყრდენი ნახევარმცველის **ილქაი გიუნდოგანის** შეძენა სურს. ამის შესახებ ფრანგული მხარე ოფიციალურად ჯერ არ ლაპარაკობს, მაგრამ პრესა ხმებს აქტიურად განიხილავს. როგორც ამბობენ, გერმანიის 21-წლამდელთა ნაკრების წევრის შეძენაზე "ბაიერნში" და "შალკეშიც" ფიქრობენ. აქვე გეტყვით, რომ ფეხბურთელმა ორიოდე თვის წინ საბოლოოდ გადაწყვიტა თავისი საფეხბურთო მოქალაქეობის საკითხი: ილქაი საკუთარ მომავალს ბუნდესგუნდს უკავშირებს.

## ალუ წასვლაზე არ ფიქრობს

"ბორდოსა" და საფრანგეთის ნაკრების კაპიტანმა **ალუ დიარამ** პრესის წარმომადგენლებთან თავისი სამომავლო გეგმების შესახებ ილაპარაკა და კატეგორიულად გამორიცხა სეზონის დასრულების შემდეგ კლუბის შეცვლის პერსპექტივა. *"გაზეთები ჩემზე ძალიან ბევრს წერენ, მაგრამ სიმართლე ის არის, რომ ამჟამად საერთოდ არ მაინტერესებს რა ხდება სატრანსფერო ბაზარზე. ყველაფერს ვილონებ სამომავლოდაც, რომ წარმატებებს ჩემს ამჟამინდელ კლუბთან ერთად მივაღწიო,"* – განაცხადა მან.

**ლევან ბიბილაშვილი**



იტალია. სერია A XXVIII ტური

SERIE A

# გატუზომ ტურინი დაადუმა!

## ტიფოზები მოჯის ითხოვენ...

ტურინის ოლიმპიურ სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივრები მთელი შეხვედრის განმავლობაში სკანდირებდნენ **ლუჩანო მოჯის** სახელს და მის კლუბში დაბრუნებას მოითხოვდნენ, ეს ამბავი კი „იუვენტუსი"-„მილანის" მსვლელობისას ხდებოდა. თამაში სტუმრებმა მოიგეს და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს ჩემპიონობისკენ, „იუვე" კი ღრმა კრიზისშია და ამ უკუსვლას ბოლო არ უჩანს. რაც უნდა პარადოქსული იყოს, მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე **ლუიჯი დელ ნერიმ** პოზიტიურ ძვრებზე ისაუბრა და იმაზე, რომ მისი გუნდი გაცილებით უკეთ წარმოჩინდა, ვიდრე „ლეჩესთან" ან „ბოლონიასთან" პაექრობაში. წინსვლაზე ისაუბრა **ჯუზეპე მაროტამაც** და დასძინა, რომ „ვეკია სენიორას" მომავალი სწორედ დელ ნერისთან არის დაკავშირებული. ძნელი სათქმელია რა პოზიტივი დაინახეს, მაგრამ მატჩის სტატისტიკა ყველაფერზე ნათლად მეტყველებს: „იუვეს" არც ერთხელ არ დაუტყამს მეტოქის კარის მიმართულებით ზუსტად და შესაბამისად, **კრისტიან აბიატი** მთელი 90 წუთის განმავლობაში უსაქმოდ გახლდათ. შედეგად, „მილანის" კიპერი „გაძეტა დელო სპორტისგან" შეუფასებელი დარჩა, რამეთუ შესაფასებელი არც არაფერი გაუკეთებია. როგორც ჩანს, დელ ნერი დაცვის თამაშით დარჩა კმაყოფილი, რადგან „ლეჩესგან" მიღებული ორი გოლის შემდეგ გაცილებით ძლიერი მეტოქისგან მხოლოდ ერთი გაუშვა, ეს მართლაც რომ „პროგრესია"...



მარცხნიდან: ტიაგო სილვა, ვან ბომელი, გატუზო, აბატე

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ერთადერთი, ანუ გამარჯვების გოლი **ჯენარო გატუზომ** გაიტანა. 68-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** მორიგი საჰაერო ორთაბრძოლა მოიგო, ბურთი სწორედ რინოს მიუვიდა, რომელმაც ზუსტად და საკმარისად ძლიერად დაარტყა, 0:1. მთელი თამაში სტუმართა ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობით წარიმართა და შეიძლებოდა ანგარიში კიდევ უფრო დიდი ყოფილიყო. განსაკუთრებით კარგად წარმოჩინდა **კევინ-პრინს ბოატენგი** და ეს მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ერთი ტაიმი დაყო მოედანზე. განელმა მცირე ტრავმა მიიღო და შესვენებაზე შესაცვლელი გახდა. მოგვიანებით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საშიში არაფერია და აფრიკელი ჩემპიონთა ლიგის პაექრობისთვის სრულ მზადყოფნაში იქნება. რადგან ტრავმაზე ჩამოვარდა სიტყვა, ალვნიშნოთ, რომ თამაშისწინა ვარჯიშზე **ალეშანდრე პატომ** დაიზიანა კოჭი და სწორედ ამიტომ არ უთამაშია „ოლიმპიკოზე". ბოლო ცნობით, მისი ტრავმაც მსუბუქია და ისიც შეძლებს ლონდონში გამგზავრებას.

მატჩის შემდეგ **მასიმილიანო ალეგრი** უაღრესად კმაყოფილი გახლდათ: *„ზედიზედ მეორე თამაში ჩავატარეთ უმაღლეს დონეზე და უმნიშვნელოვანესი ქულები მოვიპოვეთ. „ნაპოლისთან" უფრო სახიფათოდ ვუტევდით, მაგრამ ეს ბუნებრივიც არის, რადგან სამხრეთელებს საკუთარ მოედანზე ვეპაექრეთ. ტურინში თამაში იოლი არ არის, მაგრამ ჩვენ შევძელით და მეტოქე ყველა კომპონენტში დავჯაბნეთ. მასპინძლებს არც ერთი სახიფათო მომენტი არ შეუქმნიათ აბიატის კართან, რამაც ძალიან გამახარა. როდესაც დაცვის ხაზი მოწოდების სიმაღლეზეა, თამაშის მოგების საუკეთესო შანსი სწორედ მაშინ გაქვს. კმაყოფილი ვარ ფეხბურთელებით და მინდა მადლობა ვუთხრა მათ თავდადებული თამაშისთვის. აქვე კლუბის მესვეურების ღვაწლიც მინდა ალვნიშნო, რომლებმაც ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ძალიან ნაყოფიერად იმუშავეს. თუნდაც მარკ ვან ბომელის გადმობირება რად ღირს, იდეალურად ცვლის დაშავებულ პირლოს და ამბროზინის, მისი სახით დიდი ძალა შეგვემატა".*

დელ ნერის და მაროტას კომენტარების შესახებ ზემოთაც მოგახსენეთ და აღარ განვმეორდებით. „იუვეს" სპორტული დირექტორის და მთავარი მწვრთნელის სიტყვებმა კიდევ უფრო დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ჟურნალისტებსა და პირველ რიგში, გულშემატკივრებს შორის. პრესამ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა სენიორ ლუიჯი და მას მატჩის მსვლელობისას მიღებული გადაწყვეტილებები დაუწუნა. თუნდაც ის, რომ დელ ნერი კიდევ ერთხელ გაჯიუტდა და მდევრის როლის პირობებშიც კი 4-4-2 ტაქტიკა უცვლელი დატოვა. **ალესანდრო დელ პიერო** მეორე ტაიმში ჩაერთო თამაშში, მაგრამ არა ინერტული **ხორხე მარტინესი**, ან სხვა რომელიმე ნახევარმცველი, არამედ ფორვარდი **ალესანდრო მატრი** შეცვალა. ამან ტრიბუნებზე შეკრებილი ტიფოზების დიდი უკმაყოფილებაც გამოიწვია. ამიტომ სულაც არ გვიკვირს, რომ ტურინში ლუჩანო მოჯის დაბრუნებას ითხოვენ. სხვათა შორის, ტელეკამერები მთელი შეხვედრის განმავლობაში ეძებდნენ ტრიბუნებზე „სენიორ კალჩოპოლის", მაგრამ ვერ აღმოაჩინეს - ან კარგად შეინიღბა, ან თამაშზე წასასვლელად ვერ მოიცალა. არადა, ცნობილი ამბავია, რომ მოჯი „იუვეს" პრაქტიკულად ყველა საშინაო შეხვედრას ესწრება. ჟურნალისტები ლუჩანოს თამაშის დასრულებისთანავე შეეხმიანენ და მისგან შემდეგი მოისმინეს: *„გულშემატკივრები ჩემს დაბრუნებას ითხოვენ? - და თქვენთვის ეს სიახლეა? - უკვე დიდი ხანია, რაც ტიფოზებს ამის სურვილი აქვთ და მათი არც მიკვირს"*. აი, ასეთი კომენტარი გააკეთა მოჯიმ, ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ მისი ათწლიანი მუშაობის პერიოდში „იუვემ" თოთხმეტი ტიტული მოიხვეჭა...

კვირის მატჩებიდან „ინტერის" შთამბეჭდავი გამარჯვება უნდა გამოვარჩიოთ. მილანურმა გრანდმა პირველი ტაიმი წააგო „ჯენოასთან", მაგრამ მეორეში აიწყვიტა და მეტოქეს ხუთი გოლი „მიართვა". შესანიშნავად იასპარეზა **სამუელ ეტოომ**, რომელმაც ორი გოლი მიითვალა აქტივში და სხვა შედეგიან იერიშებშიც მიიღო აქტიური მონაწილეობა. განსაკუთრებულად ეფექტური ეტოოს მეორე, ანუ „ინტერის" მესამე გოლი გამოვიდა, კამერუნელმა ორ მცველს აუარა გვერდი და უზუსტესი დარტყმით ბურთი გენუელთა კარის ბადეში გაახვია. იქამდე იყო **ჯამპაოლო პაცინის** გოლი, რომელმაც, სამწუხაროდ, **კახა კალაძეს** დაასწრო და ერთი შეხებით გადაგზავნა ბურთი კარის ჩარჩოში. ეტოოს პირველი გოლი **გორან პანდევის** შორეულ დარტყმას მოჰყვა, აფრიკელმა სტუმართა კიპერის შეცდომით ისარგებლა და დამატებაზე იხეირა. თავად პანდევმა კი მას შემდეგ გაიტანა, რაც ეტოომ და **ვესლი სნეიდერმა** დიდებული კომბინაცია გაითამაშეს და მაკედონიელი ფაქტობრივად ცარიელი კარის წინ დატოვეს - აი მეხუთე გოლი კი **ნაგატომოს** ანგარიშზეა, იაპონელი წინ გაიჭრა და საშუალო დისტანციიდან უზუსტესად დაარტყა. აქვე ალვნიშნოთ, რომ აზიელი პირველად გამოირჩა „ინტერის" შემადგენლობაში. გენუელებმა ერთი გოლით უპასუხეს მასპინძლებს და შეხვედრის საბოლოო რეზულტატი დაფიქსირდა, 5:2.

„ნაპოლიმ" საკუთარ მოედანზე „ბრეშა" მიიღო და ყველასთვის მოულოდნელად, ორი ქულა დაკარგა. მთელი შეხვედრის განმავლობაში უტევდნენ სამხრეთელები, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში ვერ ივარგეს. ნეაპოლელებს აშკარად ჩავარდნა აქვთ - ევროპის ლიგიდან გამოთიშვას, „მილანთან" განადგურება მოჰყვა, ამ ყველაფერს კი სერია A-ს ერთ-ერთ აუტსაიდერთან საშინაო ფრეც დაემატა. ისე, ტურის წინასიტყვაობაში კი ალვნიშნეთ, რომ **ჯუზეპე იაკინის** თავკაცობით „ბრეშამ" გამოასწორა თამაში, განსაკუთრებით კი ეს დაცვით რგოლზე ითქმის. აქვე ვთქვათ, რომ შეხვედრის პირველ ტაიმში **ვალტერ მაძარი** გააძევეს სათადარიგოთა სკამიდან. ამ მატჩის მთავარი სათქმელი კი ის გახლავთ, რომ მიმდინარე სეზონში „ნაპოლის" ერთადერთი მიზანი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება უნდა იყოს.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

### მომდევნო ტური:

11 მარტი: ბრეშა-ინტერი
12 მარტი: ჩეზენა-იუვენტუსი
13 მარტი: მილანი-ბარი, რომა-ლაციო, კატანია-სამპდორია, კალიარი-უდინეზე, ჯენოა-პალერმო, ლეჩე-ბოლონია, კიევო-ფიორენტინა, პარმა-ნაპოლი.

### ჰოლანდია

ერედივიზიონი. XXVI ტური

**დე გრააფსხაპი-ვილემი 2:1**
**გოლები:** 0:1 ჰაკოლა (78), 1:1 პოეპონი (80), 2:1 ბარგასი (87).

**ტვენტე-ბრედა 2:0**
**გოლები:** 1:0 იონგი (61), 2:0 ჩადი (90).

**დენ ჰააგი-ნიიმეგენი 5:1**
**გოლები:** 1:0 იმერსი (16), 1:1 ვლემინცკი (17), 2:1 ბულიკინი (28-პენ.), 3:1 ვერჰოეკი (49), 4:1 ტორნსტრა (52), 5:1 ბრუვერი (90).

**ვიტესი-ვენლო 2:0**
**გოლები:** 1:0 გინკელი (48), 2:0 რეგტი (90-საკ. კარში).

**ექსელსიორი-პსვ 2:3**
**გოლები:** 1:0 ფერნანდესი (22), 1:1 ლენსი (50), 1:2 ჰატჩინსონი (52), 1:3 ჯუჯაკი (90-პენ.), 2:3 გრააფი (90-პენ.).

**გრონინგენი-ჰერაკლესი 1:4**
**გოლები:** 1:0 ტადიჩი (11), 1:1 ევერტონი (41), 1:2 არმენტეროსი (43), 1:3 ევერტონი (64), 1:4 არმენტეროსი (88).

**უტრეხტი-როდა 1:1**
**გოლები:** 0:1 იუნკერი (31-პენ.), 1:1 კოგელი (81).

**ჰეერენვეენი-ფეიენოორდი 0:1**
**გოლი:** 0:1 კასტაინოსი (77).

**აიაქსი-ალკმაარი 4:0**
**გოლები:** 1:0 ზეეუვი (5), 2:0 იონგი (56), 3:0 ებისილიო (72), 4:0 ანიტა (89).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსვ | 26 | 17 | 6 | 3 | 69-24 | 57 |
| 2. ტვენტე | 26 | 16 | 6 | 4 | 50-27 | 54 |
| 3. აიაქსი | 26 | 15 | 7 | 4 | 51-22 | 52 |
| 4. დენ ჰააგი | 26 | 13 | 6 | 7 | 52-38 | 45 |
| 5. გრონინგენი | 26 | 13 | 5 | 8 | 53-42 | 44 |
| 6. ალკმაარი | 26 | 12 | 7 | 7 | 38-32 | 43 |
| 7. როდა | 26 | 10 | 11 | 5 | 45-35 | 41 |
| 8. უტრეხტი | 26 | 10 | 8 | 8 | 42-34 | 38 |
| 9. ჰეერენვეენი | 26 | 9 | 7 | 10 | 47-40 | 34 |
| 10. ბრედა | 26 | 10 | 4 | 12 | 35-46 | 33 |
| 11. ნიიმეგენი | 26 | 7 | 11 | 8 | 41-45 | 32 |
| 12. ჰერაკლესი | 26 | 8 | 7 | 11 | 44-45 | 31 |
| 13. ფეიენოორ. | 26 | 8 | 7 | 11 | 35-43 | 31 |
| 14. დე გრააფს. | 26 | 7 | 9 | 10 | 26-44 | 30 |
| 15. ვიტესი | 26 | 7 | 7 | 12 | 32-44 | 28 |
| 16. ექსელსიორი | 26 | 6 | 4 | 16 | 31-51 | 22 |
| 17. ვენლო | 26 | 5 | 1 | 20 | 23-57 | 16 |
| 18. ვილემი | 26 | 2 | 5 | 19 | 27-72 | 11 |

**ბომბარდირები:** 18 - ვლემინცკი (ნიიმეგენი); 17 - ბულიკინი (დენ ჰააგი); 15 - მატავცი (გრონინგენი); 14 - იანკო (ტვენტე), ჯუჯაკი (პსვ).

### ლეჩე-რომა 1:2

**ლეჩე (4-3-2-1):** როზატი - რისპოლი (78. ჩევანტონი), გუსტავო, ფაბიანო, ბრივიო - ჯაკომაცი, ვივესი, ოლივერა - მუნარი, გროსმიულერი (43. კორვია) - ჯედა.

**რომა (4-3-1-2):** დონი - კასეტი (30. ჟუანი), მექსე, ნ. ბურდისო, რიისე - პიზარო, დე როსი, პეროტა - ტადეი (68. ბრიგი) - ვუჩინიჩი (80. მენეზი), ბორიელო.

**გოლები:** 0:1 ვუჩინიჩი (32), 1:1 ჯაკომაცი (75), 1:2 პიზარო (90-პენ.).

**გაფრთხილება:** რისპოლი, მუნარი - დე როსი, პეროტა, ბრიგი.

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 15-11; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 9(4)-12(4); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 15 000

### იუვენტუსი-მილანი 0:1

**იუვენტუსი (4-4-2):** ბუფონი - სორენსენი, ბარძალი, კიელინი, ტრაორე (84. ბონუჩი) - კრასიჩი, მელო, მარკიზიო, მარტინესი, - მატრი (81. დელ პიერო), ტონი (63. იაკვინტა).

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი - აბატე, ნესტა, ტიაგო სილვა, იანკულოვსკი - ვან ბომელი, გატუზო, ფლამინი - ბოატენგი (46. რობინიო) - კასანო (71. ზეედორფი), იბრაჰიმოვიჩი.

**გოლი:** 0:1 გატუზო (68).

**გაფრთხილება:** გატუზო, ვან ბომელი, იბრაჰიმოვიჩი (მილანი).

**გაფრთხილება:** 0-3; **კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 15-9; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 6(0)-7(3); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 24 000

### სამპდორია-ჩეზენა 2:3

**სამპდორია (4-3-2-1):** კურჩი - ძაური, ლუკინი (46. ვოლტა), გასტალდელო, ციგლერი - მანინი, დესენა, პალომბო (37. კომანი) - ბიაბიანი, გუბერტი (61. მაკედა) - მაკარონე.

**ჩეზენა (4-3-2-1):** ანტონიოლი - სანტონი, პელეგრინო (54. ბენალოუანე), ფონ ბერგენი, ლაურო - კაზერტა, კოლუჩი, პაროლო - ხიმენესი, ჯაკერინი (89. პიანჯერელი) - მალონგა (72. როზინა).

**გოლები:** 0:1 პაროლო (43), 0:2 ჯაკერინი (46), 0:3 ჯაკერინი (47), 1:3 ვოლტა (82), 2:3 მაკარონე (90).

**გაფრთხილება:** გასტალდელო, ბიაბიანი, მაკედა - ფონ ბერგენი, ლაურო, კაზერტა.

**გაფრთხილება:** 3-4; **კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 20-18; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 15(4)-8(4); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 21 000

### ბოლონია-კალიარი 2:2

**ბოლონია (4-3-1-2):** ვივიანო - კაზარინი, პორტანოვა, ბრიტოსი, რუბინი - პერესი, მუდინგაი (45. რამირესი), მუტარელი - დელა როკა (78. პაპონი) - მეჯორინი (64. ხიმენესი), დი ვაიო.

**კალიარი (4-3-1-2):** აგაცი - პერიკო, არიაუდო, ასტორი, აგოსტინი - ბიონდინი (78. ლაძარი), კონტი, ნაინგოლანი - კოსუ - ნენე (45. რაგაცუ), აკვაფრესკა (68. მისიროლი).

**გოლები:** 1:0 დი ვაიო (17), 1:1 კოსუ (59), 1:2 რაგაცუ (84), 2:2 რამირესი (90).

**გაფრთხილება:** ხიმენესი - ბიონდინი, კონტი, რაგაცუ.

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 17-11; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 8(4)-7(4); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 25 000

### კიევო-პარმა 0:0

**კიევო (4-3-1-2):** სორენტინო - სარდო, ანდრეოლი, მანდელი (78. ფარიასი), მანტოვანი - გუანა (54. მარკოლინი), რიგონი, იოკიჩი - ბოლიაჩინო (64. კონსტანტი) - პელისიერი, თერეუ.

**პარმა (4-4-2):** მირანტე - პალეტა, ვალიანი, ლუკარელი, ძაკარდო - გალოპა (78. ფლეტჩერი), მოდესტო, მორონე, ჯემაილი - ამაური (19. ბოჟინოვი), პალადინო (87. გობი).

**გაფრთხილება:** რიგონი, იოკიჩი - ძაკარდო, პალეტა, ვალიანი, გობი.

**გაფრთხილება:** 2-4; **კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 15-20; **თამაშგარე:** 2-9; **კარში დარტყმა:** 18(7)-8(5); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 9 000

### ფიორენტინა-კატანია 3:0

**ფიორენტინა (4-3-2-1):** ბორუცი - კომოტო, გამბერინი, ნატალი, პასკუალი - მონტოლივო, ბეჰრამი, დონადელი - სანტანა (73. მარკიონი), მუტუ (70. ვარგასი) - ჯილარდინო (88. ბაბაქარი).

**კატანია (4-3-1-2):** ანდუხარი - სპოლი, პეშე (67. ლედესმა), პოტენცა, ალვარესი - კარბონი (52. რიკიუტი), ლოდი, შელოტო - გომესი (70. ლიამა) - მაქსი ლოპესი, ბერგესიო.

**გოლები:** 1:0 მუტუ (21), 2:0 მუტუ (25), 3:0 ჯილარდინო (61)..

**გართხილება:** პასკუალი, დონადელი, მუტუ - პეშე.

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 13-14; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 11(5)-11(2); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 25 000

### ინტერი-ჯენოა 5:2

**ინტერი (4-3-1-2):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, რანოკია (78. ნაგატომო), ლუსიო, კივუ - მოტა, ძანეტი, სტანკოვიჩი (46. პანდევი) - სნეიდერი - ეტოო, პაცინი (75. ხარჯა).

**ჯენოა (4-4-2):** ედუარდო - მესტო, დაინელი, კალაძე (82. კიკო), მორეტი - კუჩკა, კონკო (76. ბოზელი), რაფინია, როსი - პალოსკი (74. ანტონელი), პალასიო.

**გოლები:** 0:1 პალასიო (40), 1:1 პაცინი (50), 2:1 ეტოო (51), 3:1 ეტოო (57), 4:1 პანდევი (71), 5:1 ნაგატომო (84), 5:2 ბოზელი (90).

**გაფრთხილება:** კალაძე (ჯენოა).

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 15-7; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 16(12)-10(2); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 58 000

### ნაპოლი-ბრეშა 0:0

**ნაპოლი (3-4-2-1):** დე სანქტისი - კამპანიარო, კანავარო, არონიკა (83. იებდა) - მაჯო, პაციენცა (74. ლუკარელი), გარგანო, დოსენა (60. მასკარა) - ცუნიგა, ჰამშიკი - კავანი.

**ბრეშა (3-5-1-1):** არკარი - მარეკო, ძობოლი, ძებინა - ძამბელი (21. აკარდი), ზერარდი, ჰეტემაი, ვასი, კონე (83. ედერი) - დიამანტი (77. ლანცაფამე) - კარაჩოლო.

**გაფრთხილება:** კანავარო, არონიკა, დოსენა - მარეკო, ჰეტემაი, დიამანტი, აკარდი.

**გაძევება:** მაძარი (ნაპოლი).

**გაფრთხილება:** 3-4; **კუთხური:** 12-5; **ჯარიმა:** 25-14; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 8(5)-8(2); **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 43 000

### უდინეზე-ბარი 1:0

**უდინეზე (3-5-2):** ჰანდანოვიჩი - ბენატია, ზაპატა, დომიცი - კუადრადო (72. პასკუალე), პინცი, ასამოა, ინლერი, არმერო (72. კორადი) - დი ნატალე (86. აბდი), სანჩესი.

**ბარი (4-4-2):** ჟილე - ა. მაზიელო, გლიკი, პარიზი (81. რივასი), ბელმონტე (35. როსი) - კოდრეა, გაცი, ჰუსეკლეპი (82. რუდოლფი) - ბენტივოლიო, გეზალი - ოკაკა.

**გოლი:** 1:0 დი ნატალე (76-პენ.).

**გაფრთხილება:** კუადრადო - ა. მაზიელო, პარიზი, კოდრეა, გაცი, გეზალი.

**გაფრთხილება:** 1-5; **კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 25-11; **თამაშგარე:** 6-2; **კარში დარტყმა:** 11(6)-5(3); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 16 000

### ლაციო-პალერმო 2:0

**ლაციო (4-2-3-1):** მუსლერა – სკალონი, ბიავა, სტენდარდო, რადუ – მათუზალემი (90. გარიდო), ლედესმა – ერნანესი (77. ბრეშიანო), სარატე, სკული (52. გონსალესი) - ფლოკარი.

**პალერმო (3-5-1-1):** სირიგუ – მუნოზი, ბოვო, ანდელკოვიჩი (46. ლივერანი) – კასანი, მილიაჩო, ნოჩერინო, ილიჩიჩი (77. აკუა), ბალცარეტი – პასტორე – ერნანდესი (68. პაოლუჩი).

**გოლები:** 1:0 სკული (7), 2:0 სკული (18).

**გაფრთხილება:** სკალონი, სტენდარდო, სარატე – მუნოზი, ლივერანი

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 11-16; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 6(4)-6(2); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 31 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 28 | 18 | 7 | 3 | 50-20 | 61 |
| 2. ინტერი | 28 | 17 | 5 | 6 | 54-30 | 56 |
| 3. ნაპოლი | 28 | 16 | 5 | 7 | 41-25 | 53 |
| 4. ლაციო | 28 | 15 | 6 | 7 | 35-23 | 51 |
| 5. უდინეზე | 28 | 15 | 5 | 8 | 50-30 | 50 |
| 6. რომა | 28 | 13 | 7 | 8 | 43-39 | 46 |
| 7. იუვენტუსი | 28 | 11 | 8 | 9 | 41-35 | 41 |
| 8. პალერმო | 28 | 12 | 4 | 12 | 44-45 | 40 |
| 9. კალიარი | 28 | 11 | 6 | 11 | 35-30 | 39 |
| 10. ფიორენტინა | 28 | 9 | 10 | 9 | 32-29 | 37 |
| 11. ბოლონია | 28 | 10 | 9 | 9 | 31-36 | 36 |
| 12. ჯენოა | 28 | 9 | 8 | 11 | 27-32 | 35 |
| 13. კიევო | 28 | 7 | 11 | 10 | 28-30 | 32 |
| 14. სამპდორია | 28 | 7 | 10 | 11 | 25-32 | 31 |
| 15. პარმა | 28 | 6 | 11 | 11 | 27-38 | 29 |
| 16. კატანია | 28 | 7 | 8 | 13 | 24-38 | 29 |
| 17. ჩეზენა | 28 | 7 | 7 | 14 | 23-38 | 28 |
| 18. ლეჩე | 28 | 7 | 7 | 14 | 31-50 | 28 |
| 19. ბრეშა | 28 | 6 | 7 | 15 | 22-35 | 25 |
| 20. ბარი | 28 | 4 | 7 | 17 | 15-42 | 16 |

** ბოლონიას დაკლებული აქვს სამი ქულა*

**ბომბარდირები:** 22 - დი ნატალე (უდინეზე); 20 - კავანი (ნაპოლი); 18 - ეტოო (ინტერი); 17 - დი ვაიო (ბოლონია); 14 - მატრი (იუვენტუსი), იბრაჰიმოვიჩი (მილანი).

### სერია B

XXX ტური

**ემპოლი-მოდენა 0:1**
**გოლი:** 0:1 სინიორი (5).

**ფროზინონე-ალბინოლეფე 2:1**
**გოლები:** 1:0 კარიელო (57), 2:0 კაზარეტი (58), 2:1 სისე (73).

**ლივორნო-ვარეზე 0:0**

**პადოვა-სიენა 0:0**

**პესკარა-რეჯინა 0:0**

**პორტოგრუარო-გროსეტო 1:1**
**გოლები:** 1:0 სკარპა (11-პენ.), 1:1 სფორცინი (90).

**სასუოლო-ჩიტადელა 1:1**
**გოლები:** 1:0 ბრუნო (35), 1:1 პიოვაკარი (56-პენ.).

**ტრიესტინა-პიაჩენცა 0:1**
**გოლი:** 0:1 პიკოლო (35).

**კროტონე-ასკოლი გადაიდო**
**ვიჩენცა-ტორინო დღეს**
**ატალანტა-ნოვარა დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატალანტა | 29 | 17 | 7 | 5 | 35-19 | 58 |
| 2. სიენა | 30 | 15 | 11 | 4 | 45-24 | 56 |
| 3. ნოვარა | 29 | 14 | 11 | 4 | 47-23 | 53 |
| 4. ვარეზე | 30 | 11 | 14 | 5 | 36-22 | 47 |
| 5. რეჯინა | 30 | 12 | 10 | 8 | 34-29 | 46 |
| 6. პესკარა | 30 | 11 | 9 | 10 | 31-31 | 42 |
| 7. ტორინო | 29 | 11 | 8 | 10 | 34-35 | 41 |
| 8. ლივორნო | 30 | 10 | 10 | 10 | 36-36 | 40 |
| 9. ემპოლი | 30 | 9 | 12 | 9 | 33-29 | 39 |
| 10. გროსეტო | 30 | 10 | 9 | 11 | 32-37 | 39 |
| 11. პიაჩენცა | 30 | 9 | 11 | 10 | 41-43 | 38 |
| 12. ვიჩენცა | 28 | 11 | 5 | 12 | 29-32 | 38 |
| 13. პადოვა | 30 | 8 | 13 | 9 | 40-36 | 37 |
| 14. სასუოლო | 30 | 9 | 8 | 13 | 32-33 | 35 |
| 15. მოდენა | 30 | 7 | 14 | 9 | 30-37 | 35 |
| 16. ალბინოლ. | 30 | 9 | 8 | 13 | 35-47 | 35 |
| 17. კროტონე | 29 | 7 | 13 | 9 | 27-32 | 34 |
| 18. ჩიტადელა | 30 | 7 | 11 | 12 | 32-37 | 32 |
| 19. პორტოგრ. | 30 | 7 | 9 | 14 | 25-40 | 30 |
| 20. ფროზინონე | 30 | 6 | 11 | 13 | 31-44 | 29 |
| 21 ასკოლი | 28 | 8 | 10 | 10 | 28-33 | 28 |
| 22. ტრიესტინა | 30 | 5 | 12 | 13 | 23-37 | 27 |

** ასკოლის დაკლებული აქვს 6 ქულა*

**ბომბარდირები:** 17 - კაჩა (პიაჩენცა); 15 - სუჩი (პადოვა), კორალი (ემპოლი); 13 - პიოვაკარი (ჩიტადელა), ბონაცოლი (რეჯინა), ბიანკი (ტორინო); 12 - ბერტანი (ნოვარა), გონსალესი (ნოვარა).

### ლეგა პრო 1 A

ლუმეცანე-ბასანო 3:1

 უცხოური ფეხბურთი

ესპანეთი. ლა ლიგა — XXVII ტური

# ბენზემამ მართლა გაიღვიძა



ესპანურ პრიმერაში სტატუს-კვო შენარჩუნდა, „ბარსელონა" ისევ 7 ქულით უსწრებს „რეალს", თუმცა ჩემპიონატის ფინიშს **ხოსეპ გვარდიოლას** გუნდი კიდევ ერთი ტურით მიუახლოვდა. „ბარსამ" თუ ძალების დაზოგვით სძლია 1:0 „სარაგოსას", „რეალი" კანტაბრიაში **კრიშტიანო რონალდოსა** და **კაკას** გარეშე ჩავიდა, თუმცა „სამეფო კლუბს" არ გასჭირვებია „რასინგზე" გამარჯვება - 3:1. დუბლი შეასრულა **ქარიმ ბენზემამ**, ერთი გოლიც **ემანუელ ადებაიორის** ანგარიშზეა. ამ მატჩში ერთბაშად ორი პენალტი გაცუდდა, რაც მეკარეთა დამსახურებაზე მეტად დამრტყმელთა უგერგილობის ბრალია, **პინილიოსმა** და ადებაიორმა ხეირიანად ვერ შეასრულეს თერთმეტმეტრიანები.

| ჰაპოელი (ბ-შ)-ჰაპოელი (ჰ) | 0:2 |
| აშდოდი-ბნეი იეჰუდა | 1:2 |
| ბნეი სახნინი-ჰაპოელი (ფ-თ) | 1:1 |
| მაკაბი (ნ)-ირონი | 1:1 |
| მაკაბი (ფ-თ)-ჰაპოელი (აშ) | 4:0 |
| მაკაბი (თ-ა)-ჰაპოელი (აკ) | 2:2 |
| მაკაბი (ჰ)-ჰაპოელი (რ-გ) | 3:2 |
| ბეითარი-ჰაპოელი (თ-ა) | დღეს |

## მოლდოვა

XXVI ტური

| | |
|---|---|
| ცსკა-ზიმბრუ | 0:0 |
| დაჩია-ნისტრუ | 1:1 |
| კოსტულენი-ოლიმპია | 0:1 |
| აკადემია-ტირასპოლი | 3:0 |
| დინამო-ვიიტორული | 0:3 |
| გაგაუზია-სფინტული | 2:1 |
| შერიფი-ისკრა | 1:0 |

## ჩერნოგორია

XIX ტური

| | |
|---|---|
| ბუდუჩნოსტი-ბარი | 1:0 |
| გრბალი-სუტიესკა | 0:0 |
| მოგრენი-მლადოსტი | 1:0 |
| მორნარი-პეტროვაცი | 1:2 |
| რუდარი-დეჩიჩი | 1:0 |
| ზეტა-ლოვჩენი | 2:0 |

## პოლონეთი

XVII ტური

| | |
|---|---|
| შლიონსკი-კრაკოვია | 0:0 |
| ვისლა-რუხი | 3:1 |
| გურნიკი-ზაგლებე | 5:1 |
| ვიძევი-კორონა | 3:1 |
| ბელხატოვი-იაგელონია | 0:0 |
| არკა-ლეხი | 0:3 |
| ლეჩია-პოლონია (ბ) | 2:0 |
| ლეგია-პოლონია (ვ) | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვისლა | 17 | 10 | 3 | 4 | 25-16 | 33 |
| 2. იაგელონია | 16 | 9 | 4 | 3 | 22-13 | 31 |
| 3. ლეგია | 17 | 10 | 1 | 6 | 23-22 | 31 |
| 4. ლეჩია | 17 | 8 | 3 | 6 | 24-18 | 27 |
| 5. კორონა | 17 | 7 | 5 | 5 | 22-21 | 26 |
| 6. გურნიკი | 17 | 8 | 2 | 7 | 20-26 | 26 |
| 7. ლეხი | 17 | 7 | 4 | 6 | 22-14 | 25 |
| 8. ბელხატოვი | 17 | 7 | 4 | 6 | 20-19 | 25 |
| 9. ვიძევი | 17 | 5 | 6 | 6 | 26-20 | 21 |
| 10. პოლონია (ვ) | 17 | 5 | 6 | 6 | 23-19 | 21 |
| 11. შლიონსკი | 16 | 5 | 6 | 5 | 21-20 | 21 |
| 12. ზაგლებე | 17 | 5 | 5 | 7 | 15-22 | 20 |
| 13. რუხი | 17 | 4 | 6 | 7 | 13-17 | 18 |
| 14. პოლონია (ბ) | 17 | 4 | 6 | 7 | 14-19 | 18 |
| 15. არკა | 17 | 4 | 5 | 8 | 9-18 | 17 |
| 16. კრაკოვია | 17 | 2 | 4 | 11 | 19-34 | 10 |

## რუმინეთი

XX ტური

| | |
|---|---|
| უნირეა-ტარგუ | 0:1 |
| დინამო-პანდური | 2:2 |
| ოცელული-რაპიდი | 1:0 |
| გლორია-სპორტული | 1:0 |
| კლუჟი-ტიმიშოარა | 1:2 |
| გაზ მეთანი-ასტრა | 0:0 |
| სტიაუა-ბრაშოვი | 0:3 |
| უნივერსიტატეა (კრ)-ვიქტორია | დღეს |
| ვასლუი-უნივერსიტატეა (კლ) | დღეს |

## უკრაინა

XX ტური

| | |
|---|---|
| სევასტოპოლი-შახტარი | 0:1 |
| მეტალურგი (ზ)-ილიჩივეცი | 0:4 |
| ზორია-ვოლინი | 3:0 |
| მეტალურგი (დ)-დინამო | 0:2 |
| კრივბასი-ობოლონი | 2:2 |
| ვორსკლა-მეტალისტი | 0:0 |
| დნიპრო-ტავრია | 2:2 |
| არსენალი-კარპატი | 2:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შახტარი | 20 | 18 | 1 | 1 | 39-7 | 55 |
| 2. დინამო | 20 | 13 | 4 | 3 | 37-17 | 43 |
| 3. მეტალისტი | 20 | 12 | 3 | 5 | 38-19 | 39 |
| 4. დნიპრო | 20 | 10 | 6 | 4 | 29-13 | 36 |
| 5. კარპატი | 20 | 9 | 6 | 5 | 26-20 | 33 |
| 6. ვოლინი | 20 | 8 | 4 | 8 | 20-24 | 28 |
| 7. არსენალი | 20 | 7 | 5 | 8 | 24-26 | 26 |
| 8. ვორსკლა | 20 | 6 | 6 | 8 | 24-22 | 24 |
| 9. ტავრია | 20 | 6 | 6 | 8 | 32-33 | 24 |
| 10. ობოლონი | 20 | 6 | 5 | 9 | 18-26 | 23 |
| 11. მეტალურ (დ) | 20 | 6 | 4 | 10 | 21-31 | 22 |
| 12. ზორია | 20 | 5 | 7 | 8 | 23-28 | 22 |
| 13. ილიჩივეცი | 20 | 5 | 6 | 9 | 30-45 | 21 |
| 14. კრივბასი | 20 | 3 | 10 | 7 | 20-29 | 19 |
| 15. სევასტოპოლი | 20 | 3 | 5 | 12 | 12-33 | 14 |
| 16. მეტალურ (ზ) | 20 | 2 | 4 | 14 | 8-28 | 10 |

## რუსეთის თასი

### 1/8 ფინალი

| | |
|---|---|
| ამკარი-კრასნოდარი | 0:1 დ.დ. |

## რუსეთის სუპერთასი

| | |
|---|---|
| ზენიტი-ცსკა | 1:0 |

## სერბეთი

XVI ტური

| | |
|---|---|
| ინდიია-პარტიზანი | 1:3 |
| იაგოდინა-ვოივოდინა | 1:2 |
| ბორჩა-სპარტაკი | 0:0 |
| ჩუკარიჩკი-რად | 0:3 |
| მეტალაცი-ოფკ | 2:0 |
| სლობოდა-ჰაიდუკი | 2:2 |
| იავორი-ბორაცი | 1:1 |
| ცრ. ზვეზდა-სმედერევო | 1:0 |

## ჩრ. ირლანდია

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| ლისბურნი-ბალიმენა | 0:1 |

## არგენტინა

IV ტური

| | |
|---|---|
| ოლ ბოისი-სან ლორენსო | 0:3 |
| ხიმნასია (ლ-პ)-ესტუდიანტესი | 0:2 |
| ნიუელსი-ურაკანი | 3:3 |
| რასინგი-ოლიმპო | 4:3 |
| ბანფილდი-ლანუსი | 2:0 |
| გოდოი-კოლონი | 2:3 |
| კილმესი-ტიგრე | გვ. დასრულდა |
| რივერი-არგ. ხუნიორსი | გვ. დასრულდა |
| ველესი-ბოკა | გვ. დასრულდა |
| არსენალი-ინდეპენდიენტე | დღეს |

## ბრაზილია

### პაულისტა

XI ტური

| | |
|---|---|
| გრემიო-იტუანო | 1:0 |
| მირასოლი-ნოროესტე | 2:2 |
| სან ბერნანდო-მოჯი მირიმი | 2:4 |
| ლინენსე-კორინთიანსი | 0:2 |
| ბოტაფოგო-პორტუგეზა | 1:4 |
| ბრაგანტინო-პაულისტა | 0:1 |
| პალმეირასი-სანტო ანდრე | 0:0 |
| სან კაეტანო-სან პაულუ | 0:2 |
| ოესტე-სანტოსი | 0:2 |
| პონტე პრეტა-ამერიკანა | 1:0 |

## ჩილე

VII ტური

| | |
|---|---|
| აუდაქსი-კობრელოა | 1:0 |
| ო'ჰიგინსი-კობრესალი | 3:0 |
| უაჩიპატო-დეპ. იკიკე | 3:1 |
| ატ. ნუბლენსე-ლა სერენა | 2:3 |
| უნ. დე ჩილე-სან ფელიპე | 0:2 |
| უონდერერსი-ს. მორნინგი | 4:1 |
| ლა კალერა-უნ. კონსეპსიონი | 2:0 |
| უნ. ესპანიოლა-კოლო კოლო | 1:2 |
| პალესტინო-უნ. კატოლიკ | გვ. დასრულდა |

## კოლუმბია

V ტური

| | |
|---|---|
| ენვიგადო-სანტა ფე | 3:1 |
| მილიონარიოსი-ჩიკო | 3:1 |
| ატ. ნასიონალი-ატ. ხუნიორი | 4:1 |
| ლა ეკვიდადი-ამერიკა | 1:0 |
| დეპ. კინდიო-კუკუტა | 1:0 |
| დეპ. კალი-იტაგუი | 1:0 |
| დეპ. პერეირა-ატ. უილა | 0:0 |
| რეალ კარტახენა-ინდეპენდიენტე | 2:0 |
| ტოლიმა-ონსე კალდასი | გვ. დასრულდა |

## [illegible]

VII ტური

| | |
|---|---|
| ინდეპენდიენტე-დეპ. კიტო | 1:0 |
| იმბაბურა-დეპ. კუენკა | 1:2 |
| მანტა-ელ ნასიონალი | 1:0 |
| ოლმედო-ლიგა დე ლოხა | 1:0 |

## პარაგვაი

VII ტური

| | |
|---|---|
| ლიბერტადი-რუბიო ნუ | 4:1 |
| ნასიონალი-სოლ დე ამერიკა | 2:0 |
| 3 დე ფებრერო-ტაკუარი | 0:0 |
| ოლიმპია-გუარანი | 4:3 |
| ხენერალი-ლუკენო | 1:0 |
| ინდეპენდიენტე-სერო პორტენიო | 0:1 |

## პერუ

IV ტური

| | |
|---|---|
| დ. სან მარტინი-ხუან აურიჩი | 1:1 |
| ალ. ატლეტიკო-სპ. კრისტალი | 2:1 |
| ალ. ლიმა-სენსიანო | 2:0 |
| სპორტ ბოისი-ინტი გასი | 3:1 |
| სპორტი-სესარ ვალიეხო | 3:0 |
| მელგარი-დ. კოპრესოლი | 1:2 |
| კოლეჯიო-უნიონი | გვ. დასრულდა |

## ურუგვაი

V ტური

| | |
|---|---|
| ელ ტანკე-დეფენსორი | 0:1 |
| პენიაროლი-ბელა ვისტა | 2:1 |
| რამპლა-მონტევიდეო | 1:4 |
| დანუბიო-ლივერპული | 3:2 |
| სენტრალი-ფენიქსი | 1:1 |
| რასინგი-სერო | 1:2 |
| ნასიონალი-მირამარი | გვ. დასრულდა |
| ტაკუარემბო-რივერ პლეიტი | დღეს |

## მექსიკა

IX ტური

| | |
|---|---|
| ტეკოსი-პაჩუკა | 1:0 |
| კრუს აზული-ნეკაქსა | 0:0 |
| მონტერეი-კერეტარო | 2:0 |
| გვადალახარა-ტიგრესი | 0:0 |
| ს. ლაგუნა-ამერიკა | 2:3 |
| სან ლუისი-ხაგუარესი | 0:0 |
| ატლანტე-პუმასი | 0:2 |
| პუებლა-ატლასი | 2:0 |
| ტოლუკა-მორელია | 1:6 |

## ვენესუელა

გადადებული მატჩები

| | |
|---|---|
| კარონი-ტაჩირა | 2:1 |
| დეპ. პეტარე-სამორა | 0:0 |

## იაპონია

I ტური

| | |
|---|---|
| კოფუ-ივატა | 0:1 |
| ნაგოია-იოკოჰამა | 1:1 |
| გამბა-სერეზო | 2:1 |
| ჰიროშიმა-ვეგალტა | 0:0 |
| ფუკუოკა-ნიიგატა | 0:3 |
| კავასაკი-იამაგატა | 2:0 |
| კაშივა-შიმიცუ | 3:0 |
| კობე-ურავა | 1:0 |
| კაშიმა-ომიია | 3:3 |

● ხელბურთი

# ჭანტურია მეოთხედფინალშია



სკოპიეს "ვარდარმა", რომლის შემადგენლობაშიც საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი **რევაზ ჭანტურია** ასპარეზობს, ევროპის თასების მფლობელთა თასის მერვედფინალური ეტაპი წარმატებით გადალახა და მეოთხედფინალში გავიდა. მაკედონიელებმა ორი მატჩის ჯამში დანიურ "კოპენჰაგენს" აჯობეს – 33:20 და 27:23. ჭანტურიას სიცხის გამო ორივე შეხვედრა გაუცდა.

სამაგიეროდ, მან მაკედონიის ჩემპიონატში "ბორეცთან" მოგებულ შეხვედრაში ითამაშა და ოთხი გოლი გაიტანა. "ვარდარი" გათამაშებაში ამჟამად მეორე ადგილზეა და ლიდერ "მეტალურგს" ორი ქულით ჩამორჩება.

თასების თასის მეოთხედფინალში "ვარდარის" მეტოქე რუმინული "რესიცა" იქნება.

ლევან ჯანეზაშვილი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო სამძიმარს უცხადებს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის ყოფილ მოადგილეს, სპორტის საერთაშორისო ექსპერტს საქართველოში, თამაზ თევზაძეს მეუღლის გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი: 8-9.03; დაკრძალვა. 10.03. 14 საათზე.
მისამართი: ფანასკერტელის ქ. კორპ. 19.

საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი და კომიტეტთან არსებული სპორტის განვითარების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო თანაგრძნობას უცხადებენ ამავე საბჭოს წევრ-ექსპერტს თამაზ თევზაძეს მეუღლის გარდაცვალების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალი ჭიდაობა. მედვედის ტურნირი

# მინსკიდან ნარუმატებლად

სამწუხაროდ, ჩვენმა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ძალზე წარუმატებლად იასპარეზა მინსკში ალექსანდრე მედვედის სახელობის 41-ე საერთაშორისო ტურნირში. იქ ძირითადად ჩვენი სათადარიგო ფალავნები წაიყვანეს, თუმცა გაფართოებული შემადგენლობით: **გიორგი ედიშერაშვილი, გივი დავიდოვი,** (ორივე - 55), **დავით ბერძნიშვილი, გიორგი ბალიაშვილი, ბექა ლომთაძე** (60), **ილია ხუციშვილი** (66), **არჩილ ქიტიაშვილი, ირაკლი მარსაგიშვილი** (84), **ლერი ქეთიშვილი** (96), **გიორგი საკანდელიძე** (120). ეს არცთუ მცირე რაოდენობაა, მაგრამ ვერც ერთმა ვერ შეძლო მედლის მოპოვება. სამწუხაროდ, ოლიმპიური ჩემპიონის სახელობის ტურნირს თითქმის არავინ აშუქებდა - ბელარუსის ჭიდაობის ფედერაციასაც კი მის შესახებ 21 თებერვლის მერე არაფერი დაუწერია, მაგრამ რამდენადაც ინტერნეტფორუმებზე მინსკში მყოფთა ინფორმაციებს ვადევნებდით თვალს, ჩვენებურებს ბრინჯაოსთვისაც კი არ უჭიდავიათ.

რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს ამის აღიარება, ჭიდაობაში რეზერვი პრაქტიკულად არ გვყავს. ცხადია, ლიდერთა ჩავარდნის ერთ-ერთი მიზეზი ესეცაა - არაა კონკურენცია, რაც შედეგებზეც აისახება.

უახლოეს ხანებში - 19-20 მარტს მახაჩყალაში მსოფლიო თასი იმართება, სადაც სათადარიგო მოჭიდავეთა მეორე ჯგუფი იასპარეზებს: **ბესარიონ გოჩაშვილი** (55), **მალხაზ ქურდიანი** (60), **შალვა მუზიაშვილი** (66), **გელა საღირაშვილი** (74), **ბექა ჭელიძე** (84), **დავით ქერაშვილი** (96), **გიორგი საკანდელიძე, ლევან ბერიანიძე** (120). ის გუნდური პრინციპით ტარდება და მისი სპეციფიკა განსხვავდება პირადისაგან, მაგრამ მაინც ვნახოთ, როგორ გამოვლენ ჩვენები. სუსტი არც მინსკის შეჯიბრება იყო და არც დაღესტნური იქნება. მით უფრო, იქაურები სერიოზულად ემზადებიან ტურნირის სამასპინძლოდ - საორგანიზაციო კომიტეტს სათავეში თვით დაღესტნის პრეზიდენტი **მაგომედ სალამ მაგომედოვი** უდგას. ის და რესპუბლიკის სპორტის მინისტრი **არსენალი მურთაზალიევი** იანვრიდან მოყოლებული, როცა მახაჩყალამ ოფიციალურად მიიღო ტურნირის გამართვის უფლება, ყოველდღიურად აკონტროლებენ მზადების პროცესს. შეჯიბრების საპრიზო ფონდი 150 ათასი დოლარია. წინასწარი მონაცემებით, დაღესტანში ხელის ტრავმის გამო ვერ იჭიდავებს რუსთა ლიდერი **ჰაჯიმურატ გაცალოვი** (96). მან წააგო საევროპოს შესარჩევი იარიგინის მემორიალიც, ანუ იმ შეჯიბრებასაც გამოტოვებს. ცხადია, ეს შანსს აძლევს მის მეტოქეებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ტრავმების გამო ევროპაზე ვერც **გიორგი გოგშელიძე** იასპარეზებს.

**ირაკლი თავაძე**

ტყვიის სროლა. ევროპის ჩემპიონატი

# ცუდი დასასრული

სამწუხაროდ, ჩვენი ეროვნული ნაკრების წევრებმა წარუმატებლად დაამთავრეს გამოსვლა იტალიურ ბრეშაში პნევმატური პისტოლეტიდან მსროლელთა ევროპის ჩემპიონატში - **ლევან ქადაგიძე** 564 ქულით 54-ე ადგილზე გავიდა, ჩვენი მთავარი იმედი, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე** კი 379 ქულით მხოლოდ და მხოლოდ 21-ე აღმოჩნდა. სანყენია, რომ ჩვენებურებს ასე ბევრი დააკლდათ ფინალამდე.

379 ქულა სალუქვაძისთვის ძალზე დაბალი შედეგია. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ცალკეულ სერიებშიც არასახარბიელო მაჩვენებელი აქვს - პირველსა და ბოლოში 94 ქულა დააგროვა, შუალედებში კი 95 და 96. ამდენივე ქულა დააგროვეს ფრანგმა **სირილე გულიანომ** და იტალიელმა **არიანა კომიმ,** მაგრამ ჩვენებური მათ დამატებითი მაჩვენებლებით ჩამორჩა.

ამ ფონზე კიდევ უფრო დასაფასებელია ახალგაზრდა გოგონათა ტურნირში ქუთაისელი **ნინო ფანჩულიძის** 377 ქულა. შეგახსენებთ, რომ მან ჩემპიონატი მე-6 ადგილზე დაამთავრა. სამწუხაროდ, ჩვენი გუნდის ერთადერთი ნათელი წერტილი მხოლოდ მისი გამოსვლა გამოდგა.

ქალთა ტურნირმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ამ სახეობაში მიმდინარე თაობათა ცვლის პროცესის გარდაუვალობა. შარშანდელმა სეზონმა რამდენიმე ძალზე მოულოდნელი ლიდერი გამოავლინა - ახალგაზრდები, რომლებსაც მანამდე თავი დიდად არ გამოეჩინათ, მაგრამ ერთბაშად გახდნენ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები. მათი გამოუცდელობიდან გამომდინარე, მაშინვე გაჩნდა კითხვა - ხომ არ იყო ეს შემთხვევითი წარმატება და წლეულსაც გააგრძელებდნენ თუ არა ისინი შედეგიან გამოსვლებს. სკეპტიკოსთა სამწუხაროდ, მათი უმრავლესობა ბრეშაში ფინალში გავიდა, რაც იმის მანიშნებელია, რომ სროლაში ახალი თაობა, მსროლელთა ახალი ტალღა მოდის. შარშან განსაკუთრებული სიურპრიზები სერბებმა შემოგვთავაზეს. მათი გუნდის ლიდერი ყველაფრის მომგები **იასნა სეკარიჩია**, მაგრამ ის ახალბედა თანაგუნდელებმა ჩრდილში მოაქციეს - ჯერ იყო და **ბობანა ველიკოვიჩი** ევროპის ჩემპიონი გახდა, მერე კი მსოფლიოს ჩემპიონატზე **ზორანა არუნოვიჩმა** გაიბრწყინა - პნევმატური იარაღიდან სროლა მოიგო, სპორტულში კი მხოლოდ რუს **კირა კლიმოვას** ჩამორჩა და ვერცხლი მოიპოვა. ახალი თაობიდან ერთადერთი, ვინც ბრეშაში შარშან გაცემული ავანსები ვერ გაამართლა, სწორედ ეს კლიმოვაა, თორემ სხვები ყველანი ფინალში გავიდნენ. საერთოდ, ამ შეჯიბრებაში რუსებმა ძალიან ცუდად ისროლეს - არც ერთი სპორტსმენი არ ჰყავდათ მოწინავე ოქტეტში. სამაგიეროდ, სრული გუნდით გავიდნენ სერბები, ანუ ფინალში რვიდან სამი მსროლელი მათი იყო! ოღონდ რაოდენობამაც ვერ უშველათ და ჩემპიონი სხვა გახდა - ფრანგი **სელინ გობერვილი**. ესეც შარშანდელი სეზონის კიდევ ერთი აღმოჩენა - მსოფლიოს თასებზე ერთხელ იმარჯვა, ერთხელ მეორე იყო, მსოფლიოს სუპერთასზე კი ორივე დისციპლინაში მესამეზე გავიდა. არადა, შარშანდლამდე მას ერთი მედალიც არ ჰქონდა არანაირი რანგის ტურნირში.

ბრეშაში საკვალიფიკაციო ეტაპი გობერვილმა მოიგო 389 ქულით. მეორეზე ბელარუსთა ორგზის მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი **ვიქტორია ჩაიკა** გავიდა 388-ით, მესამეზე - უკრაინელი მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ოლენა კოსტევიჩი** 386-ით. მას 2 ქულით ჩამორჩა სეკარიჩი, ფინალის ბოლო ოთხეულს კი 383-ქულიანთა კვარტეტი შეადგენდა ასეთი თანმიმდევრობით: ველიკოვიჩი, ბელარუსი **კატსიარინა კრიჩანოკი,** არუნოვიჩი და გერმანელი **კლაუდია ვერდიჩო-კრაუზე**. ფინალში უფრო უკეთ ძირითადად ამ ქვედა ნახევრის წარმომადგენლებმა ისროლეს და ამიტომ დაწინაურებული სამეულის დავაში ვერ ჩაერივნენ. ფინალურ სერიაში ყველაზე კარგად გერმანელმა ისროლა - 99,6. 98,7 გაარტყა სეკარიჩმა, მესამე კი 97,8-ით არუნოვიჩი იყო. მათთან შედარებით, ლიდერებმა უფრო ცუდად ისროლეს, მაგრამ არც იმდენად, ჩამორჩენილთათვის დაწევის საშუალება მიეცათ. გობერვილმა 96,8-ით ჯამში 485,8 დააგროვა და მეტოქეთათვის მიუწვდომელი გახდა. ჩაიკამ თავის მონაგარს 97,0 შემატა და 485,0-ით ვერცხლი მოიპოვა. მესამეზე კოსტევიჩი გავიდა - 97,6 ფინალში და 483,6 საერთო მაჩვენებელი.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ეს ტურნირი არ იყო სალიცენზიო - საგზურებს მსოფლიო თასის ეტაპებზე (ასეთი სეზონში 4 იმართება) I-II ადგილებზე გასვლა იძლევა. თანაც - ორივე დისციპლინაში. ლიცენზიები ზაფხულში სპორტული პისტოლეტიდან გასამართ ევროპის ჩემპიონატზეც გაიცემა, მსოფლიოს პირველობა კი სპორტის ამ სახეობაში 4 წელიწადში ერთხელ ტარდება და შარშან მიუნხენში გაიმართა.

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო. საქართველოს ჩემპიონატი

# დიდი ტურნირების წინ

დიღომში, ძიუდოს აკადემიაში, დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკთა შორის, რომელმაც 230-ზე მეტ მონაწილეს მოუყარა თავი. ამ ასპარეზობას წინ რეგიონული შესარჩევი პირველობები უსწრებდა.

წლეულს ჭაბუკებს ევროპის პირველობაც ელოდებათ და მსოფლიოსიც. ევროპის ჩემპიონატი 24-26 ივნისს კოტონერაში (მალტა) ტარდება, მსოფლიოსი - 11-14 აგვისტოს კიევში. საქართველოს პირველობას იმ შეჯიბრებებზე წასვლისთვის მებრძოლი ძირითადი ბირთვი უნდა გამოევლინა. ტურნირმა ეს ფუნქცია შეასრულა, თუმცა ეროვნულში ადგილის განაღდებამდე კანდიდატებს საერთაშორისო შეჯიბრებებში ჯერ კიდევ მოუწევთ საკუთარი სიძლიერის დამტკიცება. პირველი შემოწმება 19-20 მარტს ანტალიაში ჭაბუკთა ევროპის თასზე შედგება. ჩვენი გუნდის მთავარი მწვრთნელი **გიორგი ვაზაგაშვილი** იქ გაფართოებული შემადგენლობით აპირებს წასვლას, თუმცა საბოლოო სიას რამდენიმე დღეში გამოაცხადებს.

პირადი და გუნდური პირველობაც თბილისმა მოიგო. დედაქალაქელებმა 3 ოქრო მოიპოვეს, კახეთმა და შიდაქართლმა 2-2, მძიმე წონაში კი ჩემპიონობა იმერეთის ხვედრი გამოდგა. გუნდურში მეორეზე კახეთის ნაკრები გავიდა, რომელმაც ქვემოქართლელებს ვერცხლ-ბრინჯაოებით აჯობა და მესამე ადგილს დააჯერა.

გიორგი ვაზაგაშვილი: *„ტურნირით მეტ-ნაკლებად კმაყოფილი ვარ, მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან დიდი მუშაობა გვჭირდება, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებიდან მედლებით რომ დავბრუნდეთ. ცხადია, ახალი სახეებიც გამოჩნდნენ, თუმცა ისეთი არავინ ყოფილა, განსაკუთრებულად გამოვარჩიო. ეს არ ნიშნავს, რომ მთლად უკმაყოფილო ვარ. უბრალოდ, წინასწარ ვერ ვიტყვი, იმ შეჯიბრებებზე მედლებს მოვიპოვებთ-მეთქი. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე წამსვლელთა ძირითადი ბირთვი ანტალიისა და კიევის ტურნირების შემდეგ გამოიკვეთება“.*

**ირაკლი თავაძე**

### ქვარცხლბექი

**50 კგ.** 1. მიხეილ კირკიტაძე (თბილისი), 2. ბაჩო ჭიკაიძე (ქვემო ქართლი), 3. ბექა ნათათრალაშვილი (თბილისი), თორნიკე ჭოველიძე (სამხრეთ ოსეთი).

**55 კგ.** 1. ვანო მამისაშვილი (კახეთი), 2. გივი აფაქიძე, 3. დიმიტრი ცაბაძე (ორივე - თბილისი), ბაჩანა ბოლქვაძე (აჭარა).

**60 კგ.** 1. თამაზ კირაკოზაშვილი, 2. ჯუმბერ ჩიხიაშვილი, 3, იაკობ მაისურაძე (კახეთი), ბექა შერმადინი (ქვემო ქართლი).

**66 კგ.** 1. გიორგი მუზაშვილი (შიდა ქართლი), 2. აპოლონ ზურაბიანი, გიორგი ტიტვინიძე (თბილისი), დავით ჭიკაიძე (კახეთი).

**73 კგ.** 1. ბექა დონლვანი (თბილისი), 2. ვანო ჩურჩხელაშვილი (კახეთი), 3. ლევან გუგავა (იმერეთი), ლერი დადვანი (თბილისი).

**81 კგ.** 1. ბექა ლვინიაშვილი (შიდა ქართლი), 2. ჯაბა მუმლაძე (აჭარა), 3. დავით ოზბეთელაშვილი, ადამ ვარაზიშვილი (თბილისი).

**90 კგ.** 1. შალვა ჩოჩელი, 2. გურამ თუშიშვილი (თბილისი), 3. ჯაბა კაპანაძე (იმერეთი), ბაქარ მაზიაშვილი (შიდა ქართლი).

**+90 კგ.** 1. გიორგი ლაზუაშვილი (იმერეთი), 2. ზაზა ხუბულური (თბილისი), 3. გიორგი გელაშვილი (შიდა ქართლი), ირაკლი კახნიაშვილი (იმერეთი).

წყალბურთი



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# მთავარი პრიზი მასპინძლებს

სამი შეხვედრიდან სამი მოგება - ასეთი შედეგით დაასრულა საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა პირველმა ნაკრებმა ასპარეზობა „ოლიმპიკის“ აუზში თბილისის საერთაშორისო ტურნირში სახელოვანი წყალბურთელისა და მწვრთნელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, 1956 წლის მელბურნის ოლიმპიადისა და ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორ **ნოდარ გვახარიას** თასზე.

უკვე გაუწყეთ, რომ უკრაინის, ბელარუსისა და მასპინძელთა ორი გუნდი მონაწილეობდა 1995-1996 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა შეჯიბრებაში. ასპარეზობის სტარტზე ჩვენმა პირველმა ნაკრებმა უკრაინელებს სძლია 18:2, მეორე ნაკრები კი ბელარუსთან დამარცხდა - 9:10. ტურნირის მეორე დღეს პირველმა ნაკრებმა დაძაბულ პაექრობაში სძლია ბელარუსს - 16:10 (4:3, 2:1, 5:1, 5:5). მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს: **გაბადაძემ** (1), **ბითაძემ** (3), **ჯახაიამ** (2), **კახეთელიძემ** (2), **ყაზახიშვილმა** (4), **ჩომახაშვილმა** (1) და **კაკულიამ** (3). იმავე დღეს მეორე ნაკრებმა უკრაინელებთანაც წააგო - 8:11 (2:1, 2:6, 2:3, 2:1). ქართველთაგან **წამალაშვილმა** (2), **გელაძემ** (1), **შენგელიამ** (3) და **ბროძელმა** (2) გამოიჩინეს თავი.

გუშინ მე-3 ტურის შეხვედრები გაიმართა. უკრაინამ ბელარუსს აჯობა 12:6 (2:1, 3:2, 3:1, 4:2), საქართველოს პირველმა ნაკრებმა მეორე გუნდი იოლად დაჯაბნა - 22:4 (3:2, 5:0, 7:2, 7:0). ბურთები: I ნაკრები - **ჩიკვაიძე** (1), **რევია** (2), **იმნაიშვილი** (2), გაბადაძე (3). ბითაძე (1), ჯახაია (4), **ზაქარეიშვილი** (3), კახეთელიძე (3), ყაზახიშვილი (3). II ნაკრები: წამალაშვილი (1), **ჩანტლაძე** (1), შენგელია (1), მოსაშვილი (1).

ამდენად, სამდღიანი პაექრობების შემდეგ საქართველოს პირველმა ნაკრებმა 9 ქულით ნოდარ გვახარიას თასი მოიპოვა. 6 ქულით მე-2 ადგილზე უკრაინელები გავიდნენ. 3 ქულით „ბრინჯაო“ ბელარუსებს ერგოთ, ჩვენი მე-2 ნაკრები მე-4 ადგილს დასჯერდა. გამარჯვებული გუნდი გარდამავალი თასით ნოდარ გვახარიას ვაჟმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **გიორგი გვახარიამ** დააჯილდოვა. ასპარეზობის დამთავრების შემდეგ მან ჩვენთან საუბარში თქვა: *„კარგი ტურნირი გამოვიდა. ჭაბუკებს თავი არ დაუზოგავთ წარმატების მისაღწევად. შესანიშნავი თაობა გვეზრდება. მადლობა საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტ ალექსანდრე ბითაძესა და ვიცე-პრეზიდენტ ალექსანდრე ნიკოლაიშვილს, რომლებმაც ჭაბუკ წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირს ჩაუყარეს საფუძველი. ბიჭები აქ დიდ გამოცდილებას შეიძენენ და ეროვნულ ნაკრებს საიმედო ცვლა ეყოლება. ჩემი ოჯახისთვის სასიხარულო და საამაყოცაა, რომ ეს შეჯიბრება მამას - ნოდარ გვახარიას სახელობისაა. დიდი მადლობა ყველას ასეთი პატივისა და დაფასებისთვის“.*

**ალექსანდრე ბითაძე:** - საქართველოს წყალბურთის ისტორიაში ჭაბუკებისთვის პირველად გაიმართა საერთაშორისო ტურნირი. შედეგითა და ბიჭების თამაშით კმაყოფილი ვარ. შემთხვევითი არ არის, რომ ასპარეზობის მონაწილე გუნდების მწვრთნელებისა და დელეგატ-არბიტრების არჩევანით ტურნირის ხუთივე საუკეთესო წყალბურთელი ჩვენი გუნდიდანაა, რომელიც „ივერიის“, „ლიგამუსისა“ და „თბილისის“ კლუბების მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული. ჩვენმა ბიჭებმა ამას წინათ თანატოლთა შორის სერბეთის ჩემპიონატში ითამაშეს. სამი შეხვედრა მოიგეს, ორი დათმეს და მეორე ტურში თამაშის უფლება მოიპოვეს. საასპარეზოდ, ალბათ, მარტის მეორე ნახევარში გავემგზავრებით.

**- იქნებ ისიც გვითხრათ, 30 მარტის მატჩისთვის როგორ ემზადებით?**

- ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის მე-2 ტურში ბერძნებს ვუმასპინძლებთ. მოგეხსენებათ, ელინთა გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი და ათენის ოლიმპიადის მეოთხეადგილოსანია. სერიოზული მეტოქე გვყავს. ინტენსიურად ვემზადებით მასთან საპაექროდ. ჩვენი ეროვნული ნაკრები ამას წინათ თურქეთში იყო საწვრთნელ შეკრებაზე. იქვე საკონტროლო შეხვედრებიც გამართა. ორი მოიგო, ამდენივე ფრედ დაამთავრა და ერთი ორთაბრძოლა წააგო. ახლა, შესაძლოა, საფრანგეთის ან ბელარუსის ნაკრები მოვიწვიოთ ერთობლივი წვრთნისა და სპარინგპარტნიორობისთვის.

ძალასა და ენერგიას არ დავიშურებთ წარმატების მისაღწევად, რაც მომდევნო ეტაპზე გასვლის გარანტი იქნება.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# ოცნება ოცნებად დარჩა

დოჰაში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრანპრის მე-6 ეტაპი, რომელმაც ჩვენს ამჟამინდელ ოცნებას წერტილი დაუსვა. 1991 წლის შემდეგ, ანუ მას მერე, რაც **მაია ჩიბურდანიძემ** ჩინელ **სიე ჟუნთან** დათმო მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული, ასე ახლოს არასდროს ვყოფილვართ გვირგვინის დასაბრუნებელ ფინალურ პაექრობასთან. საკმარისი იყო, **ნანა ძაგნიძეს** ყატარში მეორე ადგილი დაეკავებინა ან ინდოელი **ჰამფი კონერუ** აღმოჩენილიყო პირველ-მეორე ადგილებს მიღმა, რომ წლის მიწურულს ჩვენებური ჩინელ **ჰოუ იფანს** დაპირისპირებოდა. სამწუხაროდ, ოცნება ოცნებად დარჩა. რეალობა კი ის არის, რომ თურქეთის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოსმედალოსანი ინდოელი ტახტზე ასასვლელად იმ შეჯიბრების გამარჯვებულსა და გვირგვინოსან ჩინელს შეხვდება. ეს მას შემდეგ გაირკვა, რაც დოჰაში ერთპიროვნული ლიდერი სომეხი **ელინა დანიელიანი** უმოტივაციო აუტსაიდერს, ბოლოდან მეორე ადგილზე მყოფ ბულგარელ **ანტოანეტა სტეფანოვას** დაუზავდა, ხოლო ამ ტურნირზე ალმავლობით მოთამაშე ფრანგი **მარი სებაგი ბათჰუიაგ მონგონთუულს** (მონგოლეთი) დანებდა. ამგვარ სიტუაციაში კონერუს ერთადერთი შანსი რჩებოდა - აუცილებლად უნდა დაემარცხებინა ყატარში მცხოვრები ჩინელი, ტურნირის მაჩანჩალა მსოფლიოს ჩემპიონყოფილი **ჟუ ჩენი**, რაც ინდოელს არ გასჭირვებია, 8 ქულით პირველი-მეორე ადგილები გაიყო დანიელიანთან, გრანპრის გათამაშებაში კი მეორე ადგილი დაიკავა, რამაც მიზანთან მიაახლოვა.

მეთერთმეტე ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: **მაია ჩიბურდანიძე-ნანა ძაგნიძე** 0,5:0,5, **სიუ იუჰუა** (ჩინეთი)-**პია კრამლინგი** (შვედეთი) 1:0, **ლილით მკრტიჩიანი** (სომხეთი)-**მარტა ფიერო** (ეკვადორი) 0,5:0,5.

მე-6 ეტაპის შედეგები: დანიელიანი, კონერუ-8-8, სებაგი-7, კრამლინგი, ჩიბურდანიძე, ძაგნიძე-5,5,-5,5, სიუ იუჰუა, მონგონთუული-5, მკრტიჩიანი, ფიერო-4,5-4,5, სტეფანოვა-4, ჟუ ჩენი-3 ქულა.

გრანპრის გათამაშებაში სულ 20 დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი მონაწილეობდა. გაცნობებთ, ვინ რომელი ადგილი დაიკავა სამი ტურნირის ჯამში მოგროვებული ქულებით: 1. ჰოუ იფანი (ჩინეთი, 410), 2. ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 398,3), 3. ნანა ძაგნიძე (საქართველო, 390), 4. ტატიანა კოსინცევა (რუსეთი, 383,3), 5. ელინა დანიელიანი (სომხეთი, 358,3), 6. ჟაო სიუ (ჩინეთი, 293,3), 7. სიუ იუჰუა (ჩინეთი, 275), 8. მარი სებაგი (საფრანგეთი, 270), 9. ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი, 268,3), 10. პია კრამლინგი (შვედეთი, 245), 11. ლილით მკრტიჩიანი (სომხეთი, 213,3), 12. მაია ჩიბურდანიძე (საქართველო, 195), 13. ბათჰუიაგ მონგონთუული (მონგოლეთი, 175), 14. შენ იანი (ჩინეთი, 160), 15. ჟუ ჩენი (ყატარი, 145), 16. მარტა ფიერო (ეკვადორი, 120), 17. ბაირა კოვანოვა (რუსეთი, 100), 18. იუ ვენიუნი (ჩინეთი, 80), 19. ბეთულ ილდიზი (თურქეთი, 40), 20. ზეინაბ მამედიაროვა (აზერბაიჯანი, 25).

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

**სუპერლიგა. XVI ტური**

# მაშ თექვსმეტი: მე-16 ტური, 16 პასი...



საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრის გააქტიურებასთან ერთად ფორმაში შევიდნენ სუპერლიგის გუნდები. თამაშსაც აუმჯობესებენ და რეკორდებსაც. თუ მე-15 ტურში თსუ-მ 149 ქულა ჩააგდო, მე-16 ტურში არაერთი ინდივიდუალური რეკორდი დამყარდა. პარასკევს თსუ-ს ფორვარდმა **ილია ლონდარიძემ** 40 ქულით **ბექა ჩიკვილაძის** 37-იანი მაჩვენებელი გააუმჯობესა, ხოლო შაბათს „სოხუმის" უკანახაზელმა **იუჯინ ჰარისმა** 16 პასით სეზონის რეკორდი დაამყარა. მან **გიორგი გაფრინდაშვილის** შედეგი სამით გააუმჯობესა. შედეგიან გადაცემებში საქართველოს აბსოლუტური რეკორდი **დავით თორთლაძეს** ეკუთვნის, რომელმაც 90-იანი წლების შუაში „თორსის" მაისურით 20 პასი შეასრულა.

სუპერლიგაში შაბათს სამი მატჩი გაიმართა. პირველში „არმიამ" „აგრარული" დაამარცხა. ანგარიშიდანაც ნათლად ჩანს, რომ ძალოვნებს იოლად არ მოუგიათ. ჩემპიონატის ფავორიტთან მატჩში **გია კაზანჯიანის** გაწვრთნილმა აგრარებმა ბოლომდე იბრძოლეს, პირველი მეოთხედის 14:31 წაგების შემდეგ თამაში გამოასწორეს და მომდევნო ორი პერიოდიც მოიგეს. მესამე ათწუთეულში მეტოქეს სულაც 9 ქულაზე მეტი არ ჩააგდებინეს... თუმცა, ლიდერ **კოტე ტულუშის** გამოკლების მიუხედავად (5 ჯარიმა მიიღო), გამოცდილმა არმიელებმა მატჩის გამარჯვებამდე მიყვანა შეძლეს - 81:72.

სხვათა შორის, კოტეს სამმაგ დუბლამდე ორი პასი დააკლდა: 10 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი.

ამ მატჩმა აგრარული უნივერსიტეტის გუნდს თვითრწმენა შემატა, ხოლო „არმიას" დაანახვა, რომ პლეიოფების მოახლოებასთან ერთად გამარჯვების მოპოვება ერთიორად გართულდება.

სტუ და „ბათუმი" სატურნირო ცხრილის ქვემოთ არიან, შესაბამისად, უშუალო კონკურენტებად ითვლებიან და მათთვის თითოეულ გამარჯვებას „ოქროს" ფასი აქვს.

ამის გათვალისწინებით მატჩი მეტად დაძაბული გამოდგა, არც ერთ გუნდს მოედნის გოჯის დათმობა არ სურდა, თუმცა მეოთხე პერიოდში შორი გზიდან ჩამოსულ ბათუმელებს დაღლა დაეტყოთ, საპირისპიროდ ერთიორად უკეთესად ათამაშდნენ ტექნიკოსები, რომლებმაც მეოთხე რაუნდი 32:11 მოიგეს.

წინა ტურში სტუ-ს ერთ-ერთმა ლიდერმა **ვასილ ბერუაშვილმა** შეტევაში არადამაჯერებლად ითამაშა (0 ქულა), „ბათუმთან" კი შეუჩერებელი იყო - 27 ქულა (12-დან 7 ორქულიანი, 7-დან 3 სამიანი, 4-დან 4 საჯარიმო), 15 მოხსნა, 3 პასი, 4 ჩაჭრა, 1 დაფარება.

**5 მარტი, თბილისი**

| | |
|---|---|
| არმია | 81 |
| აგრარული | 72 |

31:14, 23:24, 9:18, 18:16

**არმია:** ტულუში (10ქ, 10მ, 8პ), ბოისა (14ქ, 6მ, 3პ), პირველაშვილი (5ქ), შარაბიძე (2ქ), ათუაშვილი (4ქ, 5მ, 2დ), ბაქრაძე (6ქ), ბაბიაშვილი (17ქ), მოსეშვილი (10ქ), ათანელიშვილი (8ქ, 8მ), ბ. ბერიშვილი (7ქ, 5ჩ, 5პ), მინაშვილი (4ქ).

**აგრარული:** ტეტელაშვილი (3ქ), ბააკაშვილი (5ქ), ნანიტაშვილი (2ქ), სიგუა (3პ), ჩაჩანიძე (23ქ, 4ჩ, 3პ), ხანიაშვილი (13ქ, 3ჩ), გემაზაშვილი, ჯავახიშვილი (6ქ, 10მ), მუმლაძე (8ქ, 7მ), არნივიძე (12ქ, 8პ),

**მსაჯები:** ხ. გაბედავა, დ. არეშიძე

**კომისარი:** თ. ქიქოძე

**5 მარტი, თბილისი**

| | |
|---|---|
| სტუ | 86 |
| ბათუმი | 73 |

20:24, 13:15, 21:23, 32:11

**სტუ:** ჩიკვილაძე (20ქ, 7მ), ვ. ბერუაშვილი (27ქ, 15მ, 3პ, 4ჩ), გასიტაშვილი (3ქ), ჯანგველაძე (5ქ, 5მ) კობიძე (2ქ), ჭოხონელიძე (2ქ), ლომოური (11ქ, 4პ), მაჩალაძე (7ქ, 6მ, 3პ, 3ჩ), თევზაძე (2ქ), ახალკაცი (7ქ, 5მ).

**ბათუმი:** რამიშვილი (6ქ), ვ. მაისურაძე (16ქ, 8მ), კეშელავა (12ქ, 13მ, 3პ), ელიაშვილი, ელიაძე, ყველაშვილი (11ქ, 8მ), ჩხატარაშვილი (12ქ, 8მ, 3პ), სანაძე (16ქ, 3ჩ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, დ. ბერიშვილი.

**კომისარი:** მ. რატიშვილი.

**5 მარტი, თბილისი**

| | |
|---|---|
| სოხუმი | 121 |
| დინამო | 74 |

31:26, 23:12, 31:11, 36:25

**სოხუმი:** ჰარისი (21ქ, 16პ), ჩლაიძე (17ქ), ანთაძე (17ქ, 7მ), რ. დამუსი (10ქ, 9მ), შანიძე (23ქ, 5მ), სორდია (14ქ, 5მ, 3პ), კანკია (7ქ, 7პ, 6ჩ), კ. დამუსი (12ქ, 10მ, 3დ), კვარაცხელია.

**დინამო:** ივანეიშვილი (20ქ, 3პ, 3ჩ), თვაური (15ქ, 5მ), თავამაშვილი (9ქ), პატარაია (9ქ, 3პ, 3ჩ), გლუნჩაძე (2ქ), ცაგარეიშვილი, ალხანაიძე (6ქ, 8მ), ჩაველაშვილი (8ქ, 7მ, 7პ), შალიკიანი (5ქ), ცაგარეიშვილი.

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, ზ. მალაჩაძე

**კომისარი:** რ. ხომერიკი

„სოხუმმა" „დინამო" დაამარცხა. ეს ისედაც მოსალოდნელი იყო, თუმცა საინტერესო იყო პირველი ტაიმის შემდეგ ფოლების რაოდენობის გადახედვა: სოხუმელთა სამ ლიდერს, ძმებ **დამუსებსა** და **ჩლაიძეს** 4-4 ჯარიმა ჰქონდათ. ამ ფაქტს გუნდის ლატვიელი მწვრთნელი **აინარს ბაგაცკისი** მატჩის შემდეგ გამოეხმაურა - დაცვაზე სერიოზულად ვმუშაობთ, მაგრამ დღეს, პირველ ტაიმში ჩემი გუნდის გარჯით უკმაყოფილო ვარ, სამ კალათბურთელს 4-4 ჯარიმა ჰქონდა, რაც დაუშვებელიაო.

საწყის 20 წუთში „სოხუმის" ლეგიონერ იუჯინ ჰარისს 9 პასი მოუგროვდა და დიდი ალბათობა იყო იმისა, რომ გაფრინდაშვილის 13-პასიანი რეკორდი გაეუმჯობესებინა. საბოლოოდ რამდენი შედეგიანი გადაცემა შეასრულა იუჯინმა, შესავალში მოგახსენეთ. იგი გამარჯვებულთა შორის საუკეთესო იყო და „სოხუმის" ხელმძღვანელობის მიერ დაწესებული **ვალერი ჯგერენაიას** სახელობის თასიც გადაეცა. ანალოგიური ჯილდო ერგო „დინამოს" ბომბარდირ **ირაკლი ივანეიშვილს** - 20 ქულა.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. არმია | 14 | 13 | 1 | 1226/957 | 27 |
| 2. თსუ | 15 | 12 | 3 | 1386/1208 | 27 |
| 3. შსს | 14 | 10 | 4 | 1230/1053 | 24 |
| 4. ქუთაისი | 14 | 10 | 4 | 1149/1002 | 24 |
| 5. სოხუმი | 15 | 9 | 6 | 1213/1136 | 24 |
| 6. ენერჯი | 15 | 7 | 8 | 1060/1128 | 22 |
| 7. სტუ | 15 | 5 | 10 | 1203/1281 | 20 |
| 8. ბათუმი | 14 | 5 | 9 | 1090/1153 | 19 |
| 9. აგრარული | 15 | 4 | 11 | 1063/1234 | 19 |
| 10. სამედიცინო | 14 | 4 | 10 | 1032/1059 | 18 |
| 11. დინამო | 15 | 1 | 14 | 1054/1495 | 16 |

**ტურის მოთამაშე**

**ბუბა კვიმსაძე (ქუთაისი)**

**37 წუთი, 16 ქულა, 15 მოხსნა, 10 პასი, 1 ჩაჭრა.**

ტურის საუკეთესო მოთამაშის „პოსტზე" პრეტენზიას ოთხი კალათბურთელი აცხადებდა: თსუ-ელი ილია ლონდარიძე, (40 ქულა), სტუ-ელი ვასილ ბერუაშვილი (27 ქულა, 15 მოხსნა), იუჯინ ჰარისი (20 ქულა, 16 მოხსნა) და **ბუბა კვიმსაძე**...

ვფიქრობთ, სამართლიანად, საუკეთესოდ ბუბა დავასახელეთ. მან სამმაგი დუბლი შეასრულა (16 ქულა, 15 მოხსნა, 10 პასი) და, რაც მთავარია - მისი კარგი გარჯა „ქუთაისის" მიერ შსს-ს ძლევის საწინდარი გახდა.

**მანუს იმპულსი**

# მისია შესრულებულია!



იტალიის ჩემპიონატში მორიგი მატჩები ჩაატარეს **მანუჩარ მარკოიშვილმა** და **ვიქტორ სანიკიძემ**. მანუს „კანტუმ" შაბათს ითამაშა, ხოლო სანიკიძის „ვირტუსის" შეხვედრა გუშინ ღამით დასრულდა და მასზე ხვალინდელ ნომერში მოგითხრობთ.

შაბათს დიდი შანსი იყო, ქართული დუელი გვენახა - მარკოიშვილის „კანტუს" **მერაბ ბოქოლიშვილის** „აველინო" დაუპირისპირდა. მწვრთნელმა მერაბი განაცხადში კი შეიყვანა, მაგრამ თამაშში არ ჩართო.

მანუჩარი მატჩში სათადარიგოთა სკამიდან შევიდა და იტალიელი ჟურნალისტებიც აღნიშნავენ, რომ „კანტუს" დიდი იმპულსი შესძინა. პირველი პერიოდის დასრულებას ერთი წუთი უკლდა, როცა მანუჩარმა 4 ქულა ჩააგდო და თანაგუნდელები დიდ შესვენებაზე 10-ქულიანი ფორით გაიყვანა. ხოლო 25-ე წუთზე ქართველის სამქულიანის შემდეგ ყველაზე დიდი სხვაობა დაფიქსირდა - 56:42. სწორედ ამის შემდეგ გამოფხიზლდა „აველინო" და სამ წუთში დეფიციტი 4 ქულამდე დაიყვანა (54:58), თუმცა ისევ მანუმ იყოჩაღა, ორ ქულას საჯარიმო მიამატა და - 61:54. აველინოელები 54-ზე „გაიყინენ" და „კანტუმ" დამსახურებულად გაიმარჯვა (91:67).

მარკოიშვილმა 17 წუთში 12 ქულა (4-დან 3 ორქულიანი, 5-დან 1 სამიანი, 3-დან 3 საჯარიმო), 2 მოხსნა და ამდენივე პასი მიითვალა. მისი თამაში გამოცემა „ბასკეტნეტმა" 6.5 ბალით შეაფასა. „კანტუს" გუნდურ თამაშზე ისიც მიუთითებს, რომ 10-ქულიან ბარიერს 6 კალათბურთელი ასცდა. **გრინმა** და **ლეუნენმა** ყველაზე მეტი - 16-16 ქულა ჩააგდეს.

„აველინოს" რიგებში პირველ ტაიმში უშეცდომო იყო ბელგიის ნაკრების უკანახაზელი **დიმიტრი ლაუერსი** (რომელსაც ჩვენი გაზეთის მკითხველი კარგად იცნობს, თებერვლის დასაწყისში ინტერვიუ შემოგთავაზეთ) - 3-დან 3 სამქულიანი გამოიყენა. თუმცა მეორე ტაიმში სიზუსტემ მასაც უმტყუნა: სულ 8-დან 4 სამიანი ჩააგდო და 14 ქულას გამორჩა. საინტერესოა, რომ „კანტუს" მაისურით მოთამაშე კიდევ ერთმა ბელგიელმა **ჯონათან ტაბუმაც** 14 ქულა მიითვალა. ასე რომ, ბელგიის ნაკრებთან ქართველ უკანახაზელებს დიდი ყურადღება მართებით...

„აველინოს" მწვრთნელმა **ფრანჩესკო ვიტუჩიმ** მოკლედ თქვა - კიდევ ერთხელ დავინახეთ, რომ სადღეისოდ „კანტუსთან" კონკურენცია არ შეგვიძლიაო. მასპინძელთა თავკაცმა **ანდრეა ტრინჩიერიმ** კი აღნიშნა:

*- ჩვენს უშუალო კონკურენტ „აველინოს" ორივე მატჩი მოვუგეთ. მისია შესრულებულია. ახლა სხვა მეტოქეებზე უნდა ვიფიქროთ.*

შაბათის მატჩის შემდეგ „კანტუ" სატურნირო ცხრილში მესამედან მეორე ადგილზე ავიდა. შეინარჩუნებდნენ თუ არა ამ პოზიციას, კვირას გაირკვეოდა - მესამეზე დაქვეითებული „მილანი" რომში „ლოტომატიკის" წინააღმდეგ გუშინ თამაშობდა.

**ესპანეთის ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ბისკაია-ლაგუნ არო | 92:86 |

ნიკა ცქიტიშვილი (ლაგუნ არო): 13 წუთი, 6 ქულა, 2 მოხსნა.

| | |
|---|---|
| მენორკა-გრან კანარია | 67:76 |

ტორინ გრინი (გრან კანარია): 25 წუთი, 10 ქულა, 5 პასი, 2 მოხსნა.

| | |
|---|---|
| რეალი-ხუვენტუდი | 78:60 |

ქუინტონ ჰოსლი (ხუვენტუდი): 23 წუთი, 7 ქულა, 7 მოხსნა, 1 პასი.

**იტალიის ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| მონტეგრანარო-ვირტუსი | 72:75 |

ვიქტორ სანიკიძე (ვირტუსი): 33 წუთი, 13 ქულა, 7 მოხსნა.

**ლეგადუე (იტალია)**

| | |
|---|---|
| ვენეცია-რიმინი | 60:62 |

ნიკა მეტრეველი (რიმინი): 10 წუთი, 4 ქულა, 6 მოხსნა.

**ადრიატიკის ლიგა**

| | |
|---|---|
| ზაგრები-ოლიმპია | 85:89 |

გიორგი შერმადინი (ოლიმპია): 16 წუთი, 2 ქულა, 5 მოხსნა.
ვლადიმერ ბოისა (ოლიმპია): 4 წუთი.

**ბელგიის ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ანტვერპენი-პეპინსტერი | 88:87 |

თორნიკე შენგელია (პეპინსტერი): 5 წუთი, 4 ქულა.

**ბალტიის ლიგა**

| | |
|---|---|
| ნევეჟისი-როკი | 81:55 |

გიორგი ცინცაძე (როკი) განაცხადში არ იყო.



ორი დღით ადრე „ჩიკაგოს" ძლევით ატლანტელ გულშემატკივრებს გაუჩნდათ იმედი, რომ „ატლანტა ჰოქსი" გამარჯვებების გზას დაუბრუნდებოდა...

მაგრამ პარასკევს 7:30 საათზე (ატლანტის დროით) „პეპსი არენაზე" მისული გულშემატკივარი კიდევ ერთხელ გაწბილდა - „ოკლაჰომამ" **კევინ დურანტისა** (29 ქულა) და **რასელ ვესტბრუკის** (28) წინამძღოლობით მასპინძლები 111:104 დაამარცხა. მატჩის დასრულებამდე 6 წუთით ადრე ოკლაჰომელები 12 ქულით წინ იყვნენ, მაგრამ **კროუფორდ-ჰინრიხის** დუეტმა დანებება არ ინება და შორეული ტყორცნებით სცადა მატჩის შემოტრიალება, ხოლო **მერვინ უილიამსმა** სხვაობა სულაც 2 ქულამდე დაიყვანა - 100:102 (სირენამდე 1:27 წუთით ადრე). თუმცა საპასუხოდ ვესტბრუკმა სამქულიანი ჩააგდო და მატჩის ბედიც სტუმართა სასარგებლოდ გადაწყვიტა.

**ქართველი NBA-ში**

# ფაჩულია: 1,1,1
# ოკლაჰომა: 111

გაგვაწბილა მწვრთნელმაც: **ლარი დრიუმ ზაზა ფაჩულია** მოედანზე პირველი პერიოდის დასრულებამდე 5:54 წუთით ადრე შეუშვა და ზუსტად 5:54 წუთი ათამაშა - პირველი მეოთხედის შემდეგ ზაზა მოედანზე აღარ გამოჩენილა და „სარეცხის მანქანაში" გამოწურულ დროში მხოლოდ ის მოასწრო, რაც სათაურში დავწერეთ: 1 ქულა, 1 მოხსნა, 1 დაფარება.

გულში გვიხარია „ატლანტას" კონკურენტების („ორლანდო", „ჩიკაგო") წაგებები, მაგრამ... ჯორჯიელები კონკურენტებთან შედარებით მეტს აგებენ, არასტაბილურად გამოიყურებიან და თამამად შეიძლება ითქვას - ასეთი თამაშით ძალიან გაუჭირდებათ თუნდაც „ორლანდოს" ჩამოტოვება, რომელსაც 40 მოგება აქვს. „ატლანტას" ანგარიშზე კი 37 გამარჯვებაა.

ზაზას გუნდი 6 მარტს „ნიუ იორკს" უმასპინძლებს.

| | |
|---|---|
| ატლანტა-ოკლაჰომა | 104:111 |

**ზაზა ფაჩულია:** 5:54 წუთი, 1 ქულა (2-დან 1 საჯარიმო), 1 მოხსნა, 1 დაფარება, 1 ფოლი

**ქრონოლოგია**

**I პერიოდი**

| | |
|---|---|
| 05:54 | ზაზამ კოლინზი შეცვალა |
| 05:26 | საჯარიმოები: 2/1 (1ძ, 14:12) |
| 04:36 | დაფარება: 1 (ჰარდენს დაუფარა) |
| 04:36 | ფოლი: 1 |
| 03:08 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები**

**თარაზულად:** 1. პესაპოლო; 5. ოსტატი; 9. ექვთიმიშვილი; 11. გასკოინი; 12. სკიფი; 15. ქურდიანი; 16. აიალა; 17. ლარსონი; 18. "იუვენტუსი"; 22. ფიბა; 24. სალიპამიჯიჩი; 25. ევანდერ; 27. უგრინი; 28. კანისარესი; 29. ფია.

**შვეულად:** 1. პიედესტალი; 2. სკვოში; 3. პუიოლი; 4. ლუიშ; 6. სოლსკიაერი; 7. იზმაილოვი; 8. ავთანდილი; 10. ფილიდორი; 13. "ფულჰემი"; 14. რუმტუ; 19. ურაევსკი; 20. ტრავერსი; 21. ჰინგისი; 22. ფიფია; 23. ბულიტი; 26. ნანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# პლეი ოფისთვის ისევ ოთხი იბრძვის

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ პირველ დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე 6 ტური დარჩა. მე-20 ტურის მატჩების შემდეგ პლეი ოფში მოხვედრისთვის ბრძოლა კიდევ უფრო გამძაფრდა. ქართველ მორაგბეთა ოთხი გუნდი მედლებისთვის ასპარეზობის გაგრძელების შანსს ისევ ინარჩუნებს. ორი კი დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის.

ტურის ცენტრალური მატჩში **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონმა" **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონს" უმასპინძლა და 19:12 დაამარცხა. თამაში, შეიძლება ითქვას, ზომაზე მეტად დაძაბული, საკმაოდ ნერვიული გამოდგა. მოთამაშეები ხშირად ინევდნენ ერთმანეთზე საჩხუბრად, თუმცა სერიოზულ შეხლა-შემოხლამდე საქმე არ მისულა. სასიხარულოა, რომ შერკინების ორივე ქართველი ბურჯი თავიანთ გუნდებში გამორჩეულნი იყვნენ.

პირველი ორი საჯარიმო, რომელიც „ვულკანების" ცხრა ნომერმა **მორგან პარამ** გაიტანა, სწორედ ზირაქაშვილმა გამოიმუშავა. მასპინძლები თამაშის ბოლომდე 14 ქულის სხვაობით იგებდნენ, ტულონელებმა მატჩის მიწურულს მაინც შეძლეს ლელოს გატანა და ერთი საპრემიო ქულის მოპოვება.

ზირაქაშვილი 59-ე წუთზე შეცვალეს, ქუბრიაშვილმა მოედანი ერთი წუთის შემდეგ დატოვა. „კლერმონს" 57 ქულა დაუგროვდა და მე-3 ადგილზეა. საგრძნობლად გაიუარესა მდგომარეობა „ტულონმა", რომელიც 50 ქულით სატურნირო ცხრილში მე-8 საფეხურზე დაეშვა, თუმცა პლეი ოფში გასვლის შანსს მაინც ინარჩუნებს.

ძნელი, მაგრამ უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა შინ **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, გიორგი ჩხაიძის, გოდერძი შველიძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიემ", ჩვენებურთა გუნდმა, რომელიც სატურნირო ცხრილში მე-4 ადგილზეა და ერთ-ერთ აუტსაიდერ, **ბექა შეყლაშვილის** „აჟენს" უმასპინძლა და მინიმალური სხვაობით 25:24 მოუგო.

აღსანიშნავია, რომ აჟენელებმა მეტოქეს სამი ლელო გაუტანეს, რისთვისაც ერთი საპრემიო ქულა მიითვალეს, რასაც 7 ქულაზე ნაკლები სხვაობით წაგების გამო სატურნირო ცხრილში კიდევ ერთი ქულა დაემატა.

„მონპელიემ" კი მეტოქეს არგენტინელი გარემარბის **მარტინ ბუსტოს მოიანოს** ფეხბურთინობის წყალობით სძლია. მან ექვსი საჯარიმო და ერთი გარდასახვა გაიტანა (20 ქულა). მატჩის პირველი ტაიმი სტუმრებმა 7:3 მოიგეს. მონპელიელები სათამაშო უპირატესობას მას შემდეგ დაეუფლნენ, როცა 49- ე წუთზე მოედანზე მამუკა გორგოძე გამოჩნდა.

მასპინძლებმა მალე ანგარიშში დაწინაურება შეძლეს, თუმცა შეყლაშვილი და კომპანია ფარ-ხმალის დაყრას არ აპირებდა. 77-ე წუთისთვის „მონპელიე" 25:17 იგებდა, „აჟენმა" მორიგი შეტევა ლელოთი დაასრულა, სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა, მაგრამ მატჩის გადასარჩენად დრო აღარ ეყო.

ჟღენტი ძირითად შემადგენლობაში იყო და 72-ე წუთზე შეცვალეს, შეყლაშვილი თამაშში 49-ე წუთიდან ჩაერთო, ჩხაიძე, შველიძე და ნარიაშვილი განაცხადში არ იყვნენ.

**დავით ხინჩაგიშვილისა** და **ვასილ კაკოვინის** „ბრივმა" შინ დასანანი მარცხი განიცადა **ანტონ ფეიქრიშვილისა** და **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრთან" - 12:20. მასპინძლებმა პირველი ტაიმი გაჭირვებით, ორი ქულის სხვაობით მოიგეს - 12:10. შესვენების შემდეგ კი მონაგარს ვერაფერი შემატეს. კასტრელებმა ყველა ღონე იხმარეს სეზონში პირველი საგარეო გამარჯვების მისაღწევად. შედეგად მათ 55 ქულა დაუგროვდათ და მე-5 ადგილზე არიან. „ბრივი" კი 31 ქულით ისევ სახიფათო ზონაშია.

ხინჩაგიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 68-ე წუთზე კაკოვინმა შეცვალა, ფეიქრიშვილი ტრავმირებულია, გიორგაძეს არ უთამაშია.

**I დივიზიონი**

**XX ტური**

კლერმონი-ტულონი 19:12, სტად ფრანსე-პერპინიანი 9:21, ბურგუენი-მეტრო რასინგი 19:38, ბიარიცი-ლა როშელი 32:30, ბრივი-კასტრი 12:20, ბაიონი-ტულუზი 19:13, მონპელიე-აჟენი 25:24.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტულუზი - 65 ქულა, 2. მეტრო რასინგი - 62, 3. კლერმონი - 57, 4. მონპელიე - 56, 5. კასტრი - 55, 6. ბაიონი - 53, 7. ბიარიცი - 53, 8. ტულონი - 50, 9. პერპინიანი - 49, 10. სტად ფრანსე - 44, 11. აჟენი - 33, 12. ბრივი - 31, 13. ლა როშელი - 29, 14. ბურგუენი - 10.

**XXI ტური**

პერპინიანი-ბაიონი, ბიარიცი-მეტრო რასინგი, ტულუზი-ბრივი, ტულონი-ბურგუენი, სტად ფრანსე-აჟენი, ლა როშელი-მონპელიე, კასტრი-კლერმონი.

მეორე დივიზიონში სტუმრად „ოშთან" მარცხის მიუხედავად 18:25, გათამაშებას ისევ **გურამ კავთიძის** „ლიონი" ლიდერობს. ლიონელებს 78 ქულა აქვთ და უახლოეს მდევარ „ალბის" შვიდი ქულით უსწრებენ. კავთიძე განაცხადში არ იყო.

XIII ტურში „ალბიმ", თავის მხრივ, ფრედ ითამაშა შინ **გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლთან" - 16:16. „ალპელებს" ახლა 67 ქულა აქვთ და მესამე ადგილზე არიან.

მორიგი გამარჯვება მოიპოვა შინ „მონ დე მარსანთან" **მამუკა მაგრაქველიძისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბმა" 22:18. ტარბელებმა 58 ქულა დააგროვეს და მეექვსე ადგიზლე არიან. მაგრაქველიძე თამაშში 41-ე წუთზე ჩაერთო, მირცხულავას არ უთამაშია.

**II დივიზიონი**

**XXIII ტური**

ტარბი-მონ დე მარსანი 22:18, პო-სენტ ეტიენი 48:25, ბორდო-ექსი 18:23, დაქსი-კარკასონი 21:21, ოში-ლიონი 25:18, ნარბონი-ოიონაქსი 25:24, ორიაკი-კოლომიე 37:24, ალბი-გრენობლი 16:16

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ლიონი - 78 ქულა, 2. ალბი - 71, 3. გრენობლი - 67, 4. ბორდო - 61, 5. მონ დე მარსანი - 61, 6. ტარბი - 58, 7. პო - 57, 8. ოში - 56, 9. კარკასონი - 56, 10. ოიონაქსი - 54, 11. ორიაკი - 54, 12. ნარბონი - 47, 13. ექსი - 44, 14. კოლომიე - 39, 15. დაქსი - 39, 16. სენტ ეტიენი - 13.

**XXIV ტური**

ექსი-ტარბი, ოიონაქსი-ალბი, გრენობლი-ნარბონი, ოში-ორიაკი, ბორდო-პო, მონ დე მარსანი-კარკასონი, სენტ-ეტიენი-დაქსი, კოლომიე-ლიონი.



ბურთით დავით ზირაქაშვილი

ერთა თასი



# სტეუარისთვის მზადება დაიწყო

საქართველოს ნაკრები შაბათს, 12 მარტს, თბილისში ერთა თასის მეოთხე ტურის მატჩს რუმინეთის ეროვნულ გუნდთან გამართავს. „ბორჯღალოსნები" სამიდან სამი გამარჯვებით სატურნირო ცხრილის ლიდერები არიან. „სტეუარის" თუ ისე დავამარცხებთ, რომ ერთი საპრემიო ქულაც ვირგუნოთ, მაშინ ერთა თასს გათამაშების დასრულებამდე ერთი ტურით ადრე მოვიპოვებთ.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა **რიჩი დიქსონმა** საწვრთნელ შეკრებაზე, რომელიც დღეს დაიწყება, 27 მორაგბეს უხმო. ტრავმის გამო გუნდს დააკლდა პირველხაზელი **ანტონ ფეიქრიშვილი**, მის ნაცვლად „მონპელიეს" შერკინების ბურჯ **გიორგი ჟღენტს** უხმეს. ასევე დაშავებულია და ნაკრებს ვერ დაეხმარება გარემარბი **მალხაზ ურჯუკაშვილი**.

**საქართველოს ნაკრები**

**პირველი ხაზი:** დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), დავით ხინჩაგიშვილი (ბრივი), ირაკლი ნატრიაშვილი (სტიაუა), ჯაბა ბრეგვაძე (არმია), გიორგი ჟღენტი (მონპელიე)

**მეორე ხაზი:** ლევან დათუნაშვილი (ფიჟაკი), ვახტანგ მაისურაძე (სენ ნაზერი), გიორგი ნემსაძე (მონტობანი)

**მესამე ხაზი:** მამუკა გორგოძე, გიორგი ჩხაიძე (ორივე-მონპელიე), შალვა სუთიაშვილი (მასი), გია ლაბაძე (ლა სეინი), ბესო უდესიანი (მაკონი), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი), სიმონ მაისურაძე (ვილერბანი), ზვიად მაისურაძე (ლოკომოტივი)

**N9:** ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), ბიძინა სამხარაძე (სტიაუა)

**N10:** მერაბ კვირიკაშვილი (ფიჟაკი), ლაშა მალაღურაძე (ბეზიე)

**N12-13:** დავით კაჭარავა (ნიცა), თედო ზიბზიბაძე (პეროგო)

**N11-14:** ირაკლი მაჩხანელი (მაკონი), ლექსო გუგავა (ლელო), ირაკლი ჩხიკვაძე (აია)

**N15:** ბესიკ ხამაშურიძე (აია), ბექა ურჯუკაშვილი (ფიჟაკი)

**ერთა თასი**

**IV ტური. 12 მარტი**

საქართველო-რუმინეთი, ესპანეთი-პორტუგალია, უკრაინა-რუსეთი

**V ტური. 19 მარტი**

რუსეთი-საქართველო, რუმინეთი-ესპანეთი, პორტუგალია-უკრაინა.

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 3 | 3 | 0 | 0 | +120 | 14 |
| 2. პორტუგალია | 3 | 2 | 0 | 1 | +8 | 9 |
| 3. ესპანეთი | 3 | 1 | 0 | 2 | -44 | 6 |
| 4. რუმინეთი | 2 | 1 | 0 | 1 | +23 | 5 |
| 5. რუსეთი | 3 | 1 | 0 | 2 | -28 | 5 |
| 6. უკრაინა | 2 | 0 | 0 | 2 | -81 | 0 |

ზე რაგბი

# დაუმარცხებელი ნატალ შარქსი და ჰაილენდერზია

ზე რაგბის გათამაშებაში სამი ტურის შემდეგ დაუმარცხებელი ორი გუნდი დარჩა, დანიდინის „ჰაილენდერზი" და დურბანის „ნატალ შარქსი". დანიდინელებმა სტუმრად შარშანდელი ჩემპიონი პრეტორიის „ბლუ ბულზი" დასცეს.

„ლურჯი ხარები" C ჯგუფში „ზვიგენებთან" ერთად ლიდერობდნენ, თუმცა დანიდინელებთან ვერას გახდნენ. „ჰაილენდერზი" მთელი მატჩის განმავლობაში დომინირებდა. პირველი ტაიმი სტუმრებმა 16:6 მოიგეს. შესვენების შემდეგ „ბლუ ბულზმა" ორჯერ შეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ მატჩის გადარჩენა ვერ მოახერხა.

დანიდინელთაგან გარემარბმა **ქედი კოპიმ** ორი ლელო მიითვალა, თითო-თითო კი **ადამ თომსონმა** და **ჯეკ ბექჰაუსმა** გაიტანეს.

ჯგუფის ლიდერმა „ნატალ შარქსმა" სტუმრად ითამაშა ავსტრალიაში, პერთის „ფორსთან" და 39:12 მოიგო. კვლავ შესანიშნავად ითამაშა სამხრეთაფრიკელთა მგეზავმა **პატრიკ ლამბიემ,** რომლის ანგარიშზეც ერთი ლელო, ოთხი გარდასახვა და ორი საჯარიმოა (19 ქულა).

მასპინძელთაგან თორმეტივე ქულა მგეზავად გამწესებულმა **ჯეიმზ ოკონორმა** მიითვალა.

ამავე ჯგუფში, ორი მატჩიდან ორივე მოიგო კეიპთაუნის „სტორმერზმა". კეიპთაუნელებმა ამჯერად შინ დაამარცხეს ბლუმფონტეინის „ჩიტაზი" - 21:15. თამაში საკმაოდ უსახური გამოდგა. გუნდებმა ქულები მხოლოდ საჯარიმო დარტყმებით მოინაგრეს. „სტორმერზის" მგეზავმა **პიტერ გრანტმა** შვიდი საჯარიმო გაიტანა, ბლუმფონტეინელთა მგეზავმა **პეტრუს ულიფიემ** კი ხუთჯერ დაარტყა ზუსტად.

ყველაზე საინტერესო მატჩი ქრაისთჩერჩში გაიმართა, სადაც „კრუსეიდერზმა" შესანიშნავად მოთამაშე სიდნეის „ვორათაზი" დაამარცხა - 33:18. მასპინძლებმა სამი ლელო გაიტანეს, აქედან ორი **რობერტ ფრაინის** ანგარიშზეა, ერთიც **სონი ბილ ვილიამსმა** მიითვალა. ბრწყინვალედ ითამაშა მგეზავმა **დენ კარტერმა**. მან სამი გარდასახვა და ოთხი საჯარიმო გაიტანა (18 ქულა).

„მელბურნ რებლზმა" სტუმრად ჰემილთონში პირველი გასვლითი მატჩი გამართა და დამარცხდა - 38:10. მასპინძელთაგან თავი გარემარბმა **ლელია მასაგამ** და მგეზავმა **სტივენ დონალდმა** გამოიჩინეს. მასაგამ ორი ლელო გაიტანა, დონალდის ანგარიშზე კი ოთხ-ოთხი საჯარიმო და გარდასახვაა (20 ქულა).

**ზე რაგბი. IIIტური**

**A ჯგუფი**

ფორსი-ნატალ შარქსი 12:39, ბრამბიზი-რედსი 25:31

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ვორათაზი - 10 ქულა, 2. რედსი - 8, 3. ბრამბიზი - 6, 4. მელბურნ რებლზი - 4, 5. ფორსი - 1,

**B ჯგუფი**

კრუსეიდერზი-ვორათაზი 33:18, ჩიფსი-მელბურნ რებლზი 38:10

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ჰაილენდერზი - 13 ქულა, 2. ბლუზი - 9, 3. კრუსეიდერზი - 7, 4. ჩიფსი - 5, ჰარიკენზი - 3

**C ჯგუფი**

ლაიონზი-ბლუზი 32:41, სტორმერზი-ჩიტაზი 21:15, ბლუ ბულზი-ჰაილენდერზი 28:35

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ნატალ შარქსი - 13 ქულა, 2. ბლუ ბულზი - 9, 3. სტორმერზი - 8, 4. ლაიონზი - 3, 5. ჩიტაზი - 2.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი

# მესინა: რეალიდან ტორონტოში?

რომორც წინა ნომერში ვწერდით, ცნობილმა იტალიელმა სპეციალისტმა **ეტორე მესინამ** დაასრულა მოღვაწეობა მადრიდის „რეალში" და დროებით უმუშევარი დარჩა. შეგახსენებთ, რომ მესინამ წასვლაზე განცხადება ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში „მონტეპასკისთან" საშინაო წაგების შემდეგ დაწერა. იმ მარცხის მიუხედავად, „სამეფო კლუბი" მაინც გავიდა ევროლიგის პლეი ოფში, თანაც პირველი ადგილიდან.

*„მას შემდეგ, რაც გუნდმა გაინა[illegible] მეოთხედფინალის საგზური, საერ[illegible] შეწყვიტა კალათბურთის თამაში. რო[illegible] ბევრს მუშაობ და საკუთარი მოთამაშეებისთვის თავს არ ზოგავ, შეგირდებისგანაც შესაბამისი მხარდაჭერა და განწყობა უნდა იგრძნო. იმედი მაქვს, რომ მოთამაშეებს გაუჩნდებათ პასუხისმგებლობის გრძნობა, რაც არ გვყოფნიდა იმისთვის, რომ ევროპის საუკეთესო გუნდი გავმხდარიყავით. ჩემი აზრით, „რეალს" აქვს „ოთხთა ფინალში" გასვლის შანსი",* - ამბობს მესინა.

იტალიელმა დაამატა, რომ მსგავსი რამ მის კარიერაში პირველად მოხდა და მაშინვე გუნდის დატოვება გადაწყვიტა.

თუმცა მესინა დიდი ხანი უმუშევარი არ დარჩება. იტალიური პრესის ინფორმაციით, სავსებით შესაძლებელია მან ამ სეზონის ბოლომდე „მილანს" უხელმძღვანელოს. მაგრამ უფრო საინტერესო მეორე ცნობაა - მესინამ, შესაძლოა, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მუშაობის საშუალება მიიღოს. კერძოდ, იტალიელის გადაბირებით კანადური „ტორონტო რეპტორზია" დაინტერესებული.

როგორც აღმოჩნდა, „რეპტორზის" გენერალური მენეჯერი **ბრაიან კოლანჯელო** დიდი ხანია აკვირდება ევროპაში მესინას წარმატებებს და უნდა თავისი გუნდი სწორედ მას ჩააბაროს.

აქამდე არც ერთ ევროპელ სპეციალისტს არ მიუღია NBA-ში მთავარი მწვრთნელის პოსტი. მართალია, „ნიუ იორკ ნიქსს" წვრთნის იტალიელი **მაიკ დ'ანტონი**, მაგრამ მისი ევროპელად მოხსენიება არ იქნება მართებული. მაიკლს იტალიაში 13 სეზონი უმუშავია, იტალიური პასპორტიც აქვს, მაგრამ ამერიკაშია დაბადებული, მეორე მოქალაქეობა კი მხოლოდ 1985 წელს, 34 წლის ასაკში მიიღო იმისთვის, რომ იტალიის ნაკრებში თამაშის საშუალება ჰქონოდა.


ეტორე მესინა

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

● ამბები

**კალათბურთი**

## შაკი ოთხშაბათს ბრუნდება

„ბოსტონ სელტიქსის" ბანაკიდან გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ ოთხშაბათს შემადგენლობას დაუბრუნდებიან ტრავმირებული მოთამაშეები - **შაკილ ო'ნილი** და **დელონტე უესტი**.

*„დელონტეს საქმეები კარგად მიდის. იგივე შეიძლება ითქვას ო'ნილზეც. ორივეს უნდოდა ამ უქმეებზე თამაში, მაგრამ რამდენიმე დღე ვარჯიში დასჭირდებათ ფორმის აღსადგენად. ამიტომაც გადავდეთ მათი დაბრუნება. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ისინი ოთხშაბათს ითამაშებენ",* - ამბობს „ბოსტონის" დამრიგებელი **დოკ რივერსი**.

შეგახსენებთ, რომ შაკილმა ტრავმის გამო ბოლო 11 მატჩი გამოტოვა, უესტმა კი ბოლო ორ მატჩში ვერ შეძლო მონაწილეობის მიღება ფეხის დაზიანების გამო.

■ ■ ■

ამასობაში, „ბოსტონი" ახლოა გამთამაშებელ **კარლოს აროიოსთან** კონტრაქტის გასაფორმებლად. პუერტორიკოელი სეზონის ბოლომდე ითამაშებს „კელტების" შემადგენლობაში და ვეტერანის მინიმალურ ხელფასს მიიღებს.

აროიოს უკვე დღეს შეეძლება „მილუოკის" წინააღმდეგ თამაში. ეს კალათბურთელი რამდენიმე დღის წინ დაითხოვა „მაიამი ჰიტმა".

## რობინსონი თამაშგარეში დარჩა

„ოკლაჰომა-სიტიმ" დაახლოებით თვე-ნახევრით დაკარგა ახალწვეული - გამოცდილი მცველი **ნეიტ რობინსონი**. ყოფილმა ბოსტონელმა მუხლზე ართროსკოპიული ოპერაცია გადაიტანა და ექიმების ვარაუდით 4-6 კვირა ვერ შეძლებს თამაშს.

კლუბის გენერალური მენეჯერის **სემ პრესტის** თქმით, რობინსონმა მუხლში დისკომფორტი ერთ-ერთი ბოლო ვარჯიშის დროს იგრძნო.

ნეიტი ახლახან გადავიდა „ბოსტონიდან" „ოკლაჰომაში" და ახალ კლუბში ერთი მატჩის ჩატარება მოასწრო - „ინდიანას" წინააღმდეგ 8 წუთში 6 ქულა დააგროვა.

## სპურსს ორი ახალწვეული ჰყავს

„სან ანტონიო სპურსმა" ორი კალათბურთელით შეავსო შემადგენლობა. რეგულარულის ლიდერმა 10-დღიანი ხელშეკრულება გაუფორმა ფორვარდ **ოტიუს ჯეფერსს**, აგრეთვე სეზონის ბოლომდე გაიფორმა ამავე ამპლუის **სტივ ნოვაკი**.

ამ უკანასკნელმა წელს რვა მატჩის ჩატარება მოასწრო „სპურსის" შემადგენლობაში და საშუალოდ 2.5 ქულა დააგროვა. ჯეფერსი D-ლიგაში „აიოვას" შემადგენლობაში თამაშობდა და იქ მისი საშუალო სტატისტიკა 21.2 ქულასა და 9.0 მოხსნას უდრიდა.

**ფორმულა 1**

## ფერარის ახალი სახელი აქვს

„ფერარის" ახალმა ბოლიდმა დასახელება შეიცვალა. როგორც მოგეხსენებათ, თავდაპირველად 2011 წლის სეზონისთვის განკუთვნილ ბოლიდს F150 ერქვა. ეს სახელი იტალიის გაერთიანების 150 წლისთავთან იყო დაკავშირებული. მაგრამ ამ სახელწოდებამ კომპანია „ფორდის" პროტესტი გამოიწვია. ამერიკელები უკვე 35 წელია ასეთი ინდექსით უშვებენ თავიანთ ცნობილ პიკაპებს, ამიტომაც „ფორდმა" სასამართლოში უჩივლა „ფერარის".

იტალიურმა მხარემ უკან დაიხია და ბოლიდის სახელწოდება შეცვალა - მას ახლა F150th Italia ჰქვია. შესაბამისად, „ფორდის" იურისტებმა დეტროიტის საოლქო სასამართლოში შეტანილი სარჩელი გააუქმეს.

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# დიდი ტრიოს სირცხვილი

შაბათი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ისტორიული დღე იყო. ლიგის ხელმძღვანელობას არაერთხელ გაუმართავს ტურნე ევროპაში, ჩაუტარებია საჩვენებელი მატჩები და რეგულარულის სასტარტო შეხვედრები, მაგრამ შუა სეზონში ჩემპიონატის სრულფასოვანი მატჩი არასოდეს გამართულა.

ასეთი რამ პირველად ლონდონში მოხდა. O2-ის ცნობილ არენაზე ერთმანეთს შეხვდნენ „ნიუ ჯერსი ნეტსი" და „ტორონტო რეპტორზი". ნომინალური მასპინძლის როლში „ნეტსი" გამოვიდა, რომელმაც 19 ათასი მაყურებლის თანდასწრებით დაამარცხა კანადური კლუბი.

სხვათა შორის, ნიუ იორკიდან ბრიტანეთის დედაქალაქამდე ფრენას დაახლოებით იგივე დრო მიაქვს, რამდენიც ნიუ იორკიდან ლოს ანჯელესამდე. მოკლედ, სულაც არ ჩანს უტოპიურად NBA-ში ევროპული დივიზიონის შექმნა.

■ ■ ■

გასულ უქმეებზე ყ[illegible]ზე დიდ ინტერესს, რა თქმა უნდ[illegible] ჩემპიონატის ლიდერის „სან ანტონიო სპურსისა" და აღმოსავლეთის ფავორიტის „მაიამი ჰიტის" შეხვედრა იწვევდა. მაგრამ შაბათის მატჩებში სწორედ ამ დაპირისპირებაში დაფიქსირდა ყველაზე დიდი სხვაობა და ამიტომაც მოსაყოლი ბევრი არაფერია. „ორლანდოსთან" დამარცხების შემდეგ **ერიკ სპოელსტრას** გუნდმა ზედიზედ მეორე მატჩი წააგო, თანაც 30 ქულის სხვაობით.

„სან ანტონიოს" დროულად დაუბრუნდა ტრავმირებული გამთამაშებელი **ტონი პარკერი**. ფრანგმა და მისმა შვიდმა თანაგუნდელმა მინიმუმ ათი ქულის დაგროვება მოახერხეს. გარდა ამისა, **გრეგ პოპოვიჩის** შეგირდებმა მათთვის სარეკორდო 17 სამქულიანი ჩააგდეს (28-დან) და საბოლოოდ, 125:95 გაიმარჯვეს. უკვე პირველი მეოთხედის შემდეგ ცხადი იყო, რომ „მაიამი" წაგებას ვერ გადაურჩებოდა. მასპინძლებმა პირველი 12 წუთი 36:12 მოიგეს. დროის ამ მონაკვეთში ზუსტი აღმოჩნდა 8 სამქულიანი, აქედან ოთხი **მეტ ბონერის** ანგარიშზე იყო, სამი - **მანუ ჯინობილის**.

■ ■ ■

არცთუ ისე სახარბიელო კალენდარი ჰქონდა ბოლო დღეებში „ორლანდოს": ჯერ ურთულესი გასვლა მაიამიში, შემდეგ შინ დაბრუნება და აღმოსავლეთის კიდევ ერთ ფავორიტთან - „ჩიკაგოსთან" შეხვედრა. „ჯადოქრებმა" „ჰიტს" მოუგეს და „ხარებთან" მატჩს კარგი განწყობით შეხვდნენ.

მთელი პირველი მეოთხედი „ორლანდო" ლიდერობდა და ჩიკაგოელების ერთადერთი ამოცანა იყო - შორს არ გაეშვათ მეტოქე. **დერიკ როუზისა** და **ლუოლ დენგის** მონდომების წყალობით სტუმრებმა ეს შეძლეს და ბოლოს ანგარიში გაათანაბრეს - 21:21. აქ „მეჯიქს" ერთი უსიამოვნება ელოდა - **თურქოგლუმ** იდაყვი დაიზიანა და სათადარიგოთა სკამზე დაჯდა. მოგვიანებით თურქი მოედანზე დაბრუნდა, მაგრამ თავის თავს აღარ ჰგავდა და ჯამში მხოლოდ ორი ქულა მიითვალა.

მეორე მეოთხედის შუაში „ხარებმა" მკვეთრად მოუმატეს და 17:2 სპურტი განახორციელეს, რამაც მათ ორნიშნა უპირატესობა მოუტანა - 40:27. „ჩიკაგოს" კარგად გამოსდიოდა დაცვა „ორლანდოს" ლიდერის **დუაიტ ჰოვარდის** წინააღმდეგ. „სუპერმენიც" ანერვიულდა და ერთ ეპიზოდში უხეშად ითამაშა **ნოასა** და **კორვერის** წინააღმდეგ. მსაჯებს ეს არ გამორჩენიათ და ჰოვარდს ტექნიკური ჯარიმა მისცეს, რომელიც მეთექვსმეტე იყო მიმდინარე სეზონში დუაიტისთვის და ის ავტომატურად გამოტოვებს თავისი გუნდის მომდევნო შეხვედრას.

„ორლანდოს" არ გამოუვიდა ზედიზედ მეორედ წაგებული მატჩის გადარჩენა. ამჯერად არ იმუშავა გუნდის მთავარმა იარაღმა - სამქულიანებმა: 23-დან მხოლოდ ექვსმა შორეულმა ტყორცნამ მიაღწია მიზანს. ბოლოსკენ ბრძოლა თითქმის არ ყოფილა - მინიმალური სხვაობა მეოთხე მეოთხედში რვა ქულას შეადგენდა.

■ ■ ■

გაუჭირდა აღმოსავლეთის კიდევ ერთ ფავორიტ „ბოსტონ სელტიქსს". „კელტებმა" ვერაფერი მოუხერხეს „გოლდენ სტეიტის" ლიდერ **მონტა ელისს**, რომელმაც მჭიდრო მეურვეობის მიუხედავად 41 ქულის მოპოვება მოახერხა. სტუმრები ბოლოსკენ აღმოჩნდნენ უფრო ზუსტები, დამაჯერებლები და საიმედოები და 107:103 გაიმარჯვეს. **პირსმა** და **ალენმა** 27-27 ქულა მიითვალეს, **რონდომ** 16 შედეგიანი პასი შეასრულა. მაგრამ ეს დღე არც მათთვის და არც ელისისთვის არ ყოფილა გამორჩეული. საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა „გოლდენ სტეიტის" სათადარიგო მცველი **ჯერემი ლინი**. „ბოსტონთან" მატჩამდე მან ჰარვარდში დიპლომის ასაღებად შეიარა. როგორც ირკვევა, ლინი 1954 წლის შემდეგ NBA-ის პირველი კალათბურთელია, რომელმაც ეს პრესტიჟული უნივერსიტეტი დაამთავრა.

■ ■ ■

უქმეებს სენსაციის გარეშეც არ ჩაუვლია. მისი ავტორი გახდა „კლივლენდ კავალიერზი", რომელმაც სტუმრად მოახერხა ვარსკვლავური „ნიუ იორკის" დამარცხება. თანაც აუტსაიდერმა ბოლო მეოთხედში 34, ხოლო სულ 119 ქულა ჩააგდო. მართალია, „ნიქსს" ორი კალათბურთელი აკლდა - **ჩონსი ბილაპსი** და **რონი ტურიაფი**, მაგრამ ამას ხელი არ უნდა შეეშალა მისთვის უიმედო აუტსაიდერის დამარცხებაში. ასე რომ, „ნიუ იორკის" ამ წაგებას გამართლება არ აქვს.

„კავალიერზის" ერთბაშად შვიდმა კალათბურთელმა დააგროვა მინიმუმ ათი ქულა, გარდა ამისა, სტუმრებს მეტოქეზე ორჯერ მეტი შედეგიანი პასი დაუგროვდათ, ხოლო ტყორნების რეალიზაცია ბრწყინვალე იყო - თამაშიდან 50 პროცენტი, პერიმეტრიდან - 57.1 პროცენტი (21-დან 12).

■ ■ ■

გასულ უქმეებზე რამდენიმე მიღწევა დაფიქსირდა, თუმცა მათგან გამორჩეული **ანდრე იგუოდალას** სამმაგი დუბლი იყო. „ფილადელფიას" ფორვარდმა „მინესოტას" წინააღმდეგ სეზონში მეორე სამმაგი დუბლი შეასრულა - 22 ქულა, 13 შედეგიანი პასი და 10 მოხსნა და თავის გუნდს 111:110 გაამარჯვებინა. ეს იგუოდალას კარიერაში რიგით მეექვსე ტრიპლ-დაბლი იყო.

ზედიზედ 49-ე და 50-ე ორმაგი დუბლი შეასრულა „მინესოტას" ლიდერმა **კევინ ლავმა**, თანაც მან ორივე შეხვედრაში 20-ქულიანი და 20-მოხსნიანი ზღვარი გადალახა და ახლა ერთი ორმაგი დუბლი აკლია ლეგენდარული **მოზეს მელოუნის** რეკორდის მოსახსნელად.

**4 მარტი**

**ნიუ ჯერსი-ტორონტო 116:103**

**27:23, 20:28, 31:30, 38:22**

**ნ-ჯ:** ლოპესი (25), ჰემფრიზი (18+17 მოხსნა), უილიამსი (16+11 პასი), ჯეიმსი (15+7 მოხსნა), ვუიაჩიჩი (12).

**ტ:** დეროზანი (30), ბარნიანი (23), დევისი (12+8 მოხსნა).

**ორლანდო-ჩიკაგო 81:89**

**21:21, 14:28, 22:16, 24:24**

**ო:** ჰოვარდი (20+10 მოხსნა), რიჩარდსონი (16+5 მოხსნა), ბასი (16), ნელსონი (14+6 პასი).

**ჩ:** როუზი (24), დენგი (16+6 მოხსნა), ბუზერი (12+9 მოხსნა), კორვერი (10), აშიქი (5+13 მოხსნა).

**ფილადელფია-მინესოტა 111:100**

**22:31, 34:18, 29:29, 26:22**

**ფ:** იგუოდალა (22+13 პასი+10 მოხსნა), ბრენდი (21+5 მოხსნა), იანგი (16+8 მოხსნა), მიქსი (12), უილიამსი (12), ტერნერი (10).

**მ:** ლავი (21+23 მოხსნა), პეკოვიჩი (16), ბიზლი (15), რენდოლფი (12), ჰეივორდი (11+6 მოხსნა), რიდნური (8+10 პასი).

**ატლანტა-ოკლაჰომა 104:111**

**26:31, 25:25, 22:27, 31:28**

**ა:** ჯონსონი (24), ჰაინრიხი (21), კროუფორდი (19+5 პასი), ჰორფორდი (15+12 მოხსნა).

**ო:** დურანტი (29+8 მოხსნა+5 პასი), უესტბრუკი (28+9 პასი), ჰარდენი (17), კოლისონი (10+5 მოხსნა).

**ბოსტონი-გ. სტეიტი 107:103**

**32:27, 32:26, 24:28, 19:22**

**ბ:** პირსი (27+7 მოხსნა), ალენი (27), გრინი (21), კრსტიჩი (11+6 მოხსნა), რონდო (6+16 პასი+5 ჩაჭრა).

**გ-ს:** ელისი (41+6 მოხსნა), ლი (26+12 მოხსნა), რაიტი (11).

**ნიუ იორკი-კლივლენდი 115:119**

**32:32, 32:26, 24:27, 27:34**

**ნ-ი:** სტაუდმაიერი (41+9 მოხსნა), ენტონი (29+5 მოხსნა), ფილდსი (17+6 მოხსნა), დუგლასი (11+5 მოხსნა+5 პასი).

**კ:** ჰიქსონი (23+8 მოხსნა), დევისი (18+5 პასი), ჰარანგოდი (18), სამუელსი (15+6 მოხსნა), პარკერი (13+7 პასი), ეიენგა (13), სეშენსი (11+6 პასი).

**მემფისი-ნიუ ორლეანი 91:98**

**20:20, 25:25, 27:27, 19:26**

**მ:** რენდოლფი (20+11 მოხსნა), მაიო (13+6 პასი), გასოლი (12+5 მოხსნა), არტური (12+5 მოხსნა), კონლი (12).

**ნ-ო:** პოლი (23+14 პასი+5 მოხსნა), ჯეკი (19), გრინი (15), ლენდრი (14+10 მოხსნა), ბელინელი (14).

**დალასი-ინდიანა 116:108**

**35:33, 33:24, 22:24, 26:27**

**დ:** ნოვიცკი (29), ტერი (21+6 პასი), კიდი (15+6 მოხსნა+5 პასი), ბობუა (13), ჰიევუდი (10+5 მოხსნა).

**ი:** კოლისონი (17+6 პასი), მაკრობერტსი (15), ჰენსბრო (13+7 მოხსნა), ჰიბერტი (11+8 მოხსნა), რაში (10).

**მილუოკი-ფინიქსი 88:102**

**26:22, 22:23, 15:31. 25:26**

**მ:** მაგეტი (21+9 მოხსნა), ჯენინგსი (16), ბოიკინსი (14), სანდერსი (10+5 მოხსნა).

**ფ:** ფრაი (20+9 მოხსნა), პიეტრუსი (20+8 მოხსნა), ჰილი (14+7 მოხსნა), გორტატი (13+6 მოხსნა), ნეში (8+13 პასი).

**სან ანტონიო-მაიამი 125:95**

**36:12, 26:38, 32:22, 31:23**

**ს-ა:** ჯინობილი (20+7 პასი), ბონერი (18+5 მოხსნა), ნილი (16), პარკერი (15+8 პასი), დანკანი (11+14 მოხსნა), ჰილი (11), ჯეფერსონი (11), ბლეირი (10+6 მოხსნა).

**მ:** ჯეიმსი (26+8 მოხსნა+7 პასი), უეიდი (19), ბოში (17+14 მოხსნა), მილერი (12).

**ლეიკერსი-შარლოტი 92:84**

**29:19, 16:16, 24:22, 23:27**

**ლ:** ბრაიანტი (27), გასოლი (20+10 მოხსნა), ოდომი (12+11 მოხსნა), არტესტი (11), ბინუმი (9+17 მოხსნა+6 დაფარება).

**შ:** ოგუსტინი (22+6 მოხსნა), ლივინგსტონი (12), უაიტი (11+7 მოხსნა).

**5 მარტი**

**ნიუ ჯერსი-ტორონტო 137:136 (3ო)**

**23:30, 42:32, 23:26, 22:22, 9:9, 7:7, 11:10**

**ნ-ჯ:** ლოპესი (34+14 მოხსნა), ვუიაჩიჩი (25+5 მოხსნა), უილიამსი (21+18 პასი), ჰემფრიზი (20+17 მოხსნა), აუთლო (14+7 მოხსნა), ფარმარი (12+5 მოხსნა).

**ტ:** ბარნიანი (35+12 მოხსნა), დეროზანი (30+5 მოხსნა+5 პასი), ბარბოზა (22), დევისი (12+15 მოხსნა), ბიელესი (10+6 პასი+5 მოხსნა), ჯონსონი (10+6 მოხსნა).

**ვაშინგტონი-მინესოტა 103:96**

**25:29, 26:20, 17:23, 35:24**

**ვ:** ბლეტჩი (20+7 მოხსნა+7 პასი), უოლი (18+11 მოხსნა+8 პასი), ევანსი (15), მაკგი (14+7 მოხსნა), ლუისი (10).

**მ:** ლავი (20+21 მოხსნა), ბიზლი (18), ელინგტონი (15+5 მოხსნა), რიდნური (14+6 პასი), პეკოვიჩი (13+8 მოხსნა).

**ჰიუსტონი-ინდიანა 112:95**

**29:18, 36:31, 29:19, 18:27**

**ჰ:** მარტინი (20+5 მოხსნა), ლოური (18+6 პასი), ბადინგერი (18+6 მოხსნა), სკოლა (16+7 მოხსნა), ლი (13), დრაგიჩი (12+5 პასი).

**ი:** ჰენსბრო (17+10 მოხსნა), გრეინჯერი (16), ჰიბერტი (15+6 მოხსნა), მაკრობერტსი (12+8 მოხსნა).

**იუტა-საკრამენტო 109:102 (ო)**

**30:29, 27:20, 15:23, 23:23, 14:7**

**ი:** ჯეფერსონი (27+7 მოხსნა), კირილენკო (16+5 მოხსნა), ბელი (16), ჰარისი (14+7 პასი+5 მოხსნა), მილსეპი (12+7 მოხსნა), მაილზი (12).

**ს:** ტორნტონი (22), კაზინსი (18+18 მოხსნა), გარსია (18), უდრიხი (16+6 პასი).

**პორტლენდი-შარლოტი 93:69**

**15:16, 25:19, 25:17, 28:17**

**პ:** ოლდრიჯი (26+7 მოხსნა), მილსი (12), როი (10), კემბი (9+10 მოხსნა).

**შ:** ჰენდერსონი (16), ოგუსტინი (14), უაიტი (12+9 მოხსნა).

**კლიპერსი-დენვერი 100:94**

**30:23, 18:15, 23:27, 29:29**

**კ:** ბლედსოუ (20+7 ჩაჭრა), გრიფინი (18+12 მოხსნა+9 პასი), უილიამსი (17+5 პასი), ფოიე (13), ჯორდანი (10+5 მოხსნა).

**დ:** ნენე (25+14 მოხსნა), ფელტონი (18+7 მოხსნა+6 პასი), ლოუსონი (11+8 პასი), მარტინი (11).


გაოგნებული ვარსკვლავები

## მძლეოსნობა

# ბუბკას რეკორდი გადარჩა

 პარიზში სამი დღე მიმდინარეობდა ზამთრის სეზონის მთავარი სტარტი - დარბაზებისთვის ევროპის ჩემპიონი, რომელშიც საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი და რამდენიმე მნიშვნელოვანი შედეგი დაფიქსირდა.

ადგილობრივმა პუბლიკამ ყველაზე მეტად ისიამოვნა მამაკაცებს შორის ჭოკით მხტომელთა შეჯიბრებით. ფრანგების იმედი გაამართლა მათმა კერპმა **რენო ლავილენიემ**, რომელმაც სამ მნიშვნელოვან შედეგს მიაღწია: ქვეყნის რეკორდი, ევროპის ჩემპიონატების რეკორდი და მსოფლიოში სეზონის საუკეთესო შედეგი.

მასპინძელმა გამარჯვებისთვის 5.81 მეტრი სიმაღლის აღება იკმარა, შემდეგ მესამე ცდით დაძლია 5.91 მეტრი, ამას მოჰყვა პირველივე ცდაზე 6.03 მეტრზე დაგებულ თამასაზე გადაფრენა. ბოლოს ლავილენიემ იერიში მიიტანა ლეგენდარული **სერგეი ბუბკას** ლეგენდარულ რეკორდზე. ფრანგმა დიდი მონდომებით შეასრულა სამივე ცდა, მაგრამ ამ ეტაპზე მისთვის 6.16 მეტრი გადაულახავი ბარიერი აღმოჩნდა.

ევროპის ჩემპიონატზე კიდევ ერთი ცნობილი ფრანგი ათლეტი **ტედი ტამგო** გამოდის, რომელსაც ბოლო დღეს უნდა ესასპარეზა სამხტომში. მანამდე კი მან ძალები მოსინჯა სიგრძეზე ხტომაში. სამხტომელმა 8 მეტრს ვერ მიაღწია და 7.89 მეტრით ერთი ნაბიჯი დააკლდა საპრიზო სამეულამდე. აქ ტიტული შეინარჩუნა 2009 წლის ჩემპიონმა, გერმანელმა **სებასტიან ბაიერმა**, თუმცა მის მიერ ნაჩვენები 8.16 მეტრი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა ორი წლის წინ დაფიქსირებულ შედეგს.

ორი დღის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში სწორედ ფრანგები და გერმანელები დაწინაურდნენ, ჯამში კი 15 ქვეყნის წარმომადგენელმა მოიპოვა მედალი.


ლავილენიეს 6.03 მეტრი

### კაცები

**3000 მეტრი**

1. **მო ფარა** (ბრიტ) - 4.53,00; 2. **ჰაილე იბრაჰიმოვი** (აზე) - 7.53,32; 3. **ჰალილ აქასი** (თურ) - 7.54,19.

**სიმაღლეზე ხტომა**

1. **ივან უხოვი** (რუს) - 2,38 (სეზონის საუკეთესო დრო); 2. **იაროსლავ ბაბა** (ჩეხ) - 2,34; 3. **ალექსანდრ შუსტოვი** (რუს) - 2,34.

**ჭოკით ხტომა**

1. **რენო ლავილენიე** (საფ) - 6,03 (სეზონის საუკეთესო შედეგი, ეროვნული რეკორდი, ჩემპიონატების რეკორდი); 2. **ჟერომ კლავიე** (საფ) - 5,76; 3. **მალტიე მორი** (გერ) - 5,71.

**სიგრძეზე ხტომა**

1. **სებასტიან ბაიერი** (გერ) - 8,16; 2. **კაფეტიენ გომი** (საფ) - 8,03; 3. **მორტენ იენსენი** (დან) - 8,00.

**60 მ/თარჯრბენი**

1. **პეტრ სვობოდა** (ჩეხ) - 7,49; 2. **გარფილდ დარიენი** (საფ) - 7,56; 3. **ადრიენ დეგელტი** (ბელ) - 7,57.

**ბირთვის კვრა**

1. **რაფლ ბარტელსი** (გერ) - 21,16; 2. **დავიდ შტროლი** (გერ) - 20,75; 3. **მაქსიმ სიდოროვი** (რუს) - 20,55.

### ქალები

**400 მ**

1. **დენისა როსოლოვა** (ჩეხ) - 51,73; 2. **ოლესია კრასნომოვეცი** (რუს) - 51,80; 3. **ქსენია ზადორინა** (რუს) - 52,03.

**1500 მ**

1. **ელენა არჟაკოვა** (რუს) - 4.13,78; 2. **ნურია ფერნანდესი** (ესპ) - 4.14,04; 3. **ეკატერინა მარტინოვა** (რუს) - 4.14,16.

**სამხტომი**

1. **სიმონა ლა მანტია** (იტა) - 14,60 (სეზონის საუკეთესო შედეგი); 2. **ოლესია ზაბარა** (რუს) - 14,45; 3. **დანა ველდაკოვა** (სლოვაკ) - 14,39.

**ბირთვით კვრა**

1. **ანა ავდეევა** (რუს) - 18,70; 2. **კრისტინა შვანიტცი** (გერ) - 18,65; 3. **ჟოზეფინ ტელრეცკი** (გერ) - 18,09.

**60 მ/თარჯრბენი**

1. **კაროლინ ნიუტრა** (გერ) - 7,80; 2. **ტიფანი ოფაილი** (ბრიტ) - 7,80 (ეროვნული რეკორდი); 3. **კრისტინა ვუკიჩევიჩი** (ნორ) - 7,83 (ეროვნული რეკორდი).

**ხუთჭიდი**

1. **ანტუანეტ იდა** (საფ) - 4723 (სეზონის საუკეთესო შედეგი, ეროვნული რეკორდი); 2. **აუსტრა სკუიტე** (ლიტ) - 4706; 3. **რემონა ფრანსენი** (ჰოლ) - 4665.

## ცურვა

# ფელპსი ისევ ყველაფერს იგებს

ამერიკის ქალაქ ინდიანაპოლისში გრან-პრის მორიგი ეტაპი გაიმართა, რომელიც იმით იპყრობდა ყურადღებას, რომ მასში მონაწილეობა მიიღო ყველა დროის ტიტულოვანმა სპორტსმენმა **მაიკლ ფელპსმა**. ბოლო დღეს 14-გზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ორ დისტანციაზე შეძლო გამარჯვების მოპოვება.

თავდაპირველად ლეგენდარულმა ამერიკელმა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში 48.89 წამი დააფიქსირა, შემდეგ კი თავის ერთ-ერთ საყვარელ დისტანციაზე - 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში გაიმარჯვა შედეგით - წუთი და 56.88 წამი. ორივე დრო მიმდინარე სეზონის საუკეთესო შედეგია.

რაც მთავარია, 200 მეტრზე ფელპსის მეტოქე იყო ამ დისციპლინაში მსოფლიოს რეკორდსმენი **რაიან ლოხტე**, რომელსაც მაიკლმა თითქმის ორი წამი მოუგო.

სულ ინდიანაპოლისის გრან-პრიზე ფელპსმა ხუთი ოქროს მედალი მოიპოვა. ამერიკელმა კმაყოფილება გამოთქვა თავისი სპორტული ფორმით. მისი თქმით, მთავარი მიზანი ძველ დონეზე გასვლა იყო, რასაც მიაღწია კიდეც.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ფელპსი ისევ ფორმაშია

## ცხელი ხაზი

### კალათბურთი

**NBA**

| | |
|---|---|
| მაიამი-ჩიკაგო | 86:87 |
| სან ანტონიო-ლეიკერსი | 83:99 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| კახა ლაბორალი-სარაგოსა | 79:61 |
| მენორკა-გრან კანარია | 67:76 |
| ბილბაო-ხირონა | 92:86 (ო) |
| ვალენსია-ვალიადოლიდი | 68:64 |
| სევილია-გრანადა | 82:63 |
| ფუენლაბრადა-ბარსელონა | 69:66 |
| ესტუდიანტესი-უნიკახა | 78:69 |
| მანრესა-ალიკანტე | 49:48 |

**ისრაელი**

| | |
|---|---|
| აშკელონი-ბნეი ჰაშარონი | 79:89 |
| ნეთანია-მაკაბი (რ) | 102:88 |
| მაკაბი (თ-ა)-ჰაპოელი (ი) | 107:66 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| კაზერტა-ბრინდიზი | 90:76 |
| ბიელა-მონტეპასკი | 67:75 |
| ვარეზე-ვანოლი | 76:71 |
| მონტეგრანარო-ბოლონია | 72:75 |
| რომა-მილანი | 80:62 |
| სასარი-სკავოლინი | 80:75 |
| ტერამო-ბენეტონი | 78:72 |

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| ენისეი-კრ. კრილია | 63:71 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ტრაბზონი-ფენერბაჰჩე | 74:86 |
| გალათასარაი-ეფესი | 80:64 |

### ჰოკეი

**NHL**

| | |
|---|---|
| რეინჯერსი-ფილადელფია | 7:0 |
| აილენდერსი-ნიუ ჯერსი | 2:3 (ბ) |

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ავანგარდი-ნეფტიხიმიკი | 7:3 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| გრაცი-ვენა | 3:4 (ო) |
| ლინცი-ვილახი | 2:0 |
| ზაგრები-კლაგენფიურტი | 4:1 |
| ოლიმპია-ზალცბურგი | 3:5 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 3:2 |
| ჰანოვერი-ნიურნბერგი | 3:1 |
| აუგსბურგი-აისბარენი | 3:4 (ბ) |
| იზერლონი-მანჰაიმი | 3:5 |
| კრეფელდი-მიუნხენი | 2:3 (ბ) |
| დიუსელდორფი-ინგოლშტადტი | 3:1 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ვოლერენგა-ლორენსკოგი | 1:2 (ო) |
| სპარტა-რუსენბორგი | 6:0 |
| სტავანგერი-ფრისკ ასკერი | 6:1 |
| სტორჰამარი-ლილეჰამერი | 2:5 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| სკალიცა-პოპრადი | 0:1 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ლიბირეცი-სლავია | 5:1 |
| ტრშინეცი-ლიტვინოვი | 3:2 |

### ჩოგბურთი

**WTA. ქუალა ლუმპური**

| | |
|---|---|
| საფაროვა-დოკიჩი | 6:2, 6:7, 4:6 |

## TV პროგრამა

### 7 მარტი. ორშაბათი

**GMG-ფეხბურთი**

00:00 ინგლისის ჩემპიონატი. ბლეკპული-ჩელსი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-სოსიედადი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

04:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტამპა ბეი-ვაშინგტონი (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

05:00 NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ნიუ ორლეანი (LIVE).

**EUROSPORT**

18:45 ველოსპორტი. პარიზი-ნიცა. II ეტაპი. საფრანგეთი (LIVE).

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

### 4 მარტი

**ნიუ ჯერსი-პიტსბურგი 2:1 (ო)**

**0:0, 1:1, 0:0, 1:0**

**გოლები:** 1:0 ზაიაცი-10 (პალმიერი-4, ე. გრინი-17), 1:1 ტაილერ კენედი-15, 2:1 კოვალჩუკი-23 (ელიაში-33, როლსტონი-13).

**ოტავა-რეინჯერსი 1:4**

**0:1, 0:2, 1:1**

**გოლები:** 0:1 პროსპალი-4 (ეივერი21), 0:2 ცუკარელო-4 (სტეპანი-20, ვოლსკი-19), 0:3 ანისიმოვი-15 (კელეჰანი-18, ჟირარდი-23), 0:4 სტეპანი-18 (ვოლსკი-20, ემინგერი-4), 1:4 გონჩარი-7 (სპეცა-21, ე. კარლსონი-26).

**ჩიკაგო-კაროლინა 5:2**

**2:1, 0:0, 3:1**

**გოლები:** 1:0 ტეუვზი-26 (შარპი-27), 1:1 ე. სტაალი-29 (სტილმანი-18, კოული-23), 2:1 ბიკელი-15 (სიბრუკი-32, მარიან ჰოსა-23), 3:1 რ. ჯონსონი-1 (კამპოლი-12, ბ. კემპბელი-20), 4:1 ბოლანდი-15 (მარიან ჰოსა-24, ბიკელი-19), 5:1 პ. კეინი-21 (შარპი-28, კამპოლი-13), 5:2 სკინერი-23 (კორვო-24, ი. იოკინენი-29).

**კალგარი-კოლამბუსი 4:3**

**2:1, 2:1, 0:1**

**გოლები:** 0:1 რივე-2 (მაკენზი-11), 1:1 ო. იოკინენი-14 (გლენკროსი-14, მოსი-13), 2:1 იგინლა-29 (ბურკი-19, სერიჩი-11), 2:2 ვერმეტი-16 (რასელი-15, ვორაჩეკი-29), 3:2 ბურკი-22 (ო. იოკინენი-32, გლენკროსი-15), 4:2 გლენკროსი-21 (ბაბჩუკი-22, ტანგეი-36), 4:3 ჰეიდა-3 (ვორაჩეკი-30, ვერმეტი-21).

**ანაჰაიმი-დალასი 4:3 (ო)**

**1:0, 0:3 2:0, 1:0**

**გოლები:** 1:0 ვიშნოვსკი-10 (რაიანი-24, სექსტონი-8), 1:! ბენი-15 (გოლიგოსკი-25, მოროუ-19), 1:2 ბარიში-8 (ჯეისონ უილიამსი-3, დელეი-18), 1:3 ლ. ერიქსონი-22 (რობიდასი-23, რიბეირო-41), 2:3 ვიშნოვსკი-11 (სელიანე-39, გეტცლაფი-34), 3:3 სელიანე-21 (გეტცლაფი-35, ვიშნოვსკი-39), 3:4 ვიშნოვსკი-12 (გეტცლაფი-36).

### 5 მარტი

**აილენდერსი-სტ. ლუისი 5:2**

**2:0, 1:0, 2:2**

**გოლები:** 1:0 ტავარესი-24 (პარენტო-26, ჰამონიკი-17), 2:0 პარენტო-15 (გრაბნერი-14, ტავარესი-31), 3:0 ენდრიუ მაკდონალდი-3 (მ. მარტინი-7, ბეილი-13), 3:1 ენდი მაკდონალდი-14 (ოში-18, პიეტრნაჯელო-27), 4:1 ენდრიუ მაკდონალდი-4, 4:2 კ. სტიუარტი-20 (ბერგლუნდი-25, ენდი მაკდონალდი-19), 5:2 გრაბნერი-26 (ნილსენი-28, ჰილენი-12).

**ფილადელფია-ბაფალო 3:5**

**2:0, 1:3, 0:2**

**გოლები:** 0:1 ვერსტეეგი-18 (მ. კარლი-28, მ. რიჩარდსი-36), 0:2 ვან რიმსდიკი-16 (ჟირუ-38), 1:2 სტეფორდი-25 (ვანეკი-30, ენისი-24), 2:2 ენისი-14 (გოსტადი-13, სეკერა-17), 2:3 სეკერა-3 (ბოიესი-30, პომინვილი-21), 3:3 ტიმონენი-4 (ქობურნი-12), 3:4 პომინვილი-16 (ვანეკი-31, ბოიესი-31), 3:5 გერბე-8 (გოსტადი-14, კალეტა-5).

**ლოს ანჯელესი-ვანკუვერი 1:3**

**1:1, 0:0, 0:2**

**გოლები:** 1:0 პენერი-22 (რიჩარდსონი-10, ჯასტინ უილიამსი-30), 1:1 ჰანსენი-9 (ტორესი-13), 1:2 დ. სედინი-33 (ერჰოფი-29, ჰ. სედინი-60), 1:3 ბაროუზი-18 (მალორტა-16).

**ატლანტა-ფლორიდა 4:3 (ო)**

**0:1, 1:0, 2:2, 1:0**

**გოლები:** 0:1 სამსონოვი-11 (ბერგფორსი-19, უეისი-25), 1:1 ველერი-13 (ბიფულინი-28, ლედი-25), 2:1 ლედი-24 (ენსტრიომი-40, ლიტლი-23), 3:1 ველერი-14 (ბიფულინი-29), 3:2 უეისი-18 (სამსონოვი-17, სანტორელი-16), 3:3 ბუტი-18 (კულიკოვი-15, გარისონი-10), 4:3 ლედი-25 (ბიფულინი-30, ლიტლი-24).

**ბოსტონი-პიტსბურგი 2:3 (ო)**

**0:0, 1:2, 1:0, 0:1**

**გოლები:** 1:0 ხარა-11 (კრეისი-40, ლუჩიჩი-20), 1:1 ჯ. სტაალი-7 (ტაილერ კენედი-18, კუკი-17), 1:2 ჯეფრი-6 (ტელბოტი-9, ზ. მიხალეკი-12), 2:2 კრეისი-10 (ლუჩიჩი-21, ჰორტონი-25), 2:3 ჯეფრი-7.

**ტორონტო-ჩიკაგო 3:5**

**0:3, 1:2, 2:0**

**გოლები:** 0:1 მარიან ჰოსა-18, 0:2 ფროლიკი-10 (ბროუერი-17, დოუელი-14), 0:3 ტეუვზი-27 (პ. კეინი-36, მარიან ჰოსა-25), 1:3 ლუპული-8, 1:4 სტალბერგი-10 (კოპეცკი-25, რ. ჯონსონი-3), 1:5 ბიკელი-16 (ბოლანდი-21, სიბრუკი-33), 2:5 კრები-2 (შენი-13), 3:5 შენი-3.

**ტამპა ბეი-მონრეალი 2:4**

**0:2, 1:1, 1:1**

**გოლები:** 0:1 გილი-2 (ჯონტა-12, პლეკანეცი-30), 0:2 დაშერნე-8 (ა. კოსტიცინი-21), 1:2 მური-12 (კუბინა-19, პურსელი-26), 1:3 პასიორეტი-13 (პლეკანეცი-21, სუბანი-22), 1:4 პასიორეტი-14 (გომესი-25), 2:4 ლეკაალიე-16 (მური-12, პურსელი-27).

**ფინიქსი-დეტროიტი 5:4 (ბ)**

**1:2, 0:2, 3:0, 0:0**

**გოლები:** 0:1 დ. მილერი-7 (ჰელმი-19), 0:2 ფრანცენი-27 (ლიდსტრიომი-40, მოდანო-9), 1:2 ტარისი-11 (ა. ოუკანი-18, მაკლინი-1), 1:3 ფილპულა-13 (ლიდსტრიომი-41, ბ. სტიუარტი-11), 1:4 ჰელმი-9 (ბ. სტიუარტი-12), 2:4 ბოდკერი-2, 3:4 რეი უიტნი-13 (ტარისი-11, დოუნი-32), 4:4 ჰანჟალი-16 (ვრბატა-22, რეი უიტნი-37).

**ბულიტები გაიტანეს:** ვრბატა (ფინიქსი).

**კოლორადო-ედმონტონი 1:5**

**0:2, 1:2, 0:1**

**გოლები:** 0:1 სემ განიე-15 (კოლიანო-17, უმარკი-14), 0:2 რ. ჯონსი-14 (სემ განიე-26, გილბერტი-18), 0:3 შ. ჰორკოფი-9 (პააარვი-16, ებერლე-21), 0:4 ა. ჟირუ-1 (უმარკი-15, სემ განიე-27), 1:4 რ. ო'რაილი-6 (დ. ჯონსი-14, ლაილსი-36), 1:5 კოლიანო-11 (რედო-8, გილბერტი-19).

**სან ხოსე-დალასი 2:3**

**1:1, 1:0, 0:2**

**გოლები:** 0:1 ბენი-16 (რობიდასი-24), 1:1 უელვუდი-4 (ტ. მიტჩელი-7, პაველსკი-33), 2:1 მარლო-26 (ჰიტლი-31), 2:2 ლ. ერიქსონი-23 (ფისტრიჩი-3, ბენი-22), 2:3 ჯეისონ უილიამსი-1 (ოტი-15, დელეი-19).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი



# ისევ ჩაიშალა...

კიდევ ერთხელ გადაიდო საჩემპიონო ბრძოლა სუპერმძიმე წონაში, რომელშიც უკრაინელ **ვლადიმერ კლიჩკოს** WBO-სა და IBF-ის ტიტულები უნდა დაეცვა ბრიტანელი **დერეკ ჩისორას** წინააღმდეგ.

ბრძოლის გაუქმების მიზეზი გახდა ძველი ტრავმა, რომელმაც უმცროს კლიჩკოს წინა შემთხვევაში რინგზე გასვლის საშუალება არ მისცა. უკრაინელი მოკრივის ექიმმა **ჰანს-ვილჰელმ მიულერ-ვოლფარტმა** მიიჩნია, რომ ვლადიმერი ვერ მოასწრებს 30 აპრილისთვის გამოჯანმრთელებას და ამის გამო მოკრივეს ბრძოლაზე უარის თქმა ურჩია. *„მიმდინარე სიტუაციას თუ განვიხილავთ, რთულია რეაბილიტაციის ზუსტი ვადის განსაზღვრა. აპრილში ჩასატარებელი ბრძოლისთვის ახლა ვარჯიშის დაწყება მეტად სარისკო იქნება“*, - განაცხადა გერმანელმა ექიმმა.

*„ძალიან ვწუხვარ ბრძოლის გაუქმების გამო, მით უმეტეს, რომ მანჰაიმში უნდა მეჩხუბა, სადაც სამჯერ გავედი რინგზე და 2006 წელს ჩემპიონის ტიტული მოვიპოვე. იმედი მაქვს, კიდევ მომეცემა აქ თავის გამოჩენის საშუალება“*, - ამბობს უკრაინელი ჩემპიონი.

კლიჩკოსა და ჩისორას ბრძოლა დეკემბერში უნდა გამართულიყო, მაგრამ მაშინ უკრაინელმა ერთ-ერთ ვარჯიშზე ზურგის ტრავმა მიიღო და შეხვედრა აპრილისთვის გადაიდო. ამჯერად არც ერთ მხარეს არ დაუსახელებია ამ საჩემპიონო ჩხუბის ახალი თარიღი.

■ ■ ■

ამასობაში ძმები კლიჩკოების მენეჯერმა **ბერნდ ბენტემ** გაზეთ „ბილდს“ აცნობა, რომ 99 პროცენტით არის მოგვარებული ტიტულების გამაერთიანებელი ბრძოლის ჩატარება ვლადიმერ კლიჩკოსა და WBA-ის ბრიტანელ ჩემპიონ **დევიდ ჰეის** შორის.

შეხვედრა 25 ივნისს ან 2 ივლისს გაიმართება. მის ორგანიზებაზე გერმანიის სამი ქალაქის საფეხბურთო არენა აცხადებს პრეტენზიას: გელზენკირხენი (61 ათასი), დორტმუნდი (80 ათასი) და კაიზერსლაუტერნი (49 ათასი).

ბრიტანეთში ბრძოლის ტრანსლაციას თავის თავზე იღებს ტელეარხი Sky, გერმანიაში კი ამ უფლებისთვის RTL იბრძვის. საჩემპიონო ორთაბრძოლის ბიუჯეტი (ტელევიზია, ბილეთების რეალიზაცია) 25 მილიონი ევრო იქნება.

ჟურნალისტებისთვის ცნობილი გახდა მხარეებს შორის კონტრაქტის რამდენიმე დეტალი:

- ყველა შემოსავალი თანაბრად იყოფა;
- მატჩ-რევანში არ არის გათვალისწინებული;
- თუ ვლადიმერი ვერ შეძლებს რინგზე გასვლას, მას **ვიტალი კლიჩკო** შეცვლის.

*„მოხარული ვარ, რომ შევძელით ამ ბრძოლის ორგანიზებაზე შეთანხმება*, - ამბობს „ბილდთან“ კომენტარში ვლადიმერ კლიჩკო. - *მე და ჩემი ძმა 1996 წლიდან ვოცნებობთ ოთხივე საჩემპიონო ქამრის ერთ ოჯახში გაერთიანებაზე. მოვიდა ამ ოცნების ასრულების დრო“.*



ზაბ ჯუდა

# ჩემპიონობა ნოკდაუნის მიუხედავად

გასულ უქმეებზე რამდენიმე საინტერესო ორთაბრძოლა გაიმართა, რომელთაგანაც ყველაზე დიდ ინტერესს იწვევდა შეხვედრა ნიუ ჯერსის შტატის ქალაქ ნიუარკში, სადაც ნახევრად საშუალო წონაში თამაშდებოდა IBF-ის ვაკანტური ტიტული. ერთმანეთს ხვდებოდნენ ცნობილი ამერიკელი **ზაბ ჯუდა** (41-6-0, 28KO) და სამხრეთაფრიკელი **კაიზერ მაბიუზა** (23-7-3, 14KO).

ფავორიტად ჯუდა მიიჩნეოდა, მაგრამ ამერიკელმა ძალიან ფრთხილად დაიწყო შეხვედრა, მცირე რაოდენობის დარტყმებს ახორციელებდა და ამისთვის კინაღამ დაისაჯა. სტარტზე მაბიუზამ ნოკდაუნში გაგზავნა მეტოქე, მაგრამ ჯუდამ შეძლო ბრძოლის გაგრძელება.

ყველაფერი მეშვიდე რაუნდში გადაწყდა - ერთ-ერთ მომენტში ჯუდა კუთხეში იყო მიმწყვდეული. სწორედ ამ დროს მან ნიკაპში უძლიერესი აპერკოტი ამოარტყა აფრიკელს, რომელიც ბაგირებზე დაეკიდა და კინაღამ რინგის მიღმა გადავარდა. მაბიუზამ დიდი გაჭირვებით შეძლო წამოდგომა და ბრძოლის გაგრძელება, მაგრამ ბოლომდე გონს ვერ მოვიდა და ძალიან მალე რეფერიმ ბრძოლა შეწყვიტა. ამერიკელს ტექნიკური ნოკაუტით გამარჯვება ჩაუთვალეს.

აღსანიშნავია, რომ აქამდე ჯუდამ ბოლო სატიტულო ბრძოლის მოგება 2005 წლის მაისში შეძლო.

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# ფინალში რვა წლის შემდეგ...

სასიამოვნოდ გააკვირვა გასულ კვირას თავისი გულშემატკივრები მსოფლიოს ყოფილმა მეოთხე ჩოგანმა, ავსტრალიელმა **ელენა დოკიჩმა**. სკანდალურად ცნობილმა ჩოგბურთელმა რვაწლიანი შესვენების შემდეგ პირველად გააღწია WTA-ის ტურნირის ფინალში. ამისთვის დოკიჩს დიდი ძალისხმევა არ დასჭირვებია. ნახევარფინალში მის მეტოქეს, ჰოლანდიელ **მიხაელა კრაიჩეკს** 63 წუთის განმავლობაში მხოლოდ ერთი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა და მისი გამოყენება ვერ შეძლო. ავსტრალიელმა კი რვა ასეთი შანსიდან ნახევარი გამოიყენა, ორი სეტი აიღო და კუალა ლუმპურის ტურნირის ფინალში გავიდა.

ელენასთვის WTA-ის ტურში ეს რიგით მე-13 ფინალი იქნება. მან უკანასკნელად გადამწყვეტი მატჩი 2003 წელს ციურიხში ითამაშა, სადაც დამარცხებულმა დატოვა კორტი.

მეორე ნახევარფინალში მაყურებელმა უფრო დაძაბული ბრძოლა იხილა, რაც არ იყო გასაკვირი, რადგან ერთმანეთს ებრძოდნენ ტურნირის მეოთხე და მეხუთე ნომრები - **ლუსი საფაროვა** და **იარმილა გროტი**. მალაიზიაში შეიძლებოდა ფინალი ავსტრალიური ყოფილიყო, მაგრამ გროტმა თავის თავს უნდა დააბრალოს საფაროვასთან მარცხი. ავსტრალიელს ჯამში მეტოქეზე სამჯერ მეტი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა (15 5-ის წინააღმდეგ), მაგრამ მხოლოდ ორჯერ შეძლო ჩეხი ჩოგბურთელის მოწოდებაზე ბრეიკის გაკეთება, თავად საფაროვამ კი 5 ბრეიკ-პოინტიდან ოთხი გამოიყენა და კლასის ხარჯზე გავიდა ფინალში, რომელიც მეცხრე იქნება მის კარიერაში. აქამდე რვა ფინალიდან ლუსიმ ოთხი მოიგო და რამდენჯერმე დამარცხდა.

■ ■ ■

კუალა ლუმპურისგან განსხვავებით ლოგიკურად მიმდინარეობს ტურნირი მონტერეიში - აქ გადამწყვეტ მატჩამდე პირველ და მეორე ნომრად განთესილმა ჩოგბურთელებმა მიაღწიეს.

მთავარმა ფავორიტმა **ელენა იანკოვიჩმა** სრულიად უპრობლემოდ გადალახა ნახევარფინალის ბარიერი. მან 70 წუთში გაანადგურა სლოვენიელი **პოლონია ჰერცოგი**. სერბმა მეტოქეს მხოლოდ ორჯერ მისცა ბრეიკის შანსი და ორივე საფრთხე მოიგერია, თავად კი აგრესიული თამაშის წყალობით მხოლოდ ხუთი გეიმი დაუთმო მეტოქეს. ისევე როგორც საფაროვა, იანკოვიჩიც კარიერაში მე-13 ფინალს ითამაშებს.

არგენტინელმა **ხისელა დულკომ** ველარ შეძლო ზედიზედ მეცხრე მატჩის მოგება. ამ ჩოგბურთელის შთამბეჭდავი სერია წინა კვირას აკაპულკოს ტურნირის მოგებით დაიწყო, მაგრამ მონტერეიში დულკოს ფინალში გასასვლელად ერთი ნაბიჯი არ ეყო. გარდა იმისა, რომ მისმა მეტოქემ, მოქმედმა ჩემპიონმა **ანასტასია პავლიუჩენკოვამ** ითამაშა კარგად, ხისელას აშკარად დაღლა ეტყობოდა, განსაკუთრებით მეორე სეტში, როცა ერთადერთი გეიმის აღება შეძლო.

**WTA**

**Malaysian Open**

კუალა ლუმპური (მალაიზია). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**ლუსი საფაროვა (ჩეხ, 5)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 2) 6:1, 6:4; **იარმილა გროტი (ავსტრა, 4)**-აიუმი მორიტა (იაპ, 6) 7:5, 3:6, 7:5; **ელენა დოკიჩი (ავსტრა)**-ბოიანა იოვანოვსკი (სერ, 8) 7:6(4), 6:2; **მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ)**-ანა კრემერი (ლუქ) 6:2, 6:3.

**1/2 ფინალი**

**ლუსი საფაროვა (ჩეხ, 5)**-იარმილა გროტი (ავსტრა, 4) 6:2, 3:6, 6:3; **ელენა დოკიჩი (ავსტრა)**-მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ) 6:2, 6:3.

**Monterrey Open**

მონტერეი (მექსიკა). გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**ელენა იანკოვიჩი (სერ, 1)**-ანასტასია სევასტოვა (ლატ, 5) 6:1, 7:5; **ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 2)**-გრეტა არნი (უნგ) 6:2, 7:6(3); **პოლონა ჰერცოგი (სლოვენ, 8)**-ოლგა გოვორცოვა (ბლრ) 4:6, 6:3, 6:3; **ხისელა დულკო (არგ)**-ქსენია პერვაკი (რუს) 6:1, 6:0.

**1/2 ფინალი**

**ელენა იანკოვიჩი (სერ, 1)**-პოლონა ჰერცოგი (სლოვენ, 8) 6:3, 6:2; **ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 2)**-ხისელა დულკო (არგ) 6:4, 6:1.



ელენა დოკიჩი



ტომი ჰაასი

# ნალბანდიანი ამერიკაში არ მიდის

## ტომი ჰაასი ინდიან უელსში ითამაშებს

არგენტინული ჩოგბურთის ლიდერი **დავიდ ნალბანდიანი** მუხლის ტრავმის გამო ვერ შეძლებს სეზონის პირველ ორ მასტერსში მონაწილეობის მიღებას, რომელიც მარტში ინდიან უელსსა და მაიამიში გაიმართება.

ამ დაზიანების მიუხედავად, არგენტინელი დევისის თასზე ბოლომდე ნაკრების ერთგული დარჩა და თავისი წვლილი შეიტანა მერვედფინალურ ეტაპზე რუმინეთის დამარცხებაში. ერთეულთა თანრიგში მან **ადრიან უნგურის** დამარცხება შეძლო.

■ ■ ■

ნალბანდიანისგან განსხვავებით ინდიან უელსში თამაშს აპირებს ამერიკელი **ტომი ჰაასი**. ყოფილმა გერმანელმა შარშან ორი თვის განმავლობაში ორი ოპერაცია გადაიტანა მარჯვენა ბარძაყზე და მარჯვენა იდაყვზე და მას შემდეგ ოფიციალურ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია.

ჰაასი სწორედ ინდიან უელსის ტურნირზე შეეცდება დიდ სპორტში დაბრუნებას. ინდიან უელსის მასტერსზე ის ძირითად ბადეში დაცული რეიტინგის წყალობით მოხვდება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/8 ფინალი

| | |
|---|---|
| **სერბეთი-ინდოეთი** | **4:1** |
| 1:0 ვიქტორ ტროიცკი-როან ბოპანა | 6:3, 6:3, 5:7, 3:6, 6:3 |
| 1:1 იანკო ტიპსარევიჩი-სომდევ დევარმანი | 5:7, 5:7, 6:7(3) |
| 2:1 ბოზოლიაკი/ზიმონჯიჩი-ბოპანა/დევარმანი | 4:6, 6:3, 6:4, 7:6(10) |
| 3:1 ვიქტორ ტროიცკი-სომდევ დევარმანი | 6:4, 6:2, 7:5 |
| 4:1 იანკო ტიპსარევიჩი-კარან რასტოგი | 6:0, 6:1 |
| **შვედეთი-რუსეთი** | **3:2** |
| 1:0 რობინ სიოდერლინგი-იგორ ანდრეევი | 6:3, 6:3, 6:1 |
| 2:0 იოახიმ იოჰანსონი-თეიმურაზ გაბაშვილი | 6:3, 7:6(4), 6:4 |
| 3:0 ასპელინი/ლინდსტედტი-კუნიცინი/ტურსუნოვი | 6:4, 6:7(6), 7:6(6), 6:2 |
| 3:1 სიმონ ასპელინი-დმიტრი ტურსუნოვი | 5:7, 2:6 |
| 3:2 იოახიმ იოჰანსონი-იგორ ანდრეევი | 6:7, 4:6 |
| **ჩეხეთი-ყაზახეთი** | **2:3** |
| 0:1 იან ჰაიეკი-ანდრეი გოლუბევი | 6:7(4), 7:6(3), 6:1, 6:7(4), 3:6 |
| 1:1 ტომაშ ბერდიხი-მიხაილ კუკუშკინი | 7:6(5), 6:2, 6:3 |
| 2:1 ბერდიხი/დლუჰი-კოროლიოვი/შჩუკინი | 6:4, 6:4, 7:6(4) |
| 2:2 ტომაშ ბერდიხი-ანდრეი გოლუბევი | 5:7, 7:5, 4:6, 2:6 |
| 2:3 იან ჰაიეკი-მიხაილ კუკუშკინი | 4:6, 7:6, 6:7, 0:6 |
| **არგენტინა-რუმინეთი** | **4:1** |
| 1:0 დავიდ ნალბანდიანი-ადრიან უნგური | 6:3, 6:2, 5:7, 6:4 |
| 2:0 ხუან მონაკო-ვიქტორ ჰანესკუ | 7:6(5), 1:6, 6:1, 6:1 |
| 3:0 ჩელა/შვანკი-ჰანესკუ/ტეკაუ | 6:2, 7:6(8), 6:1 |
| 4:0 ედუარდო შვანკი-ვიქტორ კრივოი | 7:6, 6:2 |
| 4:1 ხუან მონაკო-ადრიან უნგური | 4:6, 6:2, 3:6 |
| **ჩილე-აშშ** | **1:4** |
| 0:1 ნიკოლას მასუ-ენდი როდიკი | 2:6, 6:4, 3:6, 4:6 |
| 1:1 პოლ კაპდევილე-ჯონ ისნერი | 6:7(5), 6:7(2), 7:6(3), 7:6(5), 6:4 |
| 1:2 აგილარი/მასუ-ბ. ბრაიანი/მ. ბრაიანი | 3:6, 3:6, 6:7(4) |
| 1:3 პოლ კაპდევილე-ენდი როდიკი | 6:3, 6:7, 3:6, 3:6 |
| 1:4 გი რივერა არანგისი-ჯონ ისნერი | 3:6, 7:6, 5:7 |
| **ბელგია-ესპანეთი** | **1:4** |
| 0:1 ქსავიე მალისე-ფერნანდო ვერდასკო | 4:6, 3:6, 1:6 |
| 0:2 რუბენ ბემელმანსი-რაფაელ ნადალი | 2:6, 4:6, 2:6 |
| 0:3 დარცისი/ო. როხუსი-ფ. ლოპესი/ვერდასკო | 6:7(0), 4:6, 3:6 |
| 0:4 ო. როხუსი-რაფაელ ნადალი | 4:6, 2:6 |
| 1:4 სტივ დარცისი-ფელისიანო ლოპესი | 6:7, 7:6, 7:6 |
| **ხორვატია-გერმანია** | **2:3** |
| 1:0 მარინ ჩილიჩი-ფლორიან მაიერი | 4:6, 6:0, 4:6, 6:3, 6:1 |
| 1:1 ივან დოდიგი-ფილიპ კოლშრაიბერი | 4:6, 6:3, 6:4, 6:7(6), 4:6 |
| 1:2 დოდიგი/კარლოვიჩი-კასი/პეტცშნერი | 3:6, 6:3, 7:5, 3:6, 4:6 |
| 2:2 მარინ ჩილიჩი-ფილიპ კოლშრაიბერი | 6:2, 6:3, 7:6 |
| 2:3 ივო კარლოვიჩი-ფილიპ პეტცშნერი | 4:6, 6:7, 6:7 |
| **ავსტრია-საფრანგეთი** | **2:3** |
| 0:1 იურგენ მელცერი-ჟერემი შარდი | 5:7, 4:6, 5:7 |
| 0:2 შტეფან კუბეკი-ჟილ სიმონი | 0:6, 2:6, 3:6 |
| 1:2 მარაში/მელცერი-ბენეტო/ლოდრა | 6:4, 3:6, 6:3, 6:4 |
| 2:2 იურგენ მელცერი-ჟილ სიმონი | 7:6, 3:6, 1:6, 6:4, 6:0 |
| 2:3 შტეფან კუბეკი-ჟერემი შარდი | 6:2, 6:7, 3:6, 3:6 |

**1/4 ფინალი**

შვედეთი-სერბეთი, არგენტინა-ყაზახეთი, ესპანეთი-აშშ, გერმანია-საფრანგეთი. მატჩები 8-10 ივლისს გაიმართება.